ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

შაბათი-კვირა

25 — 26 ივნისი, 2011 №149 (5530) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ ნაპოლეონი

8 ლარი

27 ივნისიდან 11 ივლისამდე






## მე არ მითქვამს, რომ საქართველომ აფხაზეთი უნდა დათმოს

რისი იმედი აქვს მამუკა არეშიძეს

გვ.3



გვ.4

## ახმეტაში შეიძლება ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტი დაიწყოს




გვ.6

## რუსებმა ფეხში ქვა მომარტყეს

## როგორი უნდა იყოს ქრისტიანული ოჯახი

გვ.7

ცოლ-ქმრის წყვილი მაშინ ითვლება, როდესაც ეკლესიაში მოძღვრის მიერ აქვთ ჯვარი დაწერილი



გვ.5



## მთელი ქვეყანა კორუფციულ ბიზნესშია ჩართული

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## ოთარ მეღვინეთუხუცესს ვენეციელი ვაჭარი ანვალებს

გვ.8



ISSN 1987-9385



გვ.2

## კვირის ქრონიკა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## ნათელაშვილი სააკაშვილის იმპიჩმენტს მოითხოვს

ლეიბორისტები საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტს მოითხოვენ. ამის შესახებ განცხადება მთავარმა ქართველმა ლეიბორისტმა შალვა ნათელაშვილმა გააკეთა. ეს მოთხოვნა ნათელაშვილმა პრეზიდენტის სასახლის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააჟღერა.

მისი თქმით, ეს არის სააკაშვილის გადადგომის მრავალპარტიული მოთხოვნა და მათ მიერ შედგენილ



დოკუმენტს, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, ხელმოსაწერად ყველა პოლიტიკურ პარტიას გადაუგზავნიან.

ლეიბორისტების განცხადებით, ყველა იმ პარტიამ, რომელსაც პრეტენზია აქვს ოპოზიციონერობაზე, ხელი უნდა მოაწეროს აღნიშნულ დოკუმენტს.

დოკუმენტი ხელმოსაწერად ახალ მემარჯვენეებს, დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოსთვის, მოძრაობა თეთრებს, სამართლიან საქართველოს, საქართველოს გზას, ეროვნულ ფორუმს, კონსერვატიულ პარტიას, რესპუბლიკურ პარტიას, ქართულ დასს, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, თავისუფალ დემოკრატებს, ქართულ პარტიას და თავისუფალ საქართველოს გაეგზავნათ.

— საქართველოს პოლიტიკური პარტიები პრეზიდენტ სააკაშვილს ვუცხადებთ ეროვნულ-პოლიტიკურ იმპიჩმენტს და მოვითხოვთ მის გადადგომას პრეზიდენტის პოსტიდან, რადგან მან არაერთხელ ჩაიდინა უმძიმესი დანაშაულები, გათელა კონსტიტუცია, ხელისუფლება მრავალჯერ მოიპოვა ძალადობით და მასობრივი გაყალბებებით, მოსპო დემოკრატიის საფუძვლები, დაამყარა ერთპარტიული დიქტატორული რეჟიმი, შექმნა რეპრესიული სისტემა, პოლიტიკური პოლიციით გააუქმა ბიზნესის, მასმედიის, სასამართლოს დამოუკიდებლობა, განახორციელა ადამიანთა მასობრივი დევნა, დაპატიმრება, წამება, მკვლელობა პოლიტიკური მოტივებით, უსასტიკესად არბევს მშვიდობიან დემონსტრაციებს, ჩაება წინასწარ წაგებულ ომში და დაშალა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, სახელმწიფოს მთელი სტრატეგიული სიმდიდრეები, გაყიდა ან ხელში ჩაუგდო საკუთარ საოჯახო-პარტიულ ოლიგარქებს, გაალატაკა და სოციალური გენოციდი მოუწყო ხალხს, — აღნიშნულია ხელმოსაწერად გამზადებულ დოკუმენტში.

## საქართველო ერთი ზილის რევოლუციას გადაურჩა



არადა არ იქნა ოპოზიციის, რუსეთის და ჩვენი სხვა მტრების მოსვენება. ავი განზრახვის მქონენი ჩვენს საყვარელ სამშობლოს გამუდმებით ემუქრებიან. მათი წყალობით ჩვენი შსს-ც მუდმივ მზადყოფნაშია და სხვა სიკეთეებთან ერთად ფილმებს-ფილმებზე იღებს.

ამჯერად შსს-მ ქართული პარტია და მისი ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი ამხილა, რომელიც მაისის ბოლოს საქართველოში შემოჭრას და ხელისუფლების შეცვლას აპირებდა. ყველაზე აღმაშფოთებელი ის ხერხია, რომლითაც ნამინისტრალი „პერევაროტს“ გვპირდებოდა.

გადატრიალება სად ან ვის არ მოუწყვია, მაგრამ ეს ოქრუაშვილი ნამეტანი თავს გავიდა. ისე გათავხედდა, რომ ზილითა და 200 რუსი სპეცრაზმელით აპირებდა საქართველოში ხელისუფლების შეცვლას.

შე დალოცვილო, თუ გადატრიალება გინდოდა, ტანკი ან ბეტეერი ვერ გამოიყენე? ჩვენი შსს ამბობს, რომ ოქრუაშვილის უკან რუსები იდგნენ. რუსებს კი ტანკები წესით არ უნდა გასჭირვებოდათ. ეტყობა სულ დაუჟანგდათ და ზილის ამარა დარჩნენ. მერე ეს ზილიც ვერ გამოიყენეს.

ქართული პარტიის საზილე ვნებების შესახებ ცნობა მშობლიურმა შსს-მ მოგვაწოდა. მათ ეს ამბავი თავის მხრივ ქართული პარტიის დაკავებული წევრებისგან შეიტყვეს.

მათ მიერ მიცემული ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ზილის პასაჟირი ოქრუაშვილი საქართველოში 25 მაისს ცხინვალიდან უნდა შემოხრიგინებულიყო. არადა, ეროსი კიწმარიშვილი ამტკიცებდა, ოქრო საქართველოში ჩამოსვლას მიუნხენის რეისით აპირებდაო. გახსოვთ ალბათ, ქართული პარტიის გავრცელებული ბილეთის ასლები. თავდაცვის ექსმინისტრი საქართველოში ბიზნესკლასით უნდა ჩამოფრენილიყო. ესენი კიდევ ამტკიცებენ, ზილით მოდიოდაო.

შსს-ს კომპრომატებზე საგანგებო განცხადება გააკეთა ქართული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ეროსი კიწმარიშვილმა. მან სამართალდამცავების მიერ მოპოვებული კომპრომატები არასერიოზულად მიიჩნია. მერაბიშვილის უწყება კი „კინოსტუდია შსს“-დ მოიხსენია.

ეროსი კიწმარიშვილი პირობას დებს, რომ ხელისუფლებას ქართული პარტია აუცილებლად შეცვლის, ოღონდ, ზილის გარეშე.

ოქრუაშვილის და ზილის 200 რუსი პასაჟირის ამბავი, ბუნებრივია, ნაციონალებმაც შეიტყვეს. ამჯერად მათ განსაკუთრებული აღშფოთება არ გამოუხატავთ. თქვეს, რომ ეს მათთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

სამაგიეროდ, საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი გადაირია. რუსეთის მოყვარული ნოლაიდელის თანაპარტიელმა დეპუტატმა პეტრე მამრაძემ ოქრუაშვილს სულ მოღალატე ეძახა.

განსაკუთრებით გამწარდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. მათ ხელისუფლებისგან ირაკლი ოქრუაშვილის ექსტრადიცია მოითხოვეს. ექსპერტები ამბობენ, რომ ამის გაკეთება ფაქტიურად შეუძლებელია.

## ბიწაძეზე ძებნა გამოცხადდა

საქართველოს სასაზღვრო უწყების ექს-შეფ ბადრი ბიწაძეზე ძებნა გამოცხადდა. ამ უკანასკნელს საქალაქო სასამართლომ პატიმრობა ამ დღეებში შეუფარდა. ამ თხოვნით სასამართლოს პროკურატურამ მიმართა.



იმავე პროკურატურამ ცოტა ხნის წინ ბიწაძეს 100 ათასიანი გირაო შეუფარდა. ამხელა თანხით ბიწაძე იმ უკანონობის გამო დასაჯეს, რომელიც მან ერთი თვის წინ ჩაიდინა.

თავიდან მას „რაგატკებით“ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა ედებოდა ბრალად. ეს ამბავი გენერალმა გია უჩავამ „გააბაზრა“. მერე რატომღაც გადატრიალება აღარავინ ახსენა და ბიწაძეს შარი უკანონო ფორმირების შექმნის გამო მოსდეს, რომელსაც პოლიციისთვის წინააღმდეგობა უნდა გაეწია.

ასი ათასად შეფასებული ბიწაძე არსად გამოჩენილა. გირაოს გადახდაზე უარი თქვა მისმა მეუღლემაც. ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ გირაოს გადახდა თავად ბიწაძემ უნდა გადაწყვიტოს.

რაკი ბიწაძე არ გამოჩნდა, პროკურატურამ მისი დაკავება მოითხოვა. ახლა მასზე ძებნა გამოაცხადეს და ვნახოთ, როდის იპოვიან. რაც შეეხება მის მეუღლე ნინო ბურჯანაძეს, ის ბრიუსელში გაემგზავრა, სადაც, როგორც თავად ამბობს, რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრას გამართავს.

## ნაციონალები ქდმ-საც შემოსწყრნენ

ქრისტიან-დემოკრატები კონსტრუქციულ ოპოზიციას წარმოადგენენ და ხელისუფლება მათთან კარგად თანამშრომლობს. თუმცა არის დღეები, რომ ნაცებს ქდმ-ს ატანაც კი უჭირთ. ასეთი პერიოდი მმართველ გუნდს ამ კვირაში დაუდგა.

23 ივნისს ქრისტიან-დემოკრატებსა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებს შორის თბილისში ხმელნიცკის ქუჩაზე დაპირისპირება მოხდა.

როგორც „მედიანიუსს“ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატის“ თავმჯდომარემ ინგა გრიგოლიამ განუცხადა, აღნიშნული ქუჩის №7-ში ფრაქცია დღეს ისანსამგორის მოსახლეობას ხვდებოდა. შეხვედრის თემა ტარიფების გაზრდა იყო. ამ დროს მათთან ნაციონალური მოძრაობის აქტივისტთა ჯგუფი „მივარდა“ და ხალხს დაშლა კატეგორიულად მოსთხოვა.

— ისინი სპეცრაზმელებივით იქცეოდნენ. ამბობდნენ, აქ „ბირჟა“ არ არის, ეს ხვიჩა სანაიას უბანია და მისი სამეგობრო მის კრიტიკას არ დაუშვებსო. როცა სააკაშვილი გვიმტკიცებს, რომ ქურდული კანონები ალმოიფხვრა, მაშ, მის პოლიტიკურ ოპონენტებს საძმოებით რატომ გვემუქრებიან? როგორც ჩანს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო, რასაც ტერორის სახე აქვს, — აღნიშნა ინგა გრიგოლიამ.



მისი ინფორმაციით, „ნაციონალების“ აქტივისტები აღნიშულ ქუჩას მას შემდეგ გაეცალნენ, რაც ერთ-ერთმა თქვა, სანაიამ დარეკა და დავიშალოთო. აქედან გამომდინარე, „ქრისტიან-დემოკრატები“ აცხადებენ, რომ აღნიშნულ დაპირისპირებას თავად ხვიჩა სანაია ხელმძღვანელობდა, რის გამოც მისი, როგორც დეპუტატის, პასუხისმგებლობის საკითხს დასვამენ. ინგა გრიგოლია მასთან სატელევიზიო დებატებსაც ითხოვს. მისი თქმით, ინციდენტში მონაწილე რამდენიმე პირის ვინაობა უკვე დადგინდა. ესენი არიან: ზურაბ ძნელაძე, მამუკა რაზმაძე, ვალერი მუნჯიშვილი და პაატა კოპალეიშვილი.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა სანაია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ თბილისის საკრებულოს დეპუტატია.

## ცოტნე გამსახურდიასთან მისი სულიერი მოძღვარი არ შეუშვეს

პატიმრობაში მყოფი ცოტნე გამსახურდია თითქმის ერთი კვირაა ზიარების მისაღებად თავის სულიერ მოძღვართან, მეუფე თეოდორესთან შეხვედრას ითხოვს, თუმცა უშედეგოდ.



როგორც ცოტნე გამსახურდიას ადვოკატმა ქეთი ბექაურმა განაცხადა, ცოტნე გამსახურდია ზიარების მიღების შემდეგ შიმშილობის შეწყვეტას აპირებდა, თუმცა გუშინ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ, მეუფე თეოდორე ჭუაძეს მსჯავრდებულთან შეხვედრაზე უარი უთხრა.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ მინისტრი ბოროტად იყენებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას და თავისი ქმედებით სიცოცხლისთვის სახიფათო მდგომარეობაში აყენებს მოშიმშილე ცოტნე გამსახურდიას.

— მოვითხოვ შეწყდეს პოლიტპატიმარ ცოტნე გამსახურდიას მიმართ სასტიკი და ღირსების შემლახავი მოპყრობა. ის დაუყოვნებლივ იქნეს გადაყვანილი სამოქალაქო ტიპის კლინიკაშო ადეკვატური მკურნალობის ჩასატარებლად. მისი ოჯახის წევრებს ნება დაერთოს მიაწოდონ მას ყველა საჭირო მედიკამენტი და დაუშვან მასთან ოჯახის მიერ არჩეული ნევროპათოლოგი და ფიზიოთერაპევტი, — განაცხადა ბექაურმა.

მისი თქმით, ცოტნე გამსახურდიასთან დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დაშვებული მეუფე თეოდორე.

აღნიშნულ მოთხოვნას გამსახურდიას ადვოკატი მონიტორინგის ჩატარების მიზნით უახლოეს მომავალში გადაუგზავნის საქართველოს მთავარ პროკურორს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, საქართველოს სახალხო დამცველსა და საერთაშორისო წითელი ჯვრის თბილისის წარმომადგენლობას.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილმა ცოტნე გამსახურდიამ მის მიმართ ადმინისტრაციის მხრიდან ჩადენილი ქმედებების გამო, პროტესტის ნიშნად, 30 მაისს მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში უვადო შიმშილობა გამოაცხადა.

## პან გი მუნი გაეროს გენერალურ მდივნად ხელმეორედ აირჩიეს

გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი, მეორედ, ხუთწლიანი ვადით, გაეროს გენერალური ასამბლეის გენერალურ მდივნად აირჩიეს.



სამხრეთ კორეის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი პან გი მუნი ერთადერთი კანდიდატი იყო, რომელსაც გაეროს უსაფრთხოების საბჭომ, გენერალური მდივნის თანამდებობაზე ხელმეორედ არჩევის თაობაზე, ერთხმად გაუწია რეკომენდაცია.

პან გი მუნი გაეროს გენერალური მდივანი 2007 წელს გახდა. აღნიშნულ თანამდებობაზე მისი მეორე ვადა 2012 წლის 1 იანვარს დაიწყება და 2016 წელს დასრულდება.

## საარჩევნო კოდექსი კუკავამაც შეიმუშავა

ოპოზიციური რვიანი ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ემუსაიფება. ამ მუსაიფიდან ჯერ არაფერი არ გამოდის. რვიანი და ნაციონალები მაინც კმაყოფილები არიან.

ამ კმაყოფილებას არ იზიარებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ უნდა კარგი საარჩევნო გარემო. უნდა და თანაც როგორ. სწორედ ამიტომ დაწერა ახალი საარჩევნო კოდექსი. და ახლა თანაპარტიელებთან ერთად ხელმოწერების შეგროვებას იწყებს.

თავისუფალი საქართველო კოდექსის ალტერნატიულ პროექტზე საზოგადოების ხელმოწერების შეგროვებას იწყებს.

როგორც პარტიის ლიდერმა კახა კუკავამ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, ხელისუფლებამ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებული მოლაპარაკებების პროცესს იგნორირება გაუკეთა. კუკავას თქმით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საზოგადოების ზურგს უკან კულუარული პროცესი მხოლოდ დროის გაყვანის საშუალებას წარმოადგენს.

— ჩვენმა პარტიამ საარჩევნო კოდექსის ალტერნატიული პროექტი ოფიციალურად დაარეგისტრირა პარლამენტში და დავიწყეთ 30 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერის შეგროვება, როგორც ამას საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს. ხელმოწერების შეგროვების შემდეგ საკანონმდებლო პაკეტი განსახილველად უშუალოდ საქართველოს პარლამენტს გადაეცემა. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამომრჩევლების მხარდაჭერა, საჯარო და არა კულუარული პროცესი არის



პროექტის წარმატების ძირითადი წინაპირობა, — განაცხადა კუკავამ.

კუკავა საზოგადოებას მოუწოდებს, ხელმოწერების შეგროვების პროცესში ჩაერთონ. ის მზადაა კანონპროექტთან დაკავშირებით ყველა დაინტერესებული მხარის შენიშვნა გაითვალისწინოს.

შორენა მარსაგიშვილი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# მე არ მითქვამს, რომ საქართველომ აფხაზეთი უნდა დათმოს

ნონა ცაბა ე

**გასულ კვირას მამუკა არეში ის განცხადებამ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით საზოგადოების ნაწილში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ზოგიერთმა მას მოღალატე და აფხაზეთის გამყიდველიც კი უწოდა. როგორც ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეში ე აცხადებს, მისი ნათქვამი ამ ხალხმა ვერ გაიგო და ვინც მას ლან ღავს, წარმოდგენაც არა აქვს, რა ხდება აფხაზეთში. იქვე იმასაც დას ენს, რომ მათგან ამ ბრალდებებს არ მიიღებს, რადგან ბევრი მათგანისგან განსხვავებით, აფხაზეთის ომის დროს ის იქ იმყოფებოდა, სადაც მარცხენა ფეხის სერიოზული ტრავმა მიიღო, ასევე საკუთარი ხელით დაასაფლავა ოთხი მეგობარი და ყველაფერს რომ თავი დაანებოს, მას ოჯახის წევრები ჰყავს სოხუმიდან.**

„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მამუკა არეშიძეს ესაუბრა.

***— ბატონო მამუკა, რატომ მოყვა ამხელა აჟიოტაჟი თქვენ მიერ გაკეთებულ განცხადებას, ეს არასწორედ იქნა გაგებული?***

— რა ვიცი, რა გითხრათ, მე ვცდილობ გასაგები ენით ვილაპარაკო, მაგრამ ადამიანებს მხოლოდ ერთი რამის გაგება უნდათ, რომ მამუკა არეშიძემ აფხაზეთი გაყიდა. ჯერ ერთი, მამუკა არეშიძეს ვინ ჰკითხავს აფხაზეთის გაყიდვას ან არ გაყიდვას და მეორეც, რაც მე ახლა ლანძღვა და გინება მოვისმინე, არ ვიცი, რა გითხრათ. როგორც ჩანს, ეს ენა ქართველ საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ბევრს არ ესმის. აქ არაფრის გაყიდვაზე არ არის ლაპარაკი და მე არ მითქვამს, რომ საქართველომ აფხაზეთი უნდა დათმოს უპირობოდ და ყოველგვარი ჩანაფიქრის გარეშე. აქ არის ძალიან მნიშვნელოვანი თემა, ჯერ ერთი, ამ ხალხმა, ვინც ძირითადად მაკრიტიკებს, უმრავლესობამ არ იცის აფხაზეთში რა ხდება. არის ზოგიერთი, რომელმაც იცის, განსაკუთრებით იმ ადამიანებმა, ვინც იქიდან არიან წარმოშობით, მაგრამ დიდმა უმრავლესობამ არ იცის. არ იცის, რომ პროცესები, რომლითაც ჩვენ ვცდილობთ დავიბრუნოთ აფხაზეთი, ხშირ შემთხვევაში კონსტრუქციულია თუ არა და ეს არის დროში გაწელილი და ძალიან დაბალი ტემპით მიმდინარეობს. ჩვენს ხელისუფლებას უნდა, რომ გადადგას აფხაზეთის მიმართ რაღაცა ქმედითი ნაბიჯები, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო ამ ნაბიჯების გადადგმა ჭირს. ჩვენი დასავლელი პარტნიორები, რომლებიც ამ საქმეში გვეხმარებიან, მას მერე, რაც მათ ოკუპაციად შეაფასეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაკავება, ერთგვარად ხელი დაიბანეს. როგორც ჩანს, მათ სტატუსკვო აწყობთ და არ უნდათ მდგომარეობის გართულება. მით უმეტეს, რომ სხვა ძალიან ბევრი საქმეც აქვს დასავლეთს და გარდა ამისა, იმყოფებიან რუსეთთან გადატვირთვის რეჟიმში. აქედან გამომდინარე მათ მდგომარეობის გართულება არ უნდათ. ჩვენ ვნახეთ, რომ აფხაზეთის ვიცე-პრემიერი ეკონომიკურ ფორუმზე იმყოფებოდა სანკტ-პეტერბურგში და მედვედევსა და სარკოზს შორის იჯდა მოლაპარაკების მაგიდასთან; თუმცა დასავლეთს დიდი რეაქცია არ ჰქონია იმაზე, რომ ეს კაცი იქ იმყოფებოდა. ამიტომ ვიტყოდი, რომ დღეს მდგომარეობა კატასტროფულია. ვიდრე ჩვენ ასეთი ნელი ტემპით, პოზიტიურად თუ არაპოზიტიურად ვმოქმედებთ, რუსეთი დგამს გიგანტურ ნაბიჯებს და ჩვენ თუ ერთ ნაბიჯს ვდგამთ, ის დგამს ხუთ-ექვს ნაბიჯს და მაქსიმალურად მკვიდრდება აფხაზეთის ტერიტორიაზე.

***— კონკრეტულად რა გაქვთ მხედველობაში?***

— რუსეთი მოქმედებს სქემით, რომელიც აპრობირებულია მე-19 საუკუნეში და რომელსაც სხვანაირად სამხედრო დასახლებები ჰქვია. ე.ი. ჯერ ჯარი შეიყვანა, მერე ის ტერიტორია გაამაგრა და შემდეგ ამ ოფიცრების ოჯახები შემოიყვანა და ქმნის დაბის ტიპის სამხედრო დასახლებებს, რაც კავკასიაში ერთხელ უკვე გამოიყენა მე-19 საუკუნეში. თუ ვინმეს არ ახსოვს ისტორია, გადახედოს და ნახოს, როგორ არის დაკავებული სტავროპოლის, კრასნოდარის, როსტოვის ოლქის მხარეები, ზუსტად ამ მეთოდით. იგივეს აკეთებს დღეს აფხაზეთში. როგორც მაშინ ჩვენთან ჩამოგვისახლა სხვადასხვა რჯულის რელიგიური თემის წარმომადგენლები და მხოლოდ იმისთვის კი არ ჩამოგვისახლა, რომ რუსეთიდან მოეცილებინა, არამედ იმისთვის, რომ აქ გაეძლიერებინა რუსული ელემენტი. ზუსტად იგივეს აკეთებს რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, ოღონდ ახლა, დუხაბორების და მალაკნების მაგივრად, სხვადასხვა ტიპის მლოცველები ჩამოჰყავს, ვითომდა წმინდა ადგილების მოსალოცად და თემებს ქმნიან მერე ისინი აფხაზეთში. ასეთი უკვე 20-30 თემი არსებობს აფხაზეთში, რომლებიც არიან დისლოცირებული კონკრეტული სალოცავის გარშემო, მაგალითად, ახალი ათონის მონასტერთან. ახლა გადაეცა ბესარიონ აპლიას. იქ გადაეცა პანსიონატი ახალ ათონთან მდებარე და ახლა სასწრაფოდ იწყებენ მის გადაკეთებას, ზუსტად იმისთვის, რომ ამ მორწმუნეებმა იცხოვრონ იქ. გარდა ამისა, ვიცით, რომ რუს ოფიცრებს, განსაკუთრებით მესაზღვრეებს და ფეესბეს ოფიცრებს, უფლება ენიჭებათ, რომ თადარიგში გასვლის შემდეგ იქ მოითხოვონ მიწა და საცხოვრებელი. ახლა ოფიცრების უამრავი რაოდენობაა თავშეყრილი აფხაზეთში, რუსეთის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული სწორედ იმიტომ, რომ იქ მიწები და საცხოვრებელი მიიღონ. ასევე აფხაზეთის პარლამენტზე ხდება უდიდესი ზეწოლა, რომ მიწის ყიდვის უფლება აფხაზეთში ჰქონდეს ნებისმიერ მოქალაქეს რუსეთიდან და ეს პროცესიც ხვალ თუ ზეგ დაიწყება. რუსეთი ჯერ კიდევ ბევრ რამეზე თავს იკავებს, მაგრამ პუტინის ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, თუ მოხდა ასეთი რამ და ოლიმპიადის შემდეგ, პრინციპში მოხდება აფხაზეთის სრული ანექსია. თვითონ დემოგრაფიული თვალსაზრისით ამ სურათს რუსები შეცვლიან. დემოგრაფიული სურათის შეცვლა არის მათი აპრობირებული მეთოდი. თანაც აფხაზეთი მათთვის ხდება უმნიშვნელოვანესი წერტილი და არა მხოლოდ ოლიმპიადის გამო, ოლიმპიადა ეს ეპიზოდია, არამედ იმის გამო, რომ საშინელი დენადობაა ეროვნებით რუსი მოქალაქეებისა ჩრდილოკავკასიიდან რუსეთის სიღრმეში, ტოვებს რუსული მოსახლეობა ჩრდილოკავკასიას, რითიც რუსეთი იმაგრებდა ამ რეგიონს. რაღაცით ხომ უნდა გაამაგროს ჩრდილოეთ კავკასია და აფხაზეთი მისთვის არის ერთ-ერთი მომგებიანი მიმართულება ამ მხრივ. აქედან გამომდინარე ჩანს, რომ რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში სიტუაცია ისე შეცვალოს აფხაზეთში, რომ შეუქცევადი გახადოს პროცესები. ყველაფერ აქედან გამომდინარე ჩანს, რომ კატასტროფისკენ მიდის საქმე აფხაზეთში. რუსეთი ჯერ კიდევ ანგარიშს უწევს აფხაზურ საზოგადოებას და 2014 წლის შემდეგ კი, დარწმუნებული იყავით, რომ აღარ გაუწევს. ჩიხური მდგომარეობაა და საჭიროა ისეთი კატეგორიული ნაბიჯების გადადგმა, რომ ეს მდგომარეობა შეიცვალოს. კატეგორიულ ნაბიჯებს ვერ გადავდგამთ, რადგან აფხაზები სალაპარაკოდ არაფერზე არ წამოვლენ თუ არ იქნა თამასა მაღლა აწეული, თუ არ იქნა ისეთი რამე შეთავაზებული, რაც მათთვის იქნება მოულოდნელი და ეფექტურიც.




***— და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს შეთავაზება ჩვენი მხრიდან უნდა იყოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება?***

— დიახ, ასეთი თემა არის სწორედ ეს, ოღონდ ჩვენი წინადადებების პაკეტით. რადგან ასეთ ნაბიჯზე მიდის ქართული მხარე, ამიტომ მისი წინადადებები მაქსიმალურად კატეგორიული უნდა იყოს. მთავარი წინადადება კი აქ არის შემდეგი: პირველი წინადადება არის ასეთი — აფხაზეთის დემილიტარიზაცია, რუსული ჯარის მთლიანად გაყვანა და აფხაზებისთვის საერთაშორისო გარანტიების მიცემა, რომ თავდასხმა არ მოხდება საქართველოს მხრიდან, რომ რუსული ჯარი იქ ველარ დაბრუნდეს. აი ეს არის მთავარი პირობა. ამის შემდეგ შეიძლება სხვა ნაბიჯების გადადგმა, ეს არის ლტოლვილების დაბრუნება და სხვადასხვა საკითხები, რომელიც უამრავი შეიძლება იყოს.

***— თუმცა ქართულმა საზოგადოებამ სხვაგვარად გაიგო თქვენი ნათქვამი...***

— რასაკვირველია, გაიგეს, რადგან ქართველმა საზოგადოებამ მხოლოდ ეს გაიგო, რომ აფხაზებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა და დავიშალოთ. ასე არ არის! გაჩნდება სხვა კითხვა, რუსეთი წამოვა თუ არა ამაზე და მისცემს თუ არა აფხაზებს ამის საშუალებას, რომ ჩვენთან მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს და თავის ჯარი გაიყვანოს იქიდან. მილიონში ამის ერთი შანსია, მეტი არ არის. ვთქვათ, არ შედგა ეს მოლაპარაკება, ჩვენი მთავარი მოთხოვნა არის რუსეთის ჯარის გაყვანა. ვთქვათ, მოლაპარაკების მაგიდასთან პირველივე დასმულ შეკითხვაზე მივიღეთ უარი, ფიგურალურად ვამბობ რა, რომ რუსეთის ჯარი იქიდან არ გავა. ვიხურავთ ქუდს და ვბრუნდებით უკან, დამთავრდა მოლაპარაკება, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში წაგებულ მდგომარეობაში არა ვართ, ჩვენ მსოფლიოს ვაჩვენებთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ასეთი ტიპის ნაბიჯი გადავდგათ, მაგრამ რუსეთი არ აძლევს ამის საშუალებას აფხაზებს და რუსეთის ჯარი იმყოფება აფხაზეთის ტერიტორიაზე არა იმიტომ, რომ აფხაზები დაიცვას ჩვენგან, არამედ იმიტომ, რომ მას ეს ტერიტორია სჭირდება თავისი პოლიტიკური ამბიციებისთვის სამხრეთ კავკასიაში. გარდა ამისა, აქ სხვა საკითხებიც არის, არავინ არ იცის და არც უნდა გაიგოს რა ხდება აფხაზეთში. აპრილში ჩაატარეს აფხაზებმა გამოკითხვა თავის ინტელექტუალებსა და თვალსაჩინო წარმომადგენლებში, რომ საქართველოს თანხმობის შემთხვევაში რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს ამას აფხაზეთისთვის. გამოკითხულთა ერთი მესამედი უფრთხის ამას და რატომ იცით?

***— რატომ?***

— ისინი ამბობენ, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ საქართველომ მოგვცა დამოუკიდებლობა და გვცნო მსოფლიომ, ცივილიზებულმა სამყარომ, მაშინ ჩვენ ცივილიზებულ სამყაროში არავინ არ მიგვიღებს თუ ლტოლვილები არ დავაბრუნეთ, ეს ერთი და მეორე, ჩვენ მოგვიწევს კონსტიტუციის შეცვლა იმიტომ, რომ ასევე ცივილიზებულ სამყაროში არავინ არ მიგვიღებს თუ კონსტიტუციაში გვეწერება ფრაზა, რომ მხოლოდ აფხაზი უნდა იყოს პრეზიდენტი აფხაზეთისა. მე იმის თქმა მინდა, რომ ასეთი შიშები იქაც არსებობს. თავად გრძნობენ გარკვეულ ხიფათს ჩვენი მხრიდან მათი დამოუკიდებლობის ცნობისა. თუმცა მე ვიმეორებ, არავითარ დამოუკიდებლობაზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი თუ არ შესრულდა მთავარი პირობები, რომელზეც მე მქონდა ლაპარაკი. ვიმეორებ, შეიძლება ილუზორულია ჩემი ეს პოზიცია და მიზერული შანსიც კი არ არის ამის, მაგრამ პოზიცია ორიენტირებულია იმაზე, რომ მდგომარეობა შევცვალოთ, ინიციატივა ავიღოთ ხელში და რაღაც ნაბიჯები გადავდგათ. არ შეიძლება ხანგრძლივად ჭაობის სიტუაციაში ყოფნა. არაფერი არ ხდება და ჩვენი მეტოქე, ჩვენი მოწინააღმდეგე უზარმაზარი ნაბიჯებით მიდის წინ. აი, ეს არის მთავარი, მთავარი არის, რომ ინიციატივა ავიღოთ ხელში. შეიძლება ეს ჩემი წინადადება არ არის მომგებიანი და არ არის სწორი, კი ბატონო, გასაგებია ჩემთვის, მაგრამ მე ველოდები ყველა სხვა კონსტრუქციულ წინადადებას, რომელიც ამ თემაზე იქნება ნათქვამი. რომ ამბობენ, რუსეთი დაინგრევა ხვალ თუ ზეგო, თუ ჩემი წინადადებაა ილუზორული, ეს არ არის ილუზორული? რა ვიცით, რომ დაინგრევა, რა გარანტიებია? პერსპექტივა ამისი არ არის. თუ პუტინი მოვიდა რუსეთის ხელისუფლებაში, სულ რომ დავარდეს რუსეთის ეკონომიკა, პუტინი არ არის გორბაჩოვი, რომელიც დასავლეთს დაუწყებს თვალებში ყურებას, ეს არის სხვა ტიპის ხელმძღვანელი, რომელიც გააგრძელებს რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას. არის კიდევ სხვა ვარიანტი, რომ ჩვენ ეკონომიკა აღვადგინოთ, ავაღორძინოთ და აფხაზებისთვის საინტერესო გავხდეთ. კი ბატონო, ეს არის ძალიან ხანგრძლივი პროცესი, აბსოლუტურად მისაღებია ჩემთვის ეს პროცესი, მაგრამ ვიმეორებ, რუსეთი არ არის თურქეთი, რომ მან კვიპროსის თურქულ ნაწილში ვერ მოახერხა ის, რასაც რუსეთი აკეთებს აფხაზეთში. აქედან გამომდინარე ჩვენ გვაქვს ძალიან ცოტა დრო და ბევრი პრობლემა, ამიტომ საჭიროა ინიციატივის ხელში აღება და რაღაც კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, თან ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც შესაძლოა ეფექტური იყოს.

***— ასევე მომგებიანი ქართული მხარისთვის...***

— რასაკვირველია. სხვათა შორის, პოლიტიკა არ არის მხოლოდ კომპრომისების ხელოვნება, პოლიტიკა კიდევ ინტრიგის ხელოვნებაც არის და ჩვენს ხელისუფლებას ეს არ ესწავლება. ამიტომ მე ვამბობ, ამ ნაბიჯზე უნდა დავიწყოთ ფიქრი და როცა საზოგადოებისთვის ეს იქნება მისაღები, შემდეგ შესაძლებელია ამ ნაბიჯის გადადგმა. ახლა ისე გამოდის, რომ მე აფხაზეთი გავაჩუქე. მე აფხაზეთს ვერ გავაჩუქებ, ძაანაც რომ მინდოდეს, რადგან აფხაზეთში ვიყავი მთელი ომის განმავლობაში, მე ის ადამიანები მიკიჟინებენ დღეს, რომლებიც იქ თვალით არ მინახავს. მე ჯანი დავტოვე იქ, მარცხენა ფეხი სამუდამოდ ტრავმირებული დამრჩა, ოთხი ჩემი მეგობარი თითქმის ჩემი ხელით დავასაფლავე იქ და არავისგან არ მივიღებ შენიშვნას, რომ მე აფხაზეთი გავყიდე და პლუს კიდევ ოჯახის წევრები მყავს სოხუმელები. მე უბრალოდ მინდა, რომ სიტუაცია გახდეს უფრო დინამიური, მინდა, რომ ქართველმა საზოგადოებამ გამოიღვიძოს, აზრზე მოვიდეს, რადგან ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ჩვენი პრობლემების მოგვარება გადაბარებული გვაქვს სხვებზე. არ აკეთებენ ეს სხვები და ჰა!

***— ბატონო მამუკა, მოდით ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციაც მიმოვიხილოთ. რვიანი ცდილობს აქტიური იყოს, მაგრამ რამდენად აქვს შანსი მათ საქმიანობას? საუბარია, რომ ისინი სამოქალაქო კუთხით გააქტიურდებიან, ინდივიდუალური მოლაპარაკებები დაიწყეს ხელისუფლებასთან, როგორ ფიქრობთ, გამოიღებს ეს ყველაფერი შედეგს?***

— მე არ ვიცი, როცა ერთად იყვნენ, მათმა კონსოლიდირებულმა ქმედებამ შედეგი ვერ გამოიღო და ცალ-ცალკე ქმედებამ რა შედეგი უნდა გამოიღოს, ჩემთვის გაუგებარია. მე მქონდა მათთან საუბრები ამ თემაზე, მაგრამ სიმართლე გითხრათ, შედეგის პერსპექტივა ვერ დავინახე. ჩემი შეფასება ასეთია, მე ვერ ვხედავ ჩამოყალიბებულ, გააზრებულ მოქმედებას რვიანის მხრიდან. ის სხვა საკითხია, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს გააზრებული ქმედება არ ყოფილიყო, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მე მაინც მგონია, რომ პიროვნულმა ამბიციებმა, ზოგ შემთხვევაში პოლიტიკურმა უტიფრობამ, ზოგ შემთხვევაში მოლოდინმა, რომ ხელისუფლება მას თავზე ხელს გადაუსვამს, რა ვიცი, ბევრმა კომპონენტმა განაპირობა რვიანის პასიურობა. მე არ ვიტყოდი რომ კრახი, რადგან იქ არის რამდენიმე პოლიტიკური პარტია, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ და გარკვეული ავტორიტეტიც გააჩნიათ. სხვათა შორის, ზოგიერთმა მათგანმა რეიტინგი ამ კრიტიკულ დღეებში მაინც აიმაღლა. საბოლოო ჯამში თვითონ რვიანის ქმედება, რომელიც ორიენტირებულია საარჩევნო სისტემის შეცვლაზე, ქმედების ხარისხი არ არის იმ დონის, რომელიც ამ ძალიან მნიშვნელოვან იდეას შეესაბამება. მე არ ვიცი, ამ ინდივიდუალურმა მოლაპარაკებებმა რა შედეგი უნდა გამოიღოს. რაზე ლაპარაკობენ ამ შეხვედრებისას, მე ესეც არ ვიცი. ჩემთვის გაუგებარია და რა გითხრათ, შეიძლება ვიღაცას ესმის ეს საკითხი.

***— რვიანში შემავალი პარტიების ნაწილმა განაცხადეს, რომ სექტემბრიდან ისინი გადავლენ წინასაარჩევნო კამპანიაზე. გაჩნდა მოსაზრებები, რომ ისინი იწყებენ ხელისუფლებასთან ვაჭრობას პროცენტებზე, ამას რამდენად დაუშვებთ?***

— სხვათა შორის, კარგი კითხვაა, მაგრამ მოდით მეორენაირად დავაყენოთ საკითხი, ხელისუფლება კი დაიწყებს რვიანიდან ყველა პარტიასთან პროცენტებზე ვაჭრობას? — რასაკვირველია, არ დაიწყებს. აქედან გამომდინარე ამ რვა პარტიიდან რამდენიმემ ხომ ნამდვილად იცის, რომ მათთან ხელისუფლება მოლაპარაკებებს არ აწარმოებს, რადგან მათი ძალა ხელისუფლებისთვის არაფერს არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, ისინი მოინდომებენ თუ არა ხელისუფლებასთან ვაჭრობას. ხელისუფლება არ დაიწყებს მათთან ვაჭრობას და მორჩა. ამიტომ მე არა მგონია, რომ ყველა პარტია იყოს ამაზე ორიენტირებული. ბუნებრივია, იქნება რამდენიმე პარტია, ვინც ამაზე წავა. დასავლეთის ზეწოლაც არსებობს სერიოზული და ხელისუფლების ინტერესებშიც შედის, რომ ეს დასავლეთის ზეწოლა გაანეიტრალოს იმით, რომ ახლავე შექმნას კონფიგურაცია მომავალი პარლამენტისა, თვითონ საკონსტიტუციო უმრავლესობით და დანარჩენებს გადაუნაწილოს ხმები; მაგრამ რვიანის მონაწილე პარტიები შეურიგდება ხმების ისეთ გადანაწილებას, როცა მას არ ეყოლება იქ სერიოზული წარმომადგენლობითი ჯგუფი? — არ ვიცი. თუმცა დღეს საზოგადოება ისეთი აპათიური გახდა, რომ რასაც უნდა, იმას აკეთებს ხელისუფლება. ტარიფების გაზრდისა არ იყოს და ა. შ. თუ გნებავთ, პარლამენტის ქუთაისში გადატანის საკითხი რომ ავიღოთ. ქუთაისში კი არა და სხვა ქალაქშიც შეიძლება გადატანა, არ არის ეს განსაკუთრებულად პრობლემატური, მე სხვა საკითხი მაქვს მხედველობაში. ეს ხომ უზარმაზარი ფული ჯდება?!

***— 100 მილიონზეა საუბარი...***

— 52 მილიონი იყოს, როგორც განაცხადა პირდაპირ ეთერში უმრავლესობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. 52 მლნ მარტო სამშენებლო თანხაა, თორემ იქ რამდენი ფული გახდება საჭირო მისი კეთილმოწყობისთვის, რომ ინფრასტრუქტურა მოეწყოს. მერე ამათ წინ და უკან იარონ. დეპუტატების დიდი უმრავლესობა ხომ თბილისში ცხოვრობს? იმათი ბინის ქირაობა იქ, ტრანსპორტირების ხარჯები და უამრავი სხვა რამ. ამ ასი მილიონის გამოყენება ხომ გაცილებით ეფექტურად შეიძლებოდა ამ უსაშველოდ სოციალური სიდუხჭირის ქვეყანაში?! აი ამიტომ ვარ მე წინააღმდეგი პარლამენტის გადატანის, თორემ ქუთაისის აღორძინების და ქუთაისის განვითარების წინააღმდეგი რატომ უნდა ვიყო?

# ახმეტაში შეიძლება ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტი დაიწყოს

## რა საფრთხის წინაშე დგას პანკისის ხეობა

თეა მარხვაი ე

**ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმაზე საუბარს, რომ პანკისში პრობლემებია. მივეჩვიეთ იმას, რომ რუსებს აქაურობა ჩეჩენი ბოევიკების მოსასვენებელი ადგილი ჰგონია. ამ ყველაფერზე რეაქცია არავის აღარ აქვს, რადგანაც ამან უკვე არასერიოზული სახე მიიღო.**

სამაგიეროდ, პანკისურ ფრონტზე ახალი პრობლემა გაჩნდა და თუ ეს პრობლემა დროთა განმავლობაში არ მოგვარდა, ჩვენ შეიძლება ძალიან სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდეთ. საუბარია ქისტი და ქართველი ახალგაზრდების დაპირისპირებაზე, რომელიც უკვე რამდენიმე წელია რაც გრძელდება და სულ უფრო სერიოზულ სახეს ღებულობს.

ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ამ საკითხის აფიშირება არ აწყობდა. ამიტომაც ამ დაპირისპირებაზე ყველა დუმდა. დუმილის გარდა, არც ახალგაზრდებთან ცდილობდა ვინმე დალაპარაკებას.

ეს თემა ალბათ კიდევ დიდხანს იქნებოდა მიჩუმათებული, ცოტა ხნის წინ ახმეტაში სერიოზული ჩხუბი რომ არ მომხდარიყო. ამ ინციდენტის შესახებ მთელმა საქართველომ გაიგო. ფეხბურთის მატჩის შემდეგ ქართველმა და ქისტმა ბავშვებმა ერთმანეთს სასტიკად სცემეს.

სამწუხაროდ, ინციდენტი ამით არ ამოწურულა და ფიზიკურმა დაპირისპირებამ რამდენიმე დღე გასტანა. ამასთან დაკავშირებით ხმაური ახმეტის საკრებულოს დეპუტატმა, რესპულიკური პარტიის წევრმა ზაქარია ქინქლაძემ ატეხა.

მისი თქმით, ეს პრობლემა რაც შეიძლება მალე უნდა მოგვარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მალე ახმეტაში შესაძლოა ეთნიკური კონფლიქტის მომსწრენი გავხდეთ. ასეთი კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლება არაფერს აკეთებს. თავი არც განათლების სამინისტროს გამოუჩენია. ახმეტის საკრებულოს დეპუტატი ეჭვობს, რომ ეს დაპირისპირება ვილაცის ინტერესებშია. ის ეჭვობს, რომ ბავშვები ვილაცის წაქეზებით მოქმედებდნენ.

განგაშის ატეხვის გამო ქინქლაძესთან დაკავშირებით ბევრს გაუჩნდა პრეტენზიები. პანკისის მკვიდრმა ხასო ხანგოშვილმა ის ლამის ეთნიკური შუღლის გაღვივებაში დაადანაშაულა.

რატომ არის ხანგოშვილის პრეტენზიები უსაფუძვლო, რატომ უპირისპირდებიან ერთმანეთს ქისტი და ქართველი ბავშვები, ვის არ აწყობს მშვიდობა პანკისში და რა შეიძლება მოხდეს მომავალში, ამ თემებზე ზაქარია ქინქლაძე „ახალ თაობას" ესაუბრება.

**ზაქარია ქინქლაძე:**

— ქართველ და ქისტ ბავშვებს შორის დაპირისპირებამ უკვე სერიოზული სახე მიიღო. ასეთი დაპირისპირება უკვე დიდი ხანია რაც გრძელდება. ახმეტაში ხშირად ტარდება სპორტული ღონისძიებები. ბოლო ორი წელია, რაც ეს ღონისძიებები ჩხუბით მთავრდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბავშვები როგორც კი ერთმანეთს ხვდებიან, მაშინვე ჩხუბს იწყებენ. არადა, ქართველებს და ქისტებს ყოველთვის სამაგალითო ურთიერთობები გვქონდა.

***— გამოდის, რომ ქისტი და ქართველი ბავშვები ერთმანეთთან სპორტმა დააპირისპირა.***

— სპორტი არაფერ შუაშია, ეს ყველაფერი არის წაყრუების ბრალი. თავიდან ამ ყველაფერს უბრალო კინკლაობის სახე ჰქონდა, მერე ეს სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ეს ყველაფერი, როგორც უკვე ვთქვი, არის წაყრუების ბრალი. ამ მხრივ თუ არაფერი შეიცვალა, გარწმუნებთ, ძალიან მალე სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით, რომლის მოგვარებაც უკვე ძალიან რთული იქნება. ჩვენს საზოგადოებას ალბათ კარგად ახსოვს, თუ რა პროცესები მიდიოდა წლების განმავლობაში პანკისის ხეობაში. მაშინ ჩვენ, ქართველებიც და ქისტებიც, ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ ვიდექით. სიტუაციას ართულებდა ის, რომ ხელისუფლება არაფერს აკეთებდა პრობლემის მოსაგვარებლად. უფრო მეტიც, ვილაცეები ცდილობდნენ, რომ პანკისის გარშემო ვითარება კიდევ უფრო გამწვავებულიყო. თავად პანკისის პრობლემაც ხელოვნურად იყო შექმნილი. ამით ვილაცეები დიდ ფულს შოულობდნენ. მაშინ იქ დიდი რაოდენობით ფული, იარაღი და ნარკოტიკი ტრიალებდა. შექმნილი ვითარება კარგად გავაცნობიერეთ ქართველებმა და ქისტებმა.



გავაცნობიერეთ, რომ ის სიტუაცია ყველას საფრთხეს უქმნიდა. მართალია ხელისუფლების მხრიდან დიდი იყო წინააღმდეგობა, მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით ვითარების შეცვლა. პანკისთან არსებული ყველა შეზღუდვა მოიხსნა. ხალხმა ჩვეულებრივი ცხოვრება დაიწყო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ერთ დროს ყველაზე კრიმინალურ პანკისში, მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე ნაკლები დანაშაული ხდებოდა. მე არ ვიტყვი, რომ არ იყო პრობლემები. პრობლემები როგორ არ იყო, მაგრამ ძალიან უმნიშვნელო. ჩვენ ისევ მეგობრულად და ძმურად ვცხოვრობდით. დღეს ბავშვებს შორის არსებული უთანხმოება ჩვენს მეგობრობას და მომავალს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. თუ ხელისუფლების სათანადო სტრუქტურები არ ჩაერევიან, ძალიან ცუდად დამთავრდება ყველაფერი. არ შეიძლება დღისით, მზისით, პოლიციის შენობის წინ ბავშვები ერთმანეთს დასდევდნენ და სცემდნენ.

***— ამბობთ, რომ სათანადო სტრუქტურების ჩარევა უნდა მოხდესო. ამაში რას გულისხმობთ, პოლიციამ ბავშვები დასაჯოს?***

— მე ბავშვების დასჯას არ ვითხოვ, მით უმეტეს, მათ დაპატიმრებას. ისედაც მთელი საქართველო ლამის ციხეში ზის. ამ საქმეში პოლიცია ყველაზე ბოლოს უნდა ჩაერიოს. ბავშვებთან უფროსებმა უნდა იმუშაონ. ეს პრობლემა განათლების სამინისტრომ უნდა მოაგვაროს პირველ რიგში. ბავშვებს მასწავლებლები უნდა დაელაპარაკონ. უნდა გააქტიურდნენ მშობლებიც, ასე თუ არ მოხდა, ბავშვების დაპირისპირება შეიძლება ეთნიკურ კონფლიქტში გადაიზარდოს. ამიტომ ვითხოვ დროულ ჩარევას. ბავშვებს ჩხუბს ვერ ავუკრძალავთ. ასეთი რამეები ყველგან ხდება, მაგრამ უნდა გავაგებინოთ, რომ ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება სიკეთეს არავის არ მოუტანს. მათ ეს ისევე უნდა გავაგებინოთ, როგორც ჩვენ გაგვაგებინა ჩვენმა უფროსმა თაობამ.

***— გამოდის, რომ ასეთი დაპირისპირება თქვენს დროსაც იყო?***

— მოზარდებს შორის დაპირისპირება ყველგან და ყოველთვის ხდება. პანკისელ თანატოლებთან ჩემს ბავშვობაში ჩვენც ბევრჯერ მოგვსვლია ჩხუბი.

***— მიზეზი?***

— ათასნაირი მიზეზი არსებობდა. მოზარდებს ჩხუბისთვის ბევრი მიზეზი არ სჭირდებათ, ჩვენც ვჩხუბობდით, მაგრამ შემდეგ ეს შერიგებით მთავრდებოდა. ამ დაპირისპირებაში ყოველთვის ერეოდნენ უფროსები. მათ შორის მშობლები, მასწავლებლები, სამართალდამცავები. ეს ჩარევა შედეგიანი იყო. დღეს ჩვენ ერთმანეთთან ძმობა და მეგობრობა გვაკავშირებს. ბევრი ქისტი მეგობარი მყავს. მე ამ ადამიანებით ვამაყობ. ახლა კი რა ხდება, ბავშვები ერთმანეთს სასტიკად უსწორდებიან. იმ ბოლო ინციდენტის დროს ერთმანეთს სასტიკად სცემეს. სცემეს მსაჯებსაც და ნაციონალების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებსაც. დაპირისპირების დროს გამგეობის აპარატის წარმომადგენლებსაც მოხვდათ. ეს ყველაფერი იმალება.

***— რატომ იმალება?***

— იმიტომ, რომ შეშინებული და დამფრთხლები არიან.

***— ვისი ან რისი ეშინიათ?***

— ეშინიათ, ვინმემ ვინმეს ადმინისტრაციულად პასუხი არ მოსთხოვოს. ამიტომაც იმალებს ეს ყველაფერი. ამის გარდა, ვილაცებს ძალიან უნდათ, რომ ეს დაპირისპირება იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ ინციდენტს არ ექნებოდა ადგილი, რომელიც ცოტა ხნის წინ ახმეტაში მოხდა. ამ ინციდენტის წინა დღეს, ფეხბურთის თამაშის შემდეგ, ბავშვებმა იჩხუბეს. მეორე დღეს, სადღაც 12 საათზე, ქალაქის ცენტრში ასზე მეტი უფროსკლასელი შეიკრიბა. ამ დროს ისინი სკოლებში უნდა ყოფილიყვნენ გაკვეთილებზე. ამათ უკან ვილაცა რომ არ მდგარიყო, ამდენი ბავშვი პოლიციის შენობასთან არ მივარდებოდა.

***— პოლიციის შენობასთან რატომ მივარდნენ?***

— პოლიციაში ჰყავდათ დაკითხვაზე ქისტი ბავშვები, რომლებიც წინა დღეს მომხდარ ინციდენტთან იყვნენ კავშირში. ის ბავშვები უნდა ეცემათ, ამიტომ მივიდნენ პოლიციის შენობასთან. ეს რომ დავინახე, დავიწყე აქეთ-იქეთ რეკვა. დავრეკე რესურსცენტრში, შემდეგ სკოლებში მასწავლებლებთან. შექმნილი ვითარების შესახებ გამგებლის მოადგილესაც შევატყობინე.

***— გამგებელს რატომ არ შეატყობინეთ?***

— იმ დროს გამგებელი ადგილზე არ იყო. ავტეხე განგაში, რამაც შედეგი გამოიღო. უფროსები გამოვიდნენ მათ დასაშოშმინებლად. მთელი უბედურება ისაა, რომ მათ გაკონტროლებას ვერ ახერხებდნენ. ეს ბავშვები არავის ემორჩილებოდნენ, აქეთ-იქეთ გარბოდნენ და თავხედურად იქცეოდნენ. მაქვს ეჭვი, რომ მათ ვილაცა აკონტროლებდა და აქეზებდა. ზურგის გარეშე ისინი ასე მოქცევას ვერ გაბედავდნენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბავშვები ვილაცებმა სკოლიდან გამოიყვანეს.

***— ვის უნდა გამოეყვანა ბავშვები გაკვეთილებიდან ასე მასობრივად?***

— ამის გაკეთება თანამდებობის პირებს შეეძლოთ. ის რაც იმ დღეს ახმეტაში მოხდა, იყო დადგმული სცენარი. ვილაცას ძალიან უნდოდა, რომ ახმეტაში ცუდი ამბავი მომხდარიყო. მოხდებოდა კიდევაც უბედურება, დროულად რომ არ ჩავრეულიყავით.

***— იმ ვილაცს თუ ვილაცეებს რაში სჭირდებოდა ასეთი რამე?***

— როგორც ირკვევა, ვილაცა ვილაცაზე იყო განაწყენებული და ბავშვების მეშვეობით სურდათ სამაგიეროს გადახდა. გითხარით, რომ ეს ბავშვები სკოლიდან გამოიყვანეს. რამდენიმე ბავშვს ვილაცეები უკავშირდებოდნენ. აქ თანამდებობის პირები არიან ჩარეული. სხვა შემთხვევაში პოლიციის შენობასთან ასე თავხედურად არავინ მოიქცეოდა.

***— ამბობთ, რომ თქვენ მიერ ატეხილი განგაშის წყალობით მაშინ ახმეტაში უბედურება არ დატრიალდა. თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თქვენ სულ ტყუილუბრალოდ ატეხეთ განგაში. ერთ-ერთი, ვინც ასე ფიქრობს, არის პანკისის მკვიდრი ხასო ხანგოშვილი. მან ამასთან დაკავშირებით გაზეთში წერილიც კი გამოაქვეყნა.***

— ხასო ხანგოშვილის პრეტენზიებს ვერ დავეთანხმები. მას თუ რამის მიღწევა უნდა, ბავშვების დაპირისპირებაში ჩაერიოს. ისევე მოიქცეს, როგორც პანკისელი თემურ წიწნალაშვილი მოიქცა.

***— ვინ არის ეს ადამიანი და რა გააკეთა?***

— ის არის ძალიან ღირსეული ადამიანი, საკრებულოს წევრი გახლავთ და წარმოშობით პანკისიდანაა. როცა ის დაპირისპირება იყო, თემური მანქანით მიდიოდა სადღაც. გავაჩერე და ვუთხარი რაც ხდებოდა. მაშინვე მობრუნდა, მივიდა პოლიციაში, ჩაერია დაპირისპირებაში და გაანეიტრალა დაპირისპირება. ეს ადამიანი, სხვათა შორის, ნაციონალური მოძრაობიდან არის. ხასოსნაირებს კი ეს სერიოზული დაპირისპირება არ აინტერესებს და იმის მაგივრად, რომ რაიმე სასიკეთო გააკეთოს, ოპოზიციონერობა წამომაძახა.

***— თქვენ ხომ მართლაც ხართ ოპოზიციონერი?***

— დიახ, ვარ ოპოზიციონერი, ვარ რესპუბლიკური პარტიის წევრი. რა შუაშია ამ დაპირისპირებასთან ჩემი ოპოზიციონერობა? პირველ რიგში ვარ ამ ქვეყნის მოქალაქე. ვარ ახმეტის საკრებულოს წევრი. ახმეტაში არსებული ვითარება მეც მეხება. იმ დაპირისპირებაში აუცილებლად უნდა ჩავრეულიყავი. ბავშვებს შორის ვითარების განეიტრალებაზე ხასომაც უნდა იზრუნოს, რომელიც ადრე მასწავლებელი იყო. როგორც მასწავლებელს, არ აინტერესებს, რატომ სრულდება ყველა სპორტული ღონისძიება ჩხუბით. როგორც მასწავლებელი, არ წუხდება იმის გამო, რომ ბავშვები ერთმანეთს ასისხლიანებენ? ჩვენ გამუდმებით ვისმენთ იმას, რომ რუსეთი პანკისის ხეობაში ვითარების დესტაბილიზაციით არის დაინტერესებული. მოსკოვი პანკისში აქამდე ათას უბედურებას დაატრიალებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჩვენი ძმობა რუსეთის ხრიკებზე ძლიერი აღმოჩნდა. თუ ნოყიერი ნიადაგი არ იქნება, პანკისში დესტაბილიზაციას ვერც ერთი ძალა ვერ შეძლებს.

***— ბავშვებს შორის დაწყებული დაპირისპირება შეიძლება გახდეს პანკისში დესტაბილიზაციის მიზეზი?***

— ამ ეტაპზე არა, მაგრამ ხვალ ეს შეიძლება პრობლემა გახდეს. თუ ახლავე არ ჩავერიეთ, ხვალ პროცესებს ველარ დავიჭერთ და პანკისის გარშემო მართლაც ცუდი ამბები მოხდება. ეს ვილაცეებს აწყობს. მე არ მინდა, რომ ასეთი რამ მოხდეს. ამიტომაც ყველაფერს გავაკეთებ დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. იგივეს გაკეთებას ვურჩევ ხასო ხანგოშვილს, რომელიც გაიძახის, კახეთში ყოველთვის მშვიდობა იქნებაო. ვინ მიაწოდა ასეთი ინფორმაცია? ან ვინ მისცა გარანტია, რომ არაფერი არ მოხდება. თუ ჩავერევით, მაშინ მართლაც არაფერი არ მოხდება. ჩემი აქტიურობა სწორედ ამ მიზანს ემსახურება. კარგად მახსოვს, რა ხდებოდა მაშინ, როცა პანკისში პირველი არეულობა დაიწყო. იმ დროს მე ქალაქის გამგებელი ვიყავი. აქტიურად ვერეოდი პროცესებში. მმართველი გუნდი მოქკავშირი იყო. მაშინ ამის გამო მოქკავშირი მსაყვედურობდა. შენიშვნები შევარდნაძის სახელითაც მომცეს. მეუბნებოდნენ, ნუ ერევიო. გაჩუმება არ შემეძლო. ჩემი სამუშაო კაბინეტი დავკეტე და აქციებზე ვიდექი დღედაღამე. პირობა დავდე, რომ კაბინეტში მანამ არ დავბრუნდებოდი, ვიდრე ვითარება არ მოგვარდებოდა.

***— ეს რომელი წელი იყო?***

— ეს 2000 წელს დაიწყო. იმ დროს ადამიანების გატაცება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ბევრი ახმეტელი გაიტაცეს მაშინ. პოლიციელებიც გაიტაცეს. იმ პერიოში მოიტაცეს პეტრე ცისკარიშვილიც. ამ ვითარებას ყოველთვის ვაპროტესტებდი. აქციებს ვმართავდით დღედაღამე, ამის შედეგად შემოვიდა რაიონში შინაგანი ჯარი. ამის შემდეგ ვითარება დარეგულირდა. ამისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ქისტ მეგობრებს. ისინი მაშინაც ჩვენს გვერდში იდგნენ. ჩვენ ბევრჯერ ვისაუბრეთ შექმნილ ვითარებაზე. ვთქვით, რომ ჩვენი ბედი ჩვენს ხელში იყო და თუ არაფერს გავაკეთებდით, შედეგი სავალალო იქნებოდა. ისეთი ვითარება იყო, რომ ჩვენ ერთმანეთს ჩუმად, თანაც ღამე ვხვდებოდით.

***— ჩუმად და ღამე რატომ ხვდებოდით?***

— იმიტომ, რომ პანკისის პრობლემის მოგვარება ბევრი ჩინოვნიკის ინტერესებში არ შედიოდა. იმ პერიოდში იქ უამრავი ნარკოტიკი, იარაღი და ფული ტრიალებდა. მშვიდ ვითარებაში ასეთ რამეს ადგილი არ ექნებოდა. ვილაცეები დიდ ფულს შოულობდნენ დაპირისპირებით. ჩვენ შევძელით ამ ყველაფრისთვის წინააღმდეგობის გაწევა და პანკისის გადარჩენა. ამის გამო ამ ქისტებს დიდ მადლობას ვუხდი. ჩვენ პოლიტიკურად დღეს შეიძლება ერთმანეთის ოპონენტები ვართ, მაგრამ პანკისის გადასარჩენად ერთად ვიდექით. ამას არასდროს დავივიწყებ. ასეთივე ჩარევა უნდა მოხდეს ახლა, თორემ ყველაფერი ცუდად დასრულდება. არ შეიძლება ბავშვებში ეთნიკურ ნიადაგზე შუღლი გაღვივდეს. მე პირადად ამას არ დავუშვებ და ყველანაირად შევეწინააღმდეგები. ამას ვერავინ ვერ დამიშლის. პანკისის პროცესებში ჩარევას თავის დროზეც მიშლიდნენ, მაგრამ ჩავერიე. ჩავერიე იმის მიუხედავად, რომ ოჯახის ამოწყვეტით დამემუქრნენ.

***— ვინ დაგემუქრათ ოჯახის ამოწყვეტით?***

— ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისგან მოდიოდა მაშინ ეს მუქარა. ვილაცები იქ ფულს შოულობდნენ და მშვიდობა არ სურდათ. მაშინ მშვიდობის დამყარება შევძელით. ეს ახლაც უნდა გავაკეთოთ. ქართველებსა და ქისტებს შორის დაპირისპირება არ უნდა იყოს.

***— შეიძლება არ უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ ოდითგან ვუპირისპირდებოდით ერთმანეთს.***

— ვუპირისპირდებოდით. სისხლის აღებაც იყო ჩვენ შორის საუკუნეების წინ, მაგრამ პოემები ქართველების და ქისტების მეგობრობაზე დაიწერა. ვერასდროს დავივიწყებ იმას, რომ ქისტი მეგობრები ჩემთან ერთად წამოვიდნენ აფხაზეთში საქართველოს დასაცავად. ჩვენ ისევ ერთად უნდა ვიყოთ. ამიტომაც ვითხოვ დროულ ჩარევას ბავშვების დაპირისპირებაში. ამის გადადება არ შეიძლება, რადგანაც ხვალ შეიძლება ძალიან გვიანი იყოს.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბეზნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის
აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# მთელი ქვეყანა კორუფციულ ბიზნესშია ჩართული

## ხალხმა წესიერად არ იცის რა უნდა

შორენა კოწოწაშვილი

**ყოფილი დეპუტატი, პოლიტიკური მოძრაობა „სოლიდარობის" თავმჯდომარე, ანზორ აბრალავა, სახელმწიფოებრივი აზროვნების კუთხით არსებულ პრობლემაზე საუბრობს და ქვეყნის პერსპექტივას უფრო მძიმე ფორმებში ხედავს.**

სჭირდება თუ არა ქვეყანას გაუმჯობესებული მიშა და რა უნდა გააკეთოს პრეზიდენტმა, თუ ის მონოპოლიებს ვერ ერევა? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტიკური მოძრაობა „სოლიდარობის" თავმჯდომარესთან, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ ანზორ აბრალავასთან.

***— ბატონო ანზორ, რა რეალობა შეიქმნა ქვეყანაში და რამდენად დამძიმდა პოლიტიკური ვითარება მაისის აქციების შემდგომ?***

— ეს რეალობა საპროგნოზო იყო, განსხვავებული არაფერია. ასეთი მოვლენები მსგავს შედეგს იძლევა. სიტუაცია დამძიმდა იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს არანაირი პროგრესი არ ეტყობა, ტერიტორიები დაკარგულია, პერსპექტივა არ ჩანს, გამოკვეთილი პოლიტიკა და პოზიცია არ არის. მაგრამ მხოლოდ სურვილი საკმარისი არ გახლავთ.

***— მასობრივი პროტესტის სურვილიც არ იკვეთება ხალხში. ამ მხრივ რომ მაინც იყოს აქტიურობა, პოლიტიკოსთა ნაწილის აზრით, ცვლილებები დაჩქარდებოდა.***

— მხოლოდ პროტესტი კი არ არის მთავარი, მოქმედებაში არ იკვეთება არც ერთ დონეზე. ქვეყანას კურსი არ გააჩნია. უფრო მეტიც, მე ვგრძნობ, რომ საზოგადოებამ, ხალხმა წესიერად არც იცის, რა უნდა. ტრაგედია სწორედ ესაა. ხალხს ვერ გაურკვევია, როგორი ქვეყანა უნდა, როგორი სისტემა.

***— ანუ სახელმწიფოებრივი აზროვნების პრობლემაა ქვეყანაში?***

— სახელმწიფოებრივი აზროვნების პრობლემაა, იმიტომ რომ პოლიტიკური პარტიები ხალხს არ სთავაზობენ არავითარ გამოკვეთილ კონცეფციას. ერთ ძალას უნდა, მოვიდეს ხელისუფლებაში იმისათვის, რომ უკვე არსებულ მმართველ ძალას წაართვას ეკონომიკური სადავეები. რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური ინსტრუმენტების მეშვეობით უნდა მოხდეს. მესამესაც იგივე სურვილი აქვს და ის, რომ ქვეყანას რაიმე ქმედითი და სრულად გაწერილი კონცეფცია შესთავაზონ, არ ჩანს. ასეთი კონცეფციები არსებობს, მაგრამ ამას საზოგადოებაში პროპაგანდა არ ეწევა. ამაში ძალიან დიდად სცოდავს მასმედია. მათ აკვიატებული ჰყავთ გარკვეული პარტიები და მუდმივად მათზე მიდის ინფორმაციები. მაგალითად, ოპოზიციური რვიანი ავიღოთ. რა არის ეს რვიანი, რა აკვიატებაა ასეთი?! რა, დიდი შვიდეულის იმიტაციური მოდელია თუ რა? რომელ პარტიას გააჩნია ამ რვიანიდან ასეთი გამოკვეთილი კონცეფცია? — არც ერთს. ეს არის ჩვენი ტრაგედია. საზოგადოება მთლიანად ჩაფლულია მოჯადოებულ წრეში და აქედან გამოსვლა არ უნდა. ახლა საჭიროა ახალი აზროვნება და თამამი მიდგომები და არა ერთმანეთის ლანძღვა-გინება. თუ ასე გაგრძელდა, მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი იქნება ქვეყანაში. დღეს მთელი მსოფლიო პიარზე მუშაობს და საზოგადოების კეთილგანწყობის შექმნას ცდილობს. აქ კეთილგანწყობის შექმნას ისეთი ადამიანები ცდილობენ, რომლებიც ამას ვერასდროს შექმნიან. დიდი უნდობლობაა. დღეს რომ ეს ხელისუფლება და პოლიტიკური კურსი არ გინდა, გასაგებია, მაგრამ შემდეგ რა უნდა გინდოდეს, ეს უნდა იყოს გამოკვეთილი. ჩვენ ახლა გერმანულიდან ვთარგმნეთ, რედაქტირება გავუკეთეთ და ჩემი რედაქტირებით გამოვეცით წიგნი ლუდვიგ ერჰარტი „კეთილდღეობა ყველასათვის". ეს ჩემი აკვიატება კი არ იყო, ვთარგმნე იმიტომ, რომ საზოგადოებამ გაიგოს, მსგავს სიტუაციაში, მსგავსი კატასტროფის დროს როგორ იქცევა ერი, როგორ იქცევა ხელისუფლება და როგორ იქცევიან პოლიტიკური პარტიები. როგორ გახდა ომში დამარცხებული ქვეყანა გამარჯვებული და ის გამარჯვებული საბჭოთა კავშირი როგორ გაქრა არენიდან. ასეთ მაგალითზე უნდა ვისწავლოთ, როგორ ხდება ქვეყანა წარმატებული. როგორ მოდის პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნება. სამწუხაროდ, პოლიტიკური სპექტრი ჩვენთან დგება ძირითადად მოყვარულებისგან, რომელთა დიდ ნაწილს არ გააჩნია არანაირი ხედვა არც საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, არც ეკონომიკური ტრანსფორმაციის, არც სოციალურ პოლიტიკაზე გააჩნიათ გამოკვეთილი კონცეფცია. რა გვინდა ჩვენ, არ ვიცით, ერმა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხელს არ უწყობს იმას, რომ საზოგადოებამ ასეთი კონცეფციები მოისმინონ. რატომ არ გვაძლევენ ტელეეთერს? ჩვენ უარს არ ვამბობთ. არც ერთ ტელევიზიაში მიწვევაზე არ ვიტყვი უარს. ჩვენ გვეძლევა თავისუფლად აზრის გამოთქმისა და თავისუფალი პოლიტიკური მოღვაწეობის საშუალება? ამას მხოლოდ ხელისუფლება კი არ ბლოკავს, ახალი იდეების პრეზენტაციას საზოგადოებისათვის, არამედ ამას ბლოკავენ პოლიტიკური პარტიებიც. მე თუ მკითხავთ, საუბარი საერთოდ უნდა შეწყდეს ამ ე.წ. პოლიტიკურ რვიანზე.

***— რატომ? ისინი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით მუშაობენ და იმედი აქვთ, რომ ხელისუფლებას დაათმობინებენ.***

— არანაირი საარჩევნო გარემო არ უმჯობესდება. ჯერ ერთი, ესენი საკუთარი პრივილეგიის ფარგლებში აზროვნებენ. ან ყველას უნდა ჰქონდეს დაფინანსების შესაძლებლობა, ან არც ერთი პარტია არ უნდა ფინანსდებოდეს ბიუჯეტიდან. ეს არის თანაბარი პირობები. ესენი იმ კახელ ქალს ჰგვანან, დილით სოფლის ბირჟაზე რომ გამოვიდა და თქვა, წუხელ მე და ჩემმა ქმარმა ვიფიქრეთ და ჩემს მაზლს არაფერი არ ეკუთვნის ქონებიდანო. ადგილობრივ არჩევნებში ჩვენ არც კომისიაში გვყავდა ჩვენი წარმომადგენელი, არც ერთი დონის კომისიაში. დამკვირვებლის უფლებაც არ გვქონდა, ისიც ბოლო დღეს წარვადგინეთ. ეს არის საარჩევნო გარემო?! მოგვცენ საშუალება და ძალიან კარგად ვეტყვით, როგორი უნდა იყოს საარჩევნო გარემო. გერმანიაში ორი კანცლერი გადადგა და კატასტროფა არ ყოფილა, იმიტომ რომ იქ თანაბარ პირობებში მიმდინარეობდა პროცესი, იქმნებოდა კოალიციები, ხალხი ავლენდა თავის ნებას და ა.შ. ასე გადადგნენ ადინაუერი, ერჰარდი, ასე მოვიდა კისინჯერი. ჩვენ თუ გვინდა წარმატება და ვიღაცას ვევედრებით და ევროპისა და ამერიკის მოდელზე ვსაუბრობთ, პრაქტიკულად, ხომ უნდა ვერკვეოდეთ ამ მოდელებში. არც ერთი პოლიტიკური პარტია არ სთავაზობს დღეს რეალურ კონცეფციას. გარდა ამისა, მათი დამოკიდებულება უფრო უარესია დანარჩენი პოლიტიკური სპექტრისადმი, ვიდრე ხელისუფლების. მედია ძალიან სერიოზულად უწყობს ხელს ამ ხალხის პროპაგანდას. არ ვიცი, ეს რის ხარჯზე ხდება. მე ცოტა სხვა ეჭვებიც მაქვს და ამის ფაქტებიც არის. მგონია, მთელი საზოგადოება დიდ კორუფციაშია ჩათრეული. ამის გამო მთლიანად ქვეყანა აღმოჩნდა ძალიან დიდ ჭაობში, საიდან გამოსვლაც ძალიან ძნელი იქნება.

***— რა გზით წარმოგიდგენიათ ქვეყანაში რეალური ცვლილებები, სისტემის ცვლილება? ფაქტია, არც არჩევნების გზა ამართლებს და ვერც აქციების.***

— მე ახლა ისეთ რამეს ვიტყვი, რომ შეიძლება გაგიკვირდეთ. პერსპექტივა ჩანს ერთი: ხშირად ჩვენ გვგონია, რომ ადამიანი ცუდია, თუ არის ხელისუფლებაში და კარგია, თუ არის ხელისუფლების მიღმა. ყველაფერი იზომება შედეგებით და ნამოღვაწარით. რატომღაც ჩვენ გვავიწყდება, რომ ადამიანი ფასდება თავისი განვლილი გზით, ბიოგრაფიით. 20-30 წელი როცა ხარ პოლიტიკაში, ხელისუფლების სადავეებიც გაქვს ხელთ და არანაირი შედეგი არ გაქვს, სინდისმა მაინც ხომ უნდა შეგაწუხოს?! პოლიტიკური არენიდან უნდა წავიდეს ის ხალხი, რომელიც საზოგადოებას ატყუებს. საზოგადოების ტრაგედია ის არის, რომ ის თავს იტყუებს.

***— ანუ პოლიტიკური არენიდან გარკვეული ძალების ჩარეცხვა უნდა მოხდეს?***

— ჩარეცხვა კი არა, უნდა მოხდეს ჩაწევა. ძალიან კრიტიკული იყო თქვენი კოლეგა გიორგი უძილაური და მე მომეწონა მისი აზრი, რომელიც ამბობს, ეს ყველაფერი ჩვენ შევქმენითო. პასუხისმგებლობა ყველამ უნდა აიღოს. როგორ შეიძლება, ყველა ყველაფერზე რომ ლაპარაკობს. ზოგს საყველაფრისმცოდნეო აქვს დამთავრებული, ყველაფერზე აქვს პასუხი. ეკითხებიან სხვას ჟურნალისტები? არა. მოგვცენ ღია დიალოგის საშუალება. ან ეს მეორე არხი რას ჰგავს. ვინ გადაინაწილა ეს დრო. თუ ადრე იყო ერთი პარტიის, ახლა გახდა შვიდი პარტიის. ერთი და იგივე სახეებია. ისე, ამ არხმა ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთა: იმდენ სისულელეს ვისმენ იქიდან, ზოგჯერ კარგი წარმოდგენა რომ მქონდა პიროვნებაზე, ჯობდა, არ მომესმინა, იმიტომ რომ, როცა ბევრს ლაპარაკობ და თან — შენთვის უცნობ თემაზე, უფრო მეტ შეცდომას უშვებ. მოგწონთ თქვენ მეორე არხის ფორმატი? ვითომ ტელევიზიებით დრო არ ეთმობოდათ და ეთერი მოიპოვეს. ამ პარტიებს არაფერი შველით. სააკაშვილი ამათთან მართალია. ამათ არაფერი შველის. როგორი კანონიც არ უნდა მიიღონ, ამათ ქართველი ხალხი ხმას არ მისცემს. ესენი ყოველთვის წააგებენ.

***— თქვენი აზრით, რა არის სააკაშვილის გამარჯვების ფორმულა?***

— სააკაშვილმა ძალიან კარგად მონახა საშუალება, რომლითაც ამ პოლიტიკური პარტიების სისუსტეს აჩვენებს ხალხს. საქართველოში სიტყვის თავისუფლების პრობლემა კი არ არის იმდენად, მოქმედების თავისუფლებაა პრობლემა. მოქმედების თავისუფლება, პირველ რიგში, არის არჩევანის თავისუფლება. მე არჩევანის თავისუფლება არა მაქვს. ოპოზიციის კისერზეა ამ არჩევანის თავისუფლების შეზღუდვა. კიდევ ერთხელ ვუბრუნდები: ეს რაღაც კოალიციები რომ იქნება. ესენი ხელისუფლებასთან ცდილობენ გარიგდნენ, როგორ მოვიდნენ ხელისუფლებაში და არა იმაზე, საქართველო როგორ გახდეს წარმატებული ქვეყანა. როგორც პროფესიონალი და როგორც პოლიტიკოსი გეუბნებით: ექვსი თვე უნდა საქართველოს ჩიხიდან გამოყვანას. არ არის ეს ის პრობლემა, რომლის დაძლევაც შეუძლებელია. აფხაზეთის პრობლემებისადმი არაორდინარული მიდგომებია და ეს საკითხიც უნდა დაიძრას.

***— რადგან აფხაზეთის პრობლემა ახსენეთ, ექსპერტმა მამუკა არეშიძემ თავის სატელევიზიო გამოსვლაში აქცენტი საქართველოს მხრიდან აფხაზეთის ცნობაზე გააკეთა. ეს მიზანშეწონილად მიგაჩნიათ არსებულ ვითარებაში?***

— არანაირი მსგავსი ნაბიჯები არ არის საჭირო აფხაზეთის მიმართ. მამუკა არეშიძისნაირმა ადამიანებმა დაღუპეს საქართველო. თავის დროზე ეს ადამიანები სახელმწიფოს დაუპირისპირდნენ, ახლა კი კვლევებსა და ანალიზებს სთავაზობენ. არც ერთი მათგანის პროგნოზმა არ გაამართლა. პრობლემის მოგვარება ხდება მაშინ, როდესაც ამოაგდებ იმ ხელისშემშლელ დეტერმინატორს, რომელიც მოლაპარაკებასა და პროცესის განვითარებას უშლის ხელს. თავიდანვე სწორი იყო მიდგომა — ეკონომიკური მიმართულების გაძლიერება აფხაზეთთან. დღეს იმ თემაზე არ უნდა ვილაპარაკოთ, რაზეც საუბარი არ გამოგვდის. აფხაზეთის მიმართ ყოველგვარ ეკონომიკურ შეზღუდვაზე უარი უნდა ვთქვათ. ჩვენ უნდა გავაღოთ კარი აფხაზეთისთვის აქეთა მხრიდან. ამას უნდა მივცეთ ეკონომიკური ეფექტი. ეს იქნება გადასახადებთან დაკავშირებით, როდესაც აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოსული ხალხი აქ ეკონომიკურ საქმიანობას აწარმოებს. დაწესებული ემბარგო და ეკონომიკური შეზღუდვები ჩვენი თვითონ უნდა მოვხსნათ. მაქსიმალურად ხელი უნდა შევუწყოთ აფხაზეთის სახელმწიფო სტრუქტურებში ინტეგრაციას. ენგურზე უნდა შეიცვალოს რეჟიმი და ახალი ფორმატი უნდა დაწესდეს. ეს უნდა იკისრონ მთლიანად საერთაშორისო ძალებმა. არსებულ სადემარკაციო ხაზზე დადგომა და კონტროლი უნდა მოხდეს. ეს თანდათან ინსტიტუტებისა და ადამიანების ინტეგრირებას გამოიწვევს.

***— ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლება არ მუშაობს?***



— საქართველოში ხელისუფლებაც ისეთია, როგორიცაა ოპოზიციის აღიარებული ნაწილი. კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებით უნდა გამოიყენო ის ხალხი, რომელსაც მეტი კონტაქტები აქვს. სამწუხაროდ, დღეს ეს ყველაფერი ვიწრო პარტიულ ინტერესებზეა აგებული. ერთი პერიოდი იყო და ეს ინერციით დღესაც გრძელდება, რომ ადამიანები „გამარჯობას" პარტიული ნიშნით ეუბნებოდნენ. საქართველოს სჭირდება მთავრობა, სადაც იქნება 50, სიმბოლურად ვამბობ, ამ ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანი. აი, მაშინ მოხდება ამ ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარება. აქვე ერთი თემა შემომაქვს კიდევ — პოლიტიკიდან წასვლა არა მარტო მთავრობას ეხება კრიტიკულ მომენტში, არამედ, იმ პოლიტიკურ ძალებსაც, რომლებმაც სრული ფიასკო განიცადეს და საზოგადოებას ვერაფერს პროგრესულს ვერ სთავაზობენ. ისეთი აზრების პროპაგანდა ხდება და ისეთ აზრებს აფრქვევენ, გეგონება, ეს პოლიტიკოსები არქაულ პერიოდში ცხოვრობენ. ჩამორჩენილი, ყოვლად უპერსპექტივო, ყოვლად გაურანდავი აზრები ისმის. ზოგიერთი პოლიტიკოსი ისე აზროვნებს, გეგონება, ამ ქვეყანაზე არ არის. სამწუხაროდ, ჩვენი ხალხი არ ცხოვრობს ეროვნული პასუხისმგებლობით და ეს სერიოზული პრობლემაა. ნაციონალური აზროვნება საერთოდ მოშლილია.

***— გამოდის, სააკაშვილი მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ ეს ოპოზიცია სუსტია, მე რომ ოპოზიციაში ვიყო, ამ ხელისუფლებას სამ თვეში დავამხობდიო.***

— სააკაშვილი ამაში მართალია. მიხეილ სააკაშვილს სხვა რამეში აქვს პრობლემები, თორემ ოპოზიციის შეფასებაში მართალს ამბობს.

***— ბატონო ანზორ, თქვენ ეროვნულ უპასუხისმგებლობასა და ხალხის მიერ ხელისუფლების მარწუხების შეგუებაზე საუბრობთ. პოლიტიკოსთა ნაწილს მიაჩნია, რომ მასობრივი პროტესტის არგამოთქმის მიზეზი შიშია. ვხედავთ, არაერთი ადამიანი დააპატიმრეს პოლიტიკური ნიშნით. არის მსხვერპლიც.***

— ხალხმა ეს მიიღო თავისი უპასუხისმგებლობით. ამ პოლიტიკურმა ძალებმა ჩაითრიეს მორევში. სამწუხაროდ, არ იყო სათანადოდ გათვლილი ყველა ნაბიჯი. ეს პოლიტიკური პარტიები, გარკვეულწილად, ბიზნესს ეწევიან ხელისუფლებასთან. ზოგი ხელისუფლებიდან იღებს დაფინანსებას. ზოგიერთ პარტიაში მხოლოდ პარტიის თავმჯდომარე და ბუღალტერია. ერთიორჯერ მიტინგსა და პრესკონფერენციას ჩაატარებენ და ამით აჩვენებენ ხელისუფლებასა და ხალხს, ჩვენ ვცოცხლობთო. ამ დროს კმაყოფილი არიან იმით, რასაც იღებენ. როდესაც ხელისუფლებიდან ასეთი შერჩევითი მეთოდით ხდება ოპოზიციური პარტიების დაფინანსება, ეს ხელს უწყობს იმას, რომ ეს პარტიები იყოს გარკვეული კომუფლაჟი. მითხარით ერთი, რომელ პოლიტიკურ პარტიას აქვს კონცეფცია და რომელს წარმოუდგენია თავისი კონცეფციის მიხედვით ქვეყნის განვითარება.

***— მაგალითად, რესპუბლიკელები და „ახლები" აპიარებდნენ პერიოდულად პარტიულ კონცეფციებს.***

— რესპუბლიკელების კონცეფცია იყო „შევარდნაძე გადაარჩენს საქართველოს". ლევან ბერძენიშვილის „მჯერამ" სრული ფიასკო განიცადა. როცა ბერძენიშვილს „მჯერა" მიჰყავდა, მაშინ შევარდნაძესაც არ სჯეროდა საკუთარი თავის. აი, ეს არის ტრაგედია. შემდეგ ბერძენიშვილს სჯეროდა მიხეილ სააკაშვილის და რევოლუციურ ქარცეცხლში ერთად იდგნენ. შემდეგ რატომღაც ამანაც არ გაამართლა. ახლა გეკითხებით, კიდევ რამდენჯერ უნდა გამოვუცხადოთ ნდობა ამ ადამიანებს, რომელთა აზროვნება, ხედვა ასეთი მოკლეა და შორს ვერ იხედებიან. ეს ბრტყელ-ბრტყელი, ირონიული და მოხდენილი საუბრები კი არა, ქმედითი პოლიტიკაა საჭირო. ჯერ გამსახურდია იყო პრობლემა და შევარდნაძე გადაარჩენდა. შემდეგ შევარდნაძე იყო პრობლემა და სააკაშვილი გადაარჩენდა. ახლა რას ფიქრობენ, დათო უსუფაშვილი გადაარჩენს?! არც ერთ ქვეყანაში ამ ხალხს არ შეუშვებენ სახელისუფლებო დერეფანში იმისათვის, რომ მხოლოდ ილაპარაკონ. ხელისუფლებაში რომ მოხვიდე, ამას ძალიან სერიოზული ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. იმ დღეს ვუსმენდი სოლომონ პავლიაშვილს. მესიამოვნა. ხელისუფლებას არ სჭირდება ჭკვიანი ხალხი, იმიტომ რომ ყველა ეძებს თავისნაირს.

***— თქვენი პოზიცია გასაგებია, თუმცა, ხელისუფლების პარალელურად უცხოელებიც აფიქსირებენ, რომ საქართველოში წარმატებული რეფორმები ხორციელდება.***

— რას ჰქვია წარმატებული რეფორმები, შაშკინს მოუსმინეთ თქვენ? წარუმატებელი რომ ყოფილა ეს განათლების რეფორმა. ადამიანი, რომელმაც ეს რეფორმები წამოიწყო და ყელყელაობდა, დღეს გაეროშია. მე მაინტერესებს, ევროპული ორგანიზაციების დასკვნა და შეფასებაა სამართლიანი თუ განათლების მინისტრ შაშკინის? ან ერთი ტყუის, ან მეორე, ან კიდევ — ორივე ერთად. ფაქტია, მოსწავლეები მინიმალურ დონეს ვერ ავლენენ. დამნაშავენი მასწავლებლები ყოფილან. ახლა სამეურვეო საბჭო თუ არ გაათავისუფლებს სკოლის დირექტორს, მაშინ განათლების სამინისტრო მიხედავს. სად არის ეს „წარმატებული" რეფორმა, მითხარით.

***— განათლების რეფორმაში 40 მლნ ჩაიდო. რატომ ვერ მოხერხდა წარმატებული პოლიტიკის გატარება განათლების სისტემაში?***

— ამას გეუბნებით. მთელი ქვეყანაა ჩართული ამ კორუფციულ ბიზნესში.

***— პასუხისმგებლობის დაყენება განათლების წარუმატებელი რეფორმის გამო კახა ლომაიასგან უნდა დაიწყოს?***

— რა თქმა უნდა. ვინ არის ლომაია. ხუბუა გახსოვთ, როგორ იქცეოდა, უნივერსიტეტის რექტორი რომ იყო? მეგრული რომ არ ვიცოდე, ნახევარს ვერ გაიგებ, ხუბუა რას ლაპარაკობს. ხუბუას აუდიტორიაში რა უნდა.

***— ხომ გაუშვეს ხუბუა უნივერსიტეტის რექტორობიდან.***

— გაუშვეს, გასაგებია, ჩვენ ყველა წავალთ. მაგრამ, მთავარი ის არის, სანამ ვართ, რას ვაკეთებთ. წარმოგიდგენიათ, ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო კეცხოველის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორი გია ხუბუა იყოს?! დაცვით რომ დადიოდა, გახსოვთ? რატომ, ბოევიკი გვყავს აქ ვინმე თუ ტერაქტს უწყობდნენ? ვისგან იცავდა თავს? ყველა შემთხვევაში უნდა მოაშოროს ასეთი რექტორი. ვეგან მოაშოროს. მის ქმედებებზე ვინ აგებს პასუხს!

ნანა მიშელაშვილი

# რუსებმა ფეხში ქვა მომარტყეს

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, დეპუტატი გურამ ჩახვა ე ამბობს, რომ გურულებისთვის დამახასიათებელი სიფიცხე აქვს, თუმცა, იშვიათად ავლენს. დეპუტატი ამბობს, რომ ყოველთვის ცდილობს, სიმშვიდე შეინარჩუნოს.**

გურამ ჩახვაძე იხსენებს, რომ ბავშვობაში, დიდუბეში, ეზოს ბიჭები რუსების ბაზაზე გადაძვრნენ, რუსებმა ქვები ესროლეს, კოჭში მოხვდა და ფეხი გაუსივდა.

რატომ იპარებოდა რუსების ბაზაზე ბავშვობაში, რატომ გაუტყდა ლავიწის ძვალი და როგორი თამადაა დეპუტატი?

**„ახალი თაობა“ გურამ ჩახვაძეს ესაუბრა.**

— ***საიდან ხართ ჩახვაძეები?***

— ჩვენ ვართ ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათიდან. გურულები ვართ.

— ***დიდი გვარი ხართ?***

— არა, დაახლოებით 500 ადამიანი ვართ ამ გვარის მატარებელი.

— ***საგვარეულო შეკრებები გაქვთ?***

— არა, თავი ვერ მოვაბით.

— ***საგვარეულო გერბი გაქვთ?***

— არა, გლეხები ვართ და ამით ძალიან ვამაყობ.

— ***პირველი დეპუტატი ხართ, რომელმაც თქვით, რომ გლეხები ხართ, დანარჩენი თითქმის ყველა თავადობას ან აზნაურობას იბრალებს...***

— ჩვენ გლეხები ვართ, ეს ძალიან ნორმალურია, ვიღაც გლეხი ხომ უნდა იყოს? ყველა თავადი ხომ არ იქნება.

— ***გურულებისთვის დამახასიათებელი თვისებები გაქვთ? ფიცხი ხართ?***

— ზოგჯერ ფიცხი ვარ.

— ***სიფიცხე პარლამენტში რომ არ გამოგივლენიათ?***

— ვცდილობ, რომ სიმშვიდე შევინარჩუნო.

— ***ოჯახში ფიცხი ხართ?***

— ოჯახშიც ვცდილობ, რომ მშვიდად ვიყო, მაგრამ არის ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო საკითხები, რაზეც შეიძლება გაბრაზდე.

— ***რამ შეიძლება გამოგიყვანოთ წყობილებიდან?***

— ეს იშვიათად ხდება, თუმცა, შეიძლება ელემენტარულმა რამემ გაგაბრაზოს.

— ***რამდენი შვილი გყავთ?***

— ორი ქალიშვილი მყავს, მარიამი 22 წლის არის, ანა — 14 წლის.

— ***მკაცრი მამა ხართ?***

— არა.

— ***დედა უფრო მკაცრია შვილების მიმართ?***

— არა. მე და ჩემი მეუღლე ვცდილობთ, რომ მეგობრული, ღია ურთიერთობა გვქონდეს შვილებთან.

— ***უფროს ქალიშვილს შენიშვნებს ან რჩევას ძირითადად რაზე აძლევთ?***

— მინდა, რომ დღე დაგეგმილი ჰქონდეს და ყურადღების მიღმა რაიმე არ დარჩეს. თუმცა, არ შემიძლია საყვედური გამოვთქვა ქალიშვილების მისამართით, კარგი შვილები მყავს.

— ***ანა ცოტა ცელქი ხომ არ არის?***

— ანა უფრო თამამია, მარიამი უფრო მორიდებულია, არ შეგაწუხებს. ანა უფრო თამამია, თავისი გატაცებები აქვს. კარგად ხატავს.

— ***მამის პორტრეტი თუ დაუხატავს?***

— კი. ჩემი კარიკატურა დახატა.

— ***მოგეწონათ?***

— რა თქმა უნდა, ხასიათის თვისებები კარგად დაიჭირა. უბრალოდ, კოპირებას არ ახდენს. რამდენიმე წელია, რაც ანა გატაცებულია იაპონიით. ამ ქვეყნის კულტურა, ხელოვნება ძალიან მოსწონს. ახლა ცდილობს, იაპონური ისწავლოს. ის ღირსებები აქვს დაჭერილი, რაც იაპონელებს აქვთ. მე მგონი, იაპონიით გატაცება ჯერ კიდევ მაშინ გამოავლინა, როდესაც ნახატ, ანიმაციურ ფილმებს უყურებდა. ბევრი ფილმია, სადაც ვაჟკაცობაა, სიტყვის პატივისცემა, ის ღირსებები დაინახა, რაც ამ ერშია.

— ***იაპონიაში წასვლა უნდა?***

— კი, ეს ოცნება აქვს.

— ***იაპონურის სწავლა უკვე დაიწყო?***

— ამის სურვილი აქვს და დაიწყებს. ჩემგან განსხვავებით, მარიამიც და ანაც, მშობლიური გარდა, სამ ენას ფლობენ: ინგლისურს, გერმანულსა და რუსულს. მარიამმა ახლა ფრანგულის სწავლაც დაიწყო. ჩემი მეუღლე გერმანისტია და ცდილობდა, შვილებს გერმანული კარგად შეესწავლათ.

— ***ანა მულტფილმის გმირებსაც ხატავს?***

— კი, თავად ქმნის იაპონურ მოტივებზე ნახატებს. კარგი პედაგოგები ჰყავს, საირმის ქუჩაზე სკოლა, სადაც ხელოვნებას ეუფლება, ძალიან კმაყოფილია.

— ***მარიამიც ხატავს?***

— არა.

— ***შვილებს მუსიკალური განათლება აქვთ?***

— კი. ანამ ახლა გიტარის შესწავლა დაიწყო. მარიამი ესეებსა და ჩანახატებს წერდა. მარიამი მამის პროფესიამაც დააინტერესა, პოლიტოლოგიაც აინტერესებს.

— ***შვილებთან ჩაცმულობის გამო თუ კამათობთ?***

— არა, თავად განსაზღვრავენ თავიანთ ჩაცმულობას.

— ***თავად ხომ არ გაძლევენ ჩაცმულობის გამო შენიშვნებს?***

— სხვათა შორის, ანას ყოველთვის ვეკითხებით აზრს, მხატვარია და სხვანაირი ხედვა აქვს.

— ***მერე, როგორ რჩევებს გაძლევთ?***

— კარგ რჩევებს გვაძლევს. რა რას შეეხამება, როგორ გამოვიყურებით, ანას ვეკითხებით. ხანდახან მეუბნება, ეს ჰალსტუხი ამ პიჯაკზე არ მიდის და შეცვალეო. ამაზე ხშირად ვხალისობთ.

— ***ხასიათით რომელი გგავთ, მარიამი თუ ანა?***

— მარიამი.

— ***გარეგნულად?***

— გოგონები, ალბათ, უფრო დედას ჰგვანან...მეც მგვანან.

— ***პირადად თქვენ ხატავდით? ანას ეს ნიჭი საიდან გამოჰყვა?***

— შეიძლება — ჩემი მხრიდან. ვერთობოდი, ბავშვობაში ძერწვა მიყვარდა, ჩანახატებს ვაკეთებდი, თუმცა, ამას რაიმე სერიოზული გაგრძელება არ მოჰყოლია.

— ***ბავშვობაში მუსიკაზე დადიოდით?***

— საბჭოთა პერიოდში სავალდებულო იყო, უნდა გევლო ცეკვაზე და მუსიკაზე. ცეკვაზე კარგა ხანი დავდიოდი, მერე თავი დავანებე. მუსიკაზე 5 წელი ვიარე და შემდეგ იქიდანაც გამოვედი.

— ***რატომ?***

— აღარ მინდოდა. მერე მივხვდი, რომ თავი არ უნდა დამენებებინა. ახლა პიანინოზე ჩემთვის რაღაცებს ვუკრავ.

— ***სმენა გაქვთ?***

— სმენა უნაკლო მაქვს. შემიძლია, დაბალ ხმაზე მუსიკას ავყვე. შემიძლია მივხვდე, როდესაც ადამიანი მღერის, სად უშვებს შეცდომას და სად — არა. სახლში, მეგობრების წრეში სიმღერას სიამოვნებით შემიძლია ავყვე. სუფრაზე, თუ ვიწრო წრე არ არის, ამ მხრივ აქტიურობას არ ვიჩენ.

— ***რამდენი ჭიქის შემდეგ რისკავთ, რომ სიმღერას აჰყვეთ?***

— როდესაც შევზარხოშდები. ძალიან მიხარია, როცა სუფრასთან მომღერლები არიან. სიმღერის გარეშე სუფრა სუფრა არ არის. სხვანაირად იმუხტები და დროს სხვანაირად ატარებ, როდესაც სუფრასთან მომღერალი, ხელოვანი ხალხია.

— ***ზოგიერთი დეპუტატი ამაყობს, რომ რამდენიმე ლიტრი ღვინის დალევა შეუძლია. თქვენ რამდენი ლიტრის დალევა შეგიძლიათ?***

— არ დამითვლია. შემიძლია, სუფრის დასაწყისიდან ბოლომდე ვიყო და ფეხი არ შემეშალოს, თავს კონტროლი გავუწიო. მთავარი დათრობა არ არის.

— ***დიდ სუფრებზე თამადა ყოფილხართ?***

— კი, ოღონდ თამადობა არ მიყვარს. თამადობას სხვა ნიჭი უნდა. ცხონებული ვანო ხუხუნაიშვილი როდესაც სუფრასთან იყო, იქ შენ თამადა არ უნდა ყოფილიყავი. თამადობას თავისი შინაგანი განწყობა უნდა.

— ***მკაცრი თამადა ხართ?***

— არა, სუფრაზე ხალხი უნდა მოალხინო, შენიშვნები კი არ უნდა მისცე. თუ თამადა ხარ, ისე უნდა ითამადო, რომ განწყობა შექმნა და ყველამ გისმინოს. თუ ამას ვერ ახერხებ, მაშინ თამადა მოიკოჭლებს. სუფრა მოლხენისაა.

— ***განსხვავებული სასმისებით შეგისვამთ?***

— როგორ არა.

— ***კრამიტით დაგილევიათ?***

— დამილევია.

— ***როგორი დასალევია?***

— ნორმალური.

— ***არ გაწუწულხართ?***

— არა. კრამიტი ისე უნდა დაიჭირო, რომ მოხერხებულად დალიო. კახელებმა მასწავლეს კრამიტით დალევა. ძირითადად კახელები სვამენ კრამიტით. გურიაში დამილევია როდინით, სუნელს რომ ნაყავენ, იმით. კიდევ — ლამფის შუშით დამილევია.

— ***გაჭვარტლული ლამფის შუშით?***

— არა, გაჭვარტლული არ იყო. ესთეტიკურ სიამოვნებაზე ვიზრუნეთ და გაჭვარტლული არ ყოფილა. სადაც ყოფილა განსხვავებული სასმისი, თუ განწყობა მქონია, თავი არსად ამირიდებია.

— ***რომელი სასმისით არის ყველაზე რთული ღვინის შესმა?***

— ჭინჭილებით. პატარა ნაკრებია. ამით არის ყველაზე რთული დალევა. ყველაზე კარგია, როდესაც ყანწით მიირთმევ სადღეგრძელოს. ყანწი სტიმულს გაძლევს, უფრო კაცურია.

— ***სიყვარულის სადღეგრძელოს რომელი განსხვავებული სასმისი უხდება?***

— ბროლის სასმისი. ლამაზი უნდა იყოს, როგორიც სიყვარულია.

— ***ისე დამთვრალხართ, რომ წინა დღეს რა მოხდა, არ გხსომებიათ?***

— არა. თავი უნდა აკონტროლო. შესაძლოა, სტუდენტობის დროს ძალიან დავმთვრალვარ, მაგრამ თავს კონტროლს ყოველთვის ვუწევ.

— ***ღვინის დაყენება იცით?***

— თეორიულად — კი.

— ***პრაქტიკულად?***

— არ დამიყენებია.

— ***საქეიფოდ რომელი ღვინო გირჩევნიათ?***

— რქაწითელი.

— ***არყით ქეიფი როგორია?***

— ცუდი. რქაწითელი კარგია შემოდგომაზე და ზამთარში, სხვა განწყობაზე გაყენებს. ზაფხულში უფრო იმერული და ქართლის ღვინოა კარგი. არყით სიმთვრალე განსხვავებულია, ვიდრე ღვინით. არყით ვერ იქეიფებ. სადღეგრძელოები ისე არ მოდის, როგორც ღვინით. ქართველები საერთოდ არყით არ ქეიფობენ, თუ არ ჩავთვლით ისეთ რეგიონს, სადაც ყურძენი არ მოდის. მთიან რეგიონებში უფრო არაყია გავრცელებული.

— ***ლუდზე რას იტყვით?***

— ლუდი მიყვარს. თითქმის ყველა ქვეყანას აქვს კარგი ლუდი. თუკი მივლინებაში ვარ და საშუალება, ლუდი მივირთვა, მირჩევნია, იმ ქვეყნის ლუდი დავლიო. ბელგიელებს აქვთ კარგი ლუდი, ირლანდიელებს აქვთ შავი ლუდი, ძალიან კარგია.

— ***ლუდით სადღეგრძელოს თქმა შეიძლება?***

— მე მგონი, კურთხევა არის, რომ ლუდითაც შეიძლება სადღეგრძელოს დალევა. თუმცა, სადაც ღვინოა, იქ რატომ უნდა დალიო ლუდით სადღეგრძელო? ლუდით უკუღმა სადღეგრძელოება. ესეც ტრადიციის შემადგენელი ნაწილია. რამდენიმე ასეთი სადღეგრძელოა, რომელსაც ლუდით ვსვამთ: მოდით, იმ ოჯახს გაუმარჯოს, სადაც ქათამი თავისი სიკვდილით კვდება.

— ***კიდევ როგორ სადღეგრძელოს სვამენ ლუდით?***

— ბოლოს ასეთი სადღეგრძელო მოვისმინე: ოქრუაშვილის კაცურ სიტყვას გაუმარჯოს! იუმორით გაჯერებული სადღეგრძელოა.

— ***ლუდით პოლიტიკოსებს ადღეგრძელებთ?***

— არა.

— ***სადილების მომზადება თუ შეგიძლიათ?***

— რა თქმა უნდა.

— ***ხაჭაპურის გამოცხობა შეგიძლიათ?***

— შემიძლია, მჭადის გამოცხობაც შემიძლია. ერთხელ სოფელში მეგობრებთან ერთად ჩავედი, ბებია არ დამხვდა და მჭადი გამოვაცხვე. გურიაში, ჩოხატაურში, ჩემი დედულეთია, ბებიასთან ჩავედი, მჭადის ფქვილი ვნახე და ნამდვილი მჭადები დავაცხვე, ზეთის გარეშე.

— ***ხინკალი გაგიკეთებიათ?***

— ხინკლის გაკეთება არ მიცდია, იმიტომ რომ ხინკალს ჩემი მეუღლე აკეთებს, წარმოშობით მთიულია, ბურდულის ქალი. ეს მისი პრეროგატივაა. მწვადი შემიწვავს, ფოლგაში თევზი შემიწვავს, შემიძლია, „ოსტრი“ მოვამზადო. ხორცთან დაკავშირებული საჭმელების მომზადება კარგად მეხერხება.

— ***სადილების მომზადება სად ისწავლეთ?***

— არ მახსოვს, თავისთავად ვისწავლე.

— ***სტუდენტობის პერიოდში მარტო ცხოვრობდით?***

— არა. წარმოშობით გურიიდან კი ვარ, მაგრამ თბილისელი გურული ვარ. სტუდენტობის დროს თუ ქალაქგარეთ გავდიოდით ან ახლა, უარს არ ვამბობ, რომ სადილი მოვამზადო იმით, რაც გვაქვს. ასე რომ, ისე არა ვარ, რომ ამბობენ, კვერცხს ვერ შევწვავ და ჩაის ვერ ავადუღებო.

— ***ყველაზე მეტად რისი მომზადება გიყვართ?***

— ხორცეულის.

— ***ბავშვობაში რაიმე ნივთებს აგროვებდით?***

— მარკებს ვაგროვებდი და მერე თავი დავანებე.

— ***მობილურ ტელეფონს ხშირად იცვლით?***

— არა. სანამ მუშაობს, მაქვს, ახლა გამიფუჭდა და უნდა გამოვცვალო. მობილურმა თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს — კომუნიკაციის. აქ მთავრდება ჩემი მობილურთან ურთიერთობა.

— ***სათვალეს დიდი ხანია ატარებთ?***

— კი, მხედველობის პრობლემა მაქვს, ბავშვობიდან ვატარებ.

— ***ბავშვობაში ზედმეტ სახელს გეძახდნენ?***

— კი.

— ***რას?***

— ჩიტირის.

— ***ასე რატომ გეძახდნენ?***

— სათვალე მეკეთა და ოთხი თვალი რომ მქონდა, ამის გამო მეძახდნენ ჩიტირის.

— ***არ გწყინდათ?***

— არა, ასე მეგობრები მეძახდნენ. ბავშვობაში ყველას ზედმეტი სახელი ჰქონდა. მერე უკვე ნამდვილ სახელებს ვეძახდით ერთმანეთს და ეს ზედმეტი სახელებიც დაიკარგა.

— ***სტუდენტობის პერიოდშიც გქონდათ ზედმეტი სახელი?***

— არა.

— ***ხიფათიანი ბავშვი იყავით?***

— არა, თუმცა, სახლში ყოფნა არ მიყვარდა, სულ ეზოში ვიყავით.

— ***ბავშვობაში ხელი ან ფეხი მოტეხილი გაქვთ?***

— კი, ფეხი მაქვს დაზიანებული.

— ***როგორ?***

— დიდუბეში, ეკლესიის გვერდით, რუსების სამხედრო ბაზა იყო კავშირგაბმულობის განხრით. შაბათ-კვირას ფილმებს უშვებდნენ. ეზოს ბიჭები გადავძვრებოდით ღობეზე და შესვლას ვცდილობდით. ერთხელ არ შეგვიშვეს ოკუპანტებმა და ქვა მესროლეს. ფეხში მომხვდა, ძალიან დამისივდა.

— ***რამდენი წლის იყავით, ეს რომ მოხდა?***

— ალბათ — 12-ის.

— ***ასეთი რა ფილმი იყო, რომ მისი ნახვა გინდოდათ?***

— რა ფილმი იქნებოდა, რაღაც საბჭოთა ვესტერნი იყო.

— ***საბჭოთა ვესტერნის გამო ფეხი დაიზიანეთ?***

— კი, სისულელე იყო, წავსულიყავით კინოში, მაგრამ ბავშვური ახირება იყო, ერთმანეთის ვბაძავდით, შევიდოდით თუ არა ფილმის სანახავად. ეს არ იყო სარაკეტო ბაზა, თორემ, ალბათ, იქიდან რაკეტებს გვესროდნენ.

— ***ბავშვობის ან სტუდენტობის პერიოდიდან სხვა ტრავმა გაქვთ რამე?***

— სტუდენტობის დროს ავარიაში მოვყევი და გადავრჩი. მანქანა ფერდობზე გადავარდა, ჩვენი მეგობარი საავადმყოფოში მოხვდა, მე გადავრჩი. ეტყობა, ჩემი ტანის სიმძიმის გამო სკამებს შორის ჩავჭედილიყავი. ავარიაში კიდევ ერთხელ მოვხვდი — 90-იან წლებში დიდი თოვლი იყო, მაშინ მოვხვდი ავარიაში და სერიოზულად დავშავდი, ლავიწის ძვალი გავიტეხე, ასევე — ცხვირი, საავადმყოფოში კარგა ხანს ვიყავი.

— ***ბავშვობაში ეზოში ჩხუბი ხშირად მოგდიოდათ?***

— პატარა-პატარა ჩხუბები იყო.



**დეპუტატ ჩახვა ეს ავარიის დროს ცხვირი გაუტყდა**

ნათია ხურცილავა

# როგორი უნდა იყოს ქრისტიანული ოჯახი

## ცოლ-ქმრად წყვილი მაშინ ითვლება, როდესაც ეკლესიაში მოძღვრის მიერ აქვთ ჯვარი დაწერილი

**ჯვრის მამის ტაძრის მოძღვარს, დეკანოზ თავმას ჩოხელს, ქართულ ოჯახსა და იმ ტრადიციებზე ვესაუბრეთ, რომლებიც უკვე, შეიძლება ითქვას, აქტუალური აღარ არის.**

***— მამა თავმას, როგორი უნდა იყოს ოჯახი? ოჯახის ინსტიტუტი ძალიან მნიშვნელოვანია. ხშირად ამბობენ, რომ ოჯახი პატარა სახელმწიფოა. ტრადიციული ქართული ოჯახები ნელ-ნელა თითქოს ისტორიის კუთვნილება ხდება...***

— უფალმა იესო ქრისტემ თავად აკურთხა ოჯახის შექმნა კანას გალილეას, როდესაც ის სვიმეონ კანანელის ქორწილში იმყოფებოდა. იესო ქრისტემ ამ ქორწილში სასწაული მოახდინა — როდესაც ღვინო შემოელიათ, წყალი ღვინოდ აქცია.

ოჯახი ქრისტიანულ ტრადიციებზე უნდა იყოს დაფუძნებული. აუცილებელია, წყვილი ჯვარდაწერილი იყოს. ერთმანეთის პატივისცემა უნდა ჰქონდეს ცოლ-ქმარს. ურთიერთპატივისცემა ცხოვრების მთელ გზაზე ძალიან მნიშვნელოვანია. რამდენ შვილსაც ღმერთი მიჰმადლებს, იმდენი უნდა იყოლიონ. შვილები ქრისტიანულად უნდა აღზარდონ. ოჯახმა შვილები, მომავალი თაობა მამულს, ერს ქრისტიანულად უნდა აღუზარდოს. ოჯახის წევრებს შორის აუცილებელია თბილი და მოსიყვარულე ურთიერთობა იყოს. მერე ეს სხვებზეც გადადის, რაც კარგია. ქრისტიანული მიდგომა უნდა იყოს ოჯახში არსებული პრობლემების მიმართ. ცოლ-ქმარს შორის ფაქიზი ურთიერთობა უნდა არსებობდეს. შემდეგ მათგან შვილები სწავლობენ. ბავშვი ხომ სუფთა დაფასავით არის — რასაც ჩაწერს მშობელი, ოჯახი, სკოლა, მერე ის აისახება ბავშვზე.

***— პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში წერს, ცოლი მონაა მეუღლის და რომ მას უნდა დაემორჩილოს. ხშირად ამ სიტყვებს ქალები აპროტესტებენ. განვმარტოთ, რა იგულისხმება ამ ფრაზაში...***

— როგორც უფალია ეკლესიის თავი, ისეა მამაკაცი ოჯახისა და დედაკაცის თავი. ეს ნიშნავს, რომ მამაკაცი ოჯახის თავია და მას ევალება ოჯახზე ზრუნვა. ის, მართალია, არის უპირატესი, მაგრამ ეს არ ნიშნავს მბრძანებლობასა და ბატონობას. ტრადიციულად, მამაკაცია მოვალეა, ოჯახი შეინახოს, არჩინოს, მასზე იზრუნოს და უყვარდეს. სამწუხაროდ, დღეს სხვანაირადაც ხდება, მაგრამ ყველა ქრისტიანულ ოჯახში პატრიარქატი უნდა იყოს. მამაკაცი მამაკაცს უნდა ჰგავდეს და ქალი — ქალს. როდესაც როლები შეცვლილია და მამაკაცის ტვირთს ქალი იღებს, როდესაც ქალი ხდება ოჯახში შემომტანი, მაშინ ჩნდება პრობლემები. თუმცა, რასაკვირველია, ყველა შემთხვევაზე ამას ვერ ვიტყვით.

***— ისევ პავლე მოციქულის სიტყვებს რომ დავუბრუნდეთ, როგორც ქრისტეს უყვარს ეკლესია, ისე უნდა უყვარდეს მამაკაცს თავისი ოჯახი?***

— რასაკვირველია, სწორედ ამაზეა საუბარი. უფალი თავად არის სიყვარული და უფალი ასწავლის ადამიანებს, როგორ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, ოჯახი, სარწმუნოება.

***— შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთია ჯვრისწერა. ქრისტიანული ოჯახი ჯვრისწერის საიდუმლოს აღსრულებით იწყება...***

— ეს აუცილებელია. ჯვრისწერის გარეშე ქრისტიანული ოჯახის შექმნა წარმოუდგენელია. ოჯახის შექმნა ეკლესიურად უნდა ხდებოდეს. ორივე, ქალიც და ვაჟიც, უნდა იყოს აღმსარებელი, მაზიარებელი. ადამიანი რომ ეკლესიაში დადის, ეკლესიურად რომ ცხოვრობს, მას ვერც წარმოუდგენია, სხვანაირად შექმნას ოჯახი. დღეს პატრიარქის ძალისხმევით, მისი მოძღვრებით იზრდებიან ბავშვები ეკლესიაში. ეს ძალიან კარგია და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ადამიანი, რომელიც ეკლესიის წიაღშია, მოძღვრის ლოცვა-კურთხევით იზრდება, როცა სრულწლოვანი გახდება, ნაკლებ ბოროტებას ჩაიდენს, უფრო მეტი სიყვარული ექნება ადამიანების, სამშობლოს მიმართ.

***— 70 წელი კომუნისტური რეჟიმი იყო და ადამიანები ჯვრისწერას ვერ ახერხებდნენ. დღეს ძალიან ბევრია ასეთი წყვილი. მათ ჯვარი უნდა დაიწერონ, ასაკის მიუხედავად?***

— რასაკვირველია, უნდა დაიწერონ.

***— მაგრამ, თუ ერთ-ერთი მეუღლე გარდაცვლილია?..***

— ეს ტრაგედიაა. სასურველია, რომ ადამიანმა სიცოცხლეში მოაწესრიგოს თავისი პირადი საკითხები. ცოლ-ქმარი ღვთის წინაშე მართალი უნდა იყოს. ამას უნდა შეეცადონ. ერთ-ერთი პირველი, რომ ღვთის წინაშე წყვილი მართალი იყოს, არის ქრისტიანული ჯვრისწერა. ჯვრისწერა მეუღლეების სიცოცხლეში უნდა შესრულდეს. იმ ცოლ-ქმარმა, რომლებსაც ჯვარი დაწერილი არა აქვთ, აუცილებლად უნდა დაიწერონ, ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღვთის წინაშე ეს მრუშობაა და სხვა არაფერი. ეს ადამიანები ერთმანეთისთვის არაფერი არ არიან, შეიძლება, შვილები ეყოლოთ, აღზარდონ, მაგრამ ცოლ-ქმარი არ არიან ღვთის წინაშე. ადამიანი უნდა შეეცადოს, რომ შეძლებისდაგვარად მართალი იყოს ღვთის წინაშე.

***— არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ ჯვრისწერა არ არის სავალდებულო, რადგან მათ ხელი აქვთ მოწერილი...***

— ხელისმოწერა იურიდიული დოკუმენტია. ეს არ ვრცელდება ეკლესიაზე. ცოლ-ქმრად წყვილი მაშინ ითვლება, როდესაც ეკლესიაში მოძღვრის მიერ აქვთ ჯვარი დაწერილი. ხელმოწერა იურიდიული დოკუმენტია, რომელიც ადამიანებს, რასაკვირველია, ცხოვრებაში სჭირდებათ. ხელმოწერა საერო ფორმალობაა.

***— გქონიათ შემთხვევა, რომ ასაკოვანი ცოლ-ქმრისთვის დაგიწერიათ ჯვარი? თუ ითვალისწინებენ ამ მოწოდებას ასაკოვანი წყვილები?***

— დიახ, მქონია შემთხვევები, როდესაც ასაკოვანი წყვილისთვის დამიწერია ჯვარი. ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ჯვრისწერა სახლში სრულდება.

***— რა შემთხვევაში?***

— როდესაც ერთ-ერთი მეუღლე ავად არის. დანარჩენ შემთხვევაში ჩვეულებრივ ეკლესიაში სრულდება ეს რიტუალი. როგორც გითხარით, თავად უფალმა აკურთხა ქორწილი და, ამდენად, ჯვრისწერა ძალიან მნიშვნელოვანია. ორი გზა არსებობს: ერთი — ან ადამიანი უნდა აიღკვეცოს და უფალს მიუძღვნას თავისი სიცოცხლე, ან უნდა დაოჯახდეს და ერი გაამრავლოს. ადამიანის ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც მას ღმერთმა დააკისრა, ერის გამრავლებაა. ადამიანი რომ ოჯახდება, ამით ერს ამრავლებს, შვილებს აღზრდის, ზოგი ექიმი გამოვა, ზოგი — ინჟინერი, ზოგი სოფელს გაამაგრებს და მას აღორძინებს, გამოადგება მეორე ადამიანს, ქვეყანას.

***— ხშირია ოჯახების დანგრევის ფაქტები. რაც შეეხება ჯვრის აყრას, რამდენჯერ შეიძლება იგი?***

— სამწუხაროდ, წყვილები საკმაოდ ადრეულ ასაკში ოჯახდებიან. ძალიან ადრეულ ასაკში დაქორწინებულებს შორის ხშირია განქორწინების ფაქტები. არასრულწლოვანი ადამიანი ჩამოუყალიბებელია, განსაკუთრებით — ქალი. ადრეულ ასაკში ქორწინება არ უნდა მოხდეს. როგორც ღმერთმა დააწესა, სრულად ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მოხდეს დაოჯახება. ოჯახის შექმნა არ არის ადვილი და არც მისი დანგრევაა ძნელი. ღმერთმა ყველას აშოროს ოჯახის დანგრევა. ადამიანი ყოველთვის უნდა შეეცადოს, რომ ოჯახი არ დაინგრეს. შვილს სჭირდება როგორც დედა, ისე — მამა. შეიძლება, ცოლ-ქმარს შორის იდეალური და ჰარმონიული ურთიერთობა არ იყოს, მაგრამ უნდა შეეცადონ, რომ იმას, რასაც ღმერთი აერთიანებს, არ დაანგრიონ. ოჯახი შეინარჩუნონ, შვილებს გაუფრთხილდნენ. ბავშვს ცალმხრივად აღზრდა მთელი ცხოვრება კვალად გაჰყვება.

***— მაგრამ, თუ მეუღლე ლოთია, ნარკომანია, ძალადობას აქვს ადგილი?***

— ამ შემთხვევაში ეკლესიას უნდა მიმართოს და ეპისკოპოსი პირადი მოძღვრის რეკომენდაციით ახდენს ჯვრის აყრას.

***— ქართული ტრადიციული ოჯახი რამდენიმე თაობისგან შედგებოდა. ასეთ ოჯახებში ბავშვებიც სხვანაირები იზრდებოდნენ, რადგან მათ ხშირად ბებიები ზრდიდნენ. დღეს ასე არ არის, ფსიქოლოგები ამბობენ, რომ შვილი დედამ უნდა გაზარდოს. ეკლესიის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი როგორია?***

— საქართველოში, განსაკუთრებით მთაში, სადაც პატრიარქატია, იყო დიდი ოჯახები, ყველანი ერთად ცხოვრობდნენ — შვილები, შვილიშვილები, მათი წინა თაობა. ეს ტრადიცია მოიშალა, აღარ არის. მართალია, მთის რეგიონებში არის ასეთი ოჯახები, მაგრამ უკვე იქაც იშვიათობაა, სამწუხაროდ. საზღვარგარეთ როდესაც ბავშვი სრულწლოვანი გახდება, სკოლას დაამთავრებს, მერე მას მშობლები ცხოვრების გზაზე უშვებენ. დიდად არც დარდობენ, ასეთია მათი დამოკიდებულება, მაგრამ საქართველოში სულ სხვა ტრადიციებია და ოჯახის ინსტიტუტი ძალიან ძლიერია. საქართველო ტრადიციების ქვეყანაა და ეს იქიდანაც ჩანს, როდესაც გარდაცვლილი მამა შვილებზე საიქიოდანაც ზრუნავს.

***— რას გულისხმობთ?***

— იმას, რომ მამის მეგობრები, ახლობლები მათი მეგობრის შვილს ხელს აშველებენ, ცდილობენ, ცხოვრებაში ნაბიჯის გადადგმაში მიეხმარონ. გარდაცვლილი მშობლის სახელიც კი ზრუნავს საქართველოში შვილებზე.

***— ეს მართლაც საოცარია...***

— ჩვენ ხომ მდიდარი ადამიანები ვართ შინაგანად. ჩვენ, როგორც ჩვენმა ღირსეულმა წინაპრებმა გვასწავლეს, ისე უნდა ვიცხოვროთ, ქართველებად უნდა ვიცხოვროთ და კარგი ტრადიციები, რომლებიც გვაქვს, არ უნდა დავკარგოთ. შვილის მიერ მშობლების პატივისცემა და პირიქით ნამდვილად არის კარგი ტრადიცია და არ უნდა დავკარგოთ.

***— ამბობენ, თითქოს ქალისადმი პატივისცემა ჩვენს ქვეყანაში შეილახა, მიუხედავად იმისა, რომ დედის კულტი ზოგადად არსებობს, თუ ეს მხოლოდ გარეგნული ფორმაა?***



— მე 43 წლის ვარ და მახსოვს, ჩემს ბავშვობაში 25-30 წლის წინ სხვანაირი პატივისცემა იყო ქალისადმი, განსაკუთრებით მთაში, რა თქმა უნდა, ბარშიც. ქართველი ის ერია, რომელმაც დედას ძეგლი დაუდგა. ქალის უფლებების დაცვის გამო ბევრი არასასიამოვნო ფაქტი მოხდარა. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ ქალს. მართალია, დღეს შეიცვალა ეს დამოკიდებულება, მაგრამ მაინც არის ქალისადმი პატივისცემა და იმედს ვიტოვებ, ყოველთვის იქნება ღვთის ნებითა და ღვთისმშობლის მფარველობით საქართველოში ქალის პატივისცემა.

***— როგორ უნდა აღზარდონ შვილები დედებმა?***

— სამწუხაროდ, ბავშვებს აკვანში უკვე აღარ ზრდიან, მაგრამ იქ, სადაც წევს ბავშვი, აუცილებლად თან ჯვარი უნდა იყოს. ჩვილობიდან, სანამ მხედველობა განუმტკიცდება ბავშვს, ჯვარს უნდა ხედავდეს. ჯვარი იცავს მას. ჯვარი ჩვენი მფარველი და მცველია. ჩვილობიდანვე სიწმიდეებს უნდა ხედავდეს და მათთან შეხებით უნდა იზრდებოდეს. ადამიანის ჩამოყალიბება ჩვილობიდანვე ხდება. ბევრჯერ მიმიცია შენიშვნა მშობლებისთვის, როდესაც ისინი თავიანთ შვილებს, პატარა ბიჭებს გრძელი თმით ატარებენ, უხდებაო. ადამიანის ჩამოყალიბება მამაკაცად და ქალად ბავშვობიდანვე ხდება. სამედიცინო თვალსაზრისითაც ასეა. ბიჭი ბიჭს უნდა ჰგავდეს, გოგო — გოგოს. ასე უნდა გაზარდონ მშობლებმა ისინი. მთაში განსაკუთრებული სიმკაცრით ზრდიან შვილებს, ნაკლებ სითბოს აჩვენებენ.

***— რატომ?***

— იმიტომ რომ მთაში მკაცრი პირობები იყო. ქართველი ადამიანი რომ მუშაობდა, თოფი ეკიდა ზურგზე და ხმალი ერტყა წელზე. ასე მუშაობდა მტრის შემოსევის შიშით. ეს, გარკვეულწილად, ასახვას ჰპოვებდა შვილების აღზრდაზეც.

***— სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, დღეს ქუჩაში ხშირად საკუთარი დედის გინება ისმის. ამას გაუცნობიერებლად ამბობენ?***

— ეს ამაზრზენია, ძალიან ცუდი ფაქტია. იმას, ვინც ამას აკეთებს, დედა არ უყვარს, თავისი სამშობლო არ უყვარს. გულდასაწყვეტია, რომ ასე ხდება. ყველას ვურჩევ, სანამ დედა ცოცხალი ჰყავთ, გაუფრთხილდნენ. დედას ხშირად უნდა მოეფერო, არათუ აგინო. დედის ფასი ყველა შვილმა უნდა ისწავლოს. ვინც იგინება, მან ეს აუცილებლად თავის პირად მოძღვართან აღსარებაში უნდა თქვას. არასდროს, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გაიმეორონ. ეს არ შეიძლება. ეს არის საშინელება, ძალიან ცუდია და ყველამ უნდა გააცნობიეროს.

***— რა შეიძლება იყოს ასეთი დეგრადირების მიზეზი?***

— ის, რომ ადამიანები გამჩენ ღმერთს, დედაეკლესიას შორდებიან. ადამიანი ყველანაირად უნდა შეეცადოს, ღმერთთან ახლოს იყოს. ღვთის წიაღში უნდა იყოს, ეკლესიურად იცხოვროს. ეკლესია არ ითხოვს, რომ ერთი შაბათიდან მეორე შაბათამდე ადამიანი ეკლესიაში იყოს. არის მცნება: ექვს დღეს იქმნოდე და ქმნე მას შინა საქმე კეთილი, ხოლო დღე იგი მეშვიდე არს უფლისა ღვთისა შენისა. მე-7 დღე, იგივე კვირა, ადამიანმა ეკლესიაში უნდა გაატაროს. ლოცვა მოსამზადებელი პერიოდია წირვისთვის, რომელსაც მრევლი უნდა დაესწროს. აღსარება უნდა თქვას, რათა ეზიაროს, თავისი შინაგანი სული გაისუფთაოს, რომ ხელახლა დაიბადოს.

***— რამდენად ხშირად უნდა თქვას აღსარება ადამიანმა?***

— აღსარება კვირაში რამდენჯერმეც კი შეიძლება თქვას, თუ შეაწუხებს. ისე, სასურველია, წირვის წინა დღეს, ლოცვაზე თქვას და მერე ეზიაროს.

***— წირვაზე დასწრებას, როგორც ვიცი, ძალიან დიდი მადლი აქვს...***

— რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მადლი აქვს. წირვა არის უფლის სავედრებელი. განსაკუთრებული მადლი აქვს, როდესაც მოძღვარი აღავლენს ლოცვას და მრევლი ისმენს. ეკლესია უფლის შესაკრებელია. ღმერთი ადამიანის ვედრებას, რა თქმა უნდა, ეკლესიაში უფრო შეისმენს.

***— მამა თავმას, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ აბორტი ისევ აქტუალურია...***

— ეს საშინელებაა. შვილის მკვლელობა უდიდესი ცოდვაა. როდესაც აღსარებაში ამ ცოდვაზე ამბობენ დედები, მე მათ ვეკითხები, რამდენი შვილი ჰყავთ. ისინი მპასუხობენ: ორი, სამი. მერე, მათ სიცოცხლეს თუ შეუქმნით საფრთხეს, ზიანს თუ მიაყენებთ-მეთქი — არაო. ისინიც თქვენი შვილები იყვნენ, რომლებიც მოაკვლევინეთ-მეთქი, — ასეთია ჩემი პასუხი. ბევრი კარგი გინეკოლოგი ახლობელი მყავს, ძალიან კარგი ადამიანები არიან. ისინი ეკლესიაში დადიან. მათზე ეკლესიამ, მოძღვარმა კეთილი გავლენა მოახდინა და აღარ აკეთებენ აბორტს. დღეს ძალიან ნანობენ. ყველა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს, რა დიდი ბოროტებაა აბორტი. სიცოცხლეს, რომელიც ღმერთის საჩუქარია, ნებაყოფლობით სპობ. ამაზე დიდი ბოროტება რა უნდა იყოს. მე ვთხოვ ხოლმე ჩემს მრევლს, იყოლიონ კიდევ ერთი შვილი. ისინი მიგონებენ და, ღვთის წყალობით, ჩემი თხოვნით 6-7-8 ბავშვი დაიბადა ჩემი თხოვნით. ერთ ჩემს უმცროს მეგობარს, ელიზბარს, ორი შვილი ჰყავდა და ვთხოვე, მესამე ჰყოლოდათ. იყოლიეს. მერე ისევ ვუთხარი, რომ, თუ მეოთხესაც იყოლიებდნენ, მე მოვუნათლავდი. ძალიან ლამაზი და კარგი ბავშვები არიან. ახლა მეოთხე შვილს ელოდებიან. ამ ბავშვებს რომ ვხედავ, ძალიან მიხარია. რასაკვირველია, დიდი ბედნიერებაა, როდესაც ახალი სიცოცხლე ჩნდება. ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და ძალისხმევით ბევრი ქართველი შეემატა საქართველოს.

***— პატრიარქის საოცარი მიგნება იყო, რომ ქართული გენოფონდი გაეძლიერებინა...***

— მართლაც რომ საოცარი იყო. ღმერთი რამდენ შვილსაც მისცემს ადამიანს, იმდენი უნდა იყოლიოს. წყვილს ჯვრისწერის შემდეგ მოძღვარი არიგებს. ერთ-ერთი დარიგება ესეც არის. მინდა ვუსურვო ახლად დაქორწინებულებს, ახალგაზრდებს, რომ თავიანთი თავი ეპოვოთ, ეკლესიურად ეცხოვროთ და ღმერთთან ახლოს იყვნენ. სიყვარული უნდა ჰქონდეთ ადამიანებს ერთმანეთის, მშობლების, სამშობლოს, საკუთარი კუთხის მიმართ. ამ დროს ნაკლები იქნება ბოროტება.

# ოთარ მეღვინეთუხუცესს ვენეციელი ვაჭარი აწვალებს

ეკა ირემაშვილი

**ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი ოთარ მეღვინეთუხუცესი ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ კვლავ წარდგა თეატრის მოყვარულთა წინაშე და მშობლიურ მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორ დავით საყვარელიძის სპექტაკლში მთავარი როლი ითამაშა.**

„წიგნი" — ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელშიც ოთარ მეღვინეთუხუცესთან ერთად თემო კილაძე, ზურაბ სტურუა, ვაჟა კვიტაიშვილი, ალეკო გეწაძე, ავთო მიქაძე და თეატრალური უნივერსიტეტის დიპლომანტები მონაწილეობენ. სპექტაკლი რეჟისორმა აკა მორჩილაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგა.

როგორც ოთარ მეღვინეთუხუცესი ამბობს, ეს სპექტაკლი მისთვის ნამდვილი საოცრებაა. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენაში სანახაობა თითქმის არ არის, ის მაინც გენიალურია. აგიჟებს აკა მორჩილაძის ფრაზათა მელოდიურობა და მიესალმება რეჟისორის სიჯიუტეს იმასთან დაკავშირებით, რომ მან მსახიობებისგან სცენაზე ტექსტის უცვლელად გადატანა კატეგორიულად მოითხოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ოთარი ასაკშია და როლებზეც თითქმის აღარ ოცნებობს, არ მალავს, რომ დღემდე „აწვალებს" და მოსვენებას არ აძლევს ვენეციელი ვაჭარი. ამბობს, რეჟისორი რომ ყოფილიყო, ეს სპექტაკლი აქამდე დადგმული მექნებოდაო.

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი ჟურნალისტებს არ სწყალობს, ახალ სპექტაკლზე ჩვენთან გატაცებით და სრული გულწრფელობით ისაუბრა. როგორია ოთარ მეღვინეთუხუცესის თვალით დანახული აკა მორჩილაძის სამყარო, რატომ თქვა შვიდი წლის წინ ამავე ნაწარმოებში თამაშზე უარი, რატომ ვერ გაიგო რეჟისორის ჩანაფიქრი, რისთვის უნდა ინგლისურის სწავლა და უყვარს თუ არა ექსპერიმენტები, ამის შესახებ მსახიობი „ახალ თაობას" ესაუბრა.

**ოთარ მეღვინეთუხუცესი:**

— სპექტაკლის ისტორია ასეთია — ჯერ კიდევ შვიდი წლის წინ შემომთავაზა დათო საყვარელიძემ ამ სპექტაკლის დადგმა. მოიტანა ნაწარმოები, წამაკითხა, მაგრამ სიმართლე გითხარით, ვერაფერიც ვერ გავიგე.

— ***რატომ?***

— იმიტომ, რომ ეს პიესა არ არის, იმიტომ, რომ ეს ინსცენირება არ არის. ეს არის ნაწარმოები, რომელიც რეჟისორს უნდოდა სპექტაკლად ექცია. რა უნდოდა, ვერ გავიგე. ყველაფერი მე უნდა მესწავლა, თუ რაღაც როლი უნდა მქონოდა. ერთი სიტყვით, რეჟისორის ჩანაფიქრს ვერ მივხვდი.

— ***ვერ გაუგეთ რეჟისორს?***

— ეტყობა, თვითონაც ვერ გამაგებინა სწორად, როგორი სპექტაკლის დადგმა ჰქონდა ჩაფიქრებული. სულ მე უნდა წამეკითხა „წიგნი", როგორც მკითხველს და არა დრამატულ მსახიობს, თუ რა იყო იდეა, ვერ გავიგე. 7 წლის შემდეგ დავით საყვარლიძემ ისევ გაიმეორა თავისი სურვილი. როცა ჩავყევი ბოლომდე და ჩავეკითხე, რა გინდა, რას ითხოვ ჩემგან-მეთქი, აღმოჩნდა, რომ რეჟისორს სპექტაკლისთვის უჩვეულო ფორმა ჰქონდა მოძებნილი და მუშაობაც დავიწყეთ. მერე როლების განაწილებაც რომ დაიწყო, მივხვდი, კარგი სამუშაო მელოდებოდა.

— ***7 წლის წინ უარი რატომ თქვით?***

— რეჟისორს უარი კი არ ვუთხარი, თავისით შეწყდა ამ ნაწარმოებზე ფიქრი და დავასრულეთ კიდეც საუბარი.

— ***ასეთ სპექტაკლზე მანამდეც გიმუშავიათ?***

— აქედან რა გამოვიდოდა, ნამდვილად არ ვიცოდი და ამას ვამბობდი კიდევაც. ჩემი ეჭვი გამოვთქვი და არც დამიმალავს. სპექტაკლის დასადგმელად ან უნდა იყოს დრამატული ნაწარმოები, პიესა, ან ინსცენირება მაინც, ჩვენ კი არც ერთთან გვაქვს საქმე და არც მეორესთან. დრამატული მსახიობები ასე ვართ შეჩვეულები. ეს კი არის პროზაული ნაწარმოები, რომელშიც არც ერთი სიტყვის გამოტოვება და შეცვალა არ სურს რეჟისორს. ისიც კი ვუთხარი, შენ წლების მანძილზე პიტერ ბრუკთან იყავი მოწაფედ, სტაჟირებაზე რომ იყავი, ნუთუ დაგავიწყდა, ის კაცი ამბობს, დრამატული თეატრის სუსტი ადგილია, აქილევსის ქუსლია ტექსტი, რომელიც უცხო ენაზე მოლაპარაკე ადამიანისთვის სრულიად გაუგებარია. როცა კლასიკურ ნაწარმოებს თამაშობ, შეიძლება წაკითხული ჰქონდეს უცხოელ მაყურებელს, სიტყვაზე, შექსპირი იცოდეს, ამიტომ ხვდებოდეს რას თამაშობ და მიზანსცენაც გაიგოს, მაგრამ თუ თანამედროვე სპექტაკლია, ან ფართო მკითხველისთვის არ არის ცნობილი ნაწარმოები, უცხოელი მაყურებლისთვის სრულიად გაუგებარია რას ლაპარაკობთ, რატომ იბრძვით, რა გაჩხუბებთ და რა გინდათ ამ სპექტაკლით თქვათ. ეს არის დრამატული თეატრის სუსტი ადგილი. ეს კანონივით დადგა თანამედროვე თეატრში, რომ აქილევსის ქუსლი გვაქვს.

— ***რაშია გამოსავალი?***

— სანახაობამ უნდა შეცვალოს ტექსტის ფუნქცია და მთელი დატვირთვა აიღოს თავის თავზე.

— ***თქვენს სპექტაკლში რომ არ არის სანახაობა?***

— როდესაც პიტერ ბრუკის მოწაფე ამბობს, რომ არც ერთ სიტყვას არ შევცვლი და ჩემთვის თითოეული მათგანი უმნიშვნელოვანესიაო, კი დავთანხმდი, მაგრამ მაშინვე ვუთხარი, კარგი, ქართველი მაყურებლისთვის გასაგებია, მაგრამ ეს სპექტაკლი განწირულია იმისთვის, რომ ვერ გაიტან საზღვრებს გარეთ, ვერავინ ვერაფერს ვერ გაიგებს, იმიტომ, რომ ყველაფერი ტექსტზეა აგებული-მეთქი. მართლაც, აქ მთავარი იარაღი ტექსტია.

— ***როგორია ეს სპექტაკლი თქვენთვის?***

— მე ამას დავარქვი ექსპერიმენტი, ვცადოთ, იქნებ რაღაც გამოვიდეს, იქნებ არც გამოვიდეს-მეთქი. თან ვფიქრობდი, მაინც რეჟისორია, მას თავისებური ხედვა აქვს, შეიძლება ისეთი სახიერი გადაწყვეტები და სანახაობა შემოიტანოს, რომ დრამატული თეატრისთვის სუსტი მხარე ასე მაინც შეივსოს-მეთქი.

— ***გამართლდა თქვენი იმედები?***

— როგორც აღმოჩნდა, გარდა ფინალისა, სანახაობა ჩვენს სპექტაკლში ბევრი არ არის. უცნაური რაღაც ხდება — როცა პრემიერა ვითამაშეთ, ყველაზე მადლიერები, რა თქმა უნდა, იყვნენ მწერლები.

— ***რატომ?***

— იმიტომ, რომ ქართული მასალაა, იმიტომ, რომ მათი მოძმის ნაწარმოებია. სიტყვა ისევ თავის ადრინდელ მნიშვნელობას იძენს დრამატულ თეატრში და თავის სიმაღლეზე დაბრუნდა. ამის გამო, მწერლები ძალიან მადლიერები იყვნენ.



— ***რიგითი მაყურებლები არ იყვნენ მადლიერები?***

— ჯერ არ ვიცი. ეს სპექტაკლი ბევრჯერ არ გვითამაშია, ამიტომ მომავალში გამოჩნდება, როგორია ეს წარმოდგენა. თუ მაყურებელი ივლის, მაშინ ჩავთვალოთ, რომ მათთვისაც მისაღები ყოფილა ეს ფორმა და სიახლე. თუ ხალხი არ ივლის, აღმოჩნდება, რომ მხოლოდ მწერლებისთვის და იმ კატეგორიის ხალხისთვის ყოფილა, ვისთვისაც სიტყვას გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სანახაობას. მაყურებელმა და დრომ თავისი ულმობელი სიტყვა უნდა თქვას. ჩვენ ამის მოლოდინში ვართ.

— ***რა განცდით თამაშობთ სპექტაკლს?***

— გარკვეულ სიამოვნებას ამ სპექტაკლიდან ნამდვილად ვღებულობ. პირველ რიგში ის არის სასიამოვნო, რომ მაღალი ხარისხის ლიტერატურაა. კანონია დრამატული თეატრისა, რომ მშობლიურ ლიტერატურაზე უნდა იყოს დაყრდნობილი თეატრი, საქართველოს ყველა თეატრისთვის პრიორიტეტი უნდა იყოს ქართული ლიტერატურული მასალა. ეს დამტკიცებულია და უკვე დროის მიერაც არის გამოცდილი. მაყურებელს ეს უფრო აღელვებს და ამაზე უფრო დადის. ამ მხრივ ჯერჯერობით, მანამ ქართველ მაყურებელთან გვაქვს საქმე, არაფერი გვიჭირს. თან პრემიერა მაისში იყო, ცოტა დროა გასული და მჯერა, რომ მომავალში ყველაფერი გაირკვევა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სპექტაკლს თავისი მაყურებელი აუცილებლად ეყოლება.

— ***მანამდე იცნობდით აკა მორჩილაძის შემოქმედებას?***

— აკა მორჩილაძე ყველაზე გამორჩეული თანამედროვე ქართველი მწერალია. მისი ნაწარმოებები მაღალი ლიტერატურაა ნამდვილად. ცხადია, რადგან ნურადინ ფრიდონზეა და მისი ისტორიაა აღწერილი, ე.ი. „ვეფხისტყაოსანთან" გვქონია საქმე და რაღაცით ვეხებით ამ ამბავს. თავიდანვე ამოვიჩემე და დღესაც ასე მეჩვენება, რომ თუკი ლიტერატურა, ნაწარმოები მაღალი ხარისხისაა, თუნდაც შეთხზული და არა ნამდვილი, რასაც მე ლეგენდას ვეძახი, მთლად რომ სინამდვილე არ არის, მაგრამ რაღაც მშვენიერებაზეა აგებული, ეს ლეგენდა ამ შემთხვევაში ლიტერატურული ღირებულებით სინამდვილეზე უფრო მაღალია. ასე მჯერა — თხზული ნამდვილზე მეტია, თუკი ის მაღალი ხარისხისაა. მგონია, რომ მწერალს ეს აღელვებდა, როგორც შემოქმედს. ის რომ თხზავს რაღაცს, მისი გამოგონილი სამყაროსთვის, ცხადია, სინამდვილის რაღაც მარცვალი უდევს საფუძვლად, მაგრამ ეს უფრო მაღალია.

— ***აკამ ნახა ეს სპექტაკლი?***

— არა, არ უნახავს, ცოლმა ნახა. აკა ლონდონშია.

***საუბარში ოთარ მეღვინეთუხუცესის მეუღლე, ქალბატონი გურანდა გაბუნია ჩაერთო: — ეს სპექტაკლი აკას ცოლმა რომ ნახა, გაგიჟდა, დაურეკა და უთხრა, ეს სპექტაკლი ჯობია შენს ნაწარმოებსო.***

ოთარი: — აკას მეუღლემ მითხრა, ნაწარმოები დიდი ხანია დაწერილია, მაგრამ საოცარი სპექტაკლი გამოვიდაო.

— ***აკა რომ ჩამოვა, სპექტაკლს ითამაშებთ მისთვის?***

— რა თქმა უნდა. ალბათ მოვა დრო, აკა საქართველოში ჩამოვა და მისთვისაც ვითამაშებთ.

— ***იცოდით ნურადინ ფრიდონის ისტორია?***

— ნურადინ ფრიდონს მონაწილეობა არ მიუღია ქალის გათავისუფლებაში, მაგრამ ისეთი ნაწარმოები დაწერა აკამ, რომ მისი სახელი ყოველთვის დარჩება. აკამ თავისი ნაწარმოებით მოახერხა მისი პერსონაჟი დამახსოვრებოდა საზოგადოებას და მგონია, რომ დაამახსოვრდება კიდეც. ნურადინ ფრიდონიც დარჩა „ვეფხისტყაოსანში", რომელიც შეიძლება არ ყოფილა, მაგრამ მწერლის მადლით ის დიდ ნაწარმოებში აღმოჩნდა, იქ დაიდო ბინა და სულ ემახსოვრება ქართველ საზოგადოებას. მე, როგორც ქართველს, გულზე კარგად მეფონება, რომ აკამ სწორედ „ვეფხისტყაოსანი" აირჩია და არა სხვა ნაწარმოები. მას უნდოდა განსაკუთრებული ეთქვა და ეგრეც მოხდა.

— ***სპექტაკლზე ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვა ადრეც გიცდიათ?***

— არა. ამ სპექტაკლში მიწევს როგორც პროფესიონალს სიტყვასთან დაკავშირება, ეს უნდა მოვირგო, ჩემი გავხადო. ეს არის დიდი სიამოვნება. ისე მადლიანად აქვს დაწერილი ამ დალოცვილს, ისეთი ქართულით არის დაწერილი, ნამდვილი დარბაისელი ქართველის ხელწერაა. როგორც ოსტატი, ისე გადმოსცემს თავის სათქმელს. აქ ჩანს მისი განათლება, ღრმა ცოდნა ენისა და მისი პიროვნება — ყველაფერი ჩანს მის ნაწარმოებში, მის ხელწერაში. აკას სხვა ნაწარმოებებიც დადგმულა თეატრებში, ფილმები გადაუღიათ, მიჩერებულები ვიყავით მის გადაცემებს, რანაირად ღრმად და კარგად იცის სხვადასხვა საინტერესო ისტორიები. ეს ყველაფერი მისი ცოდნიდან და ნიჭიერებიდან მოდის. მონუსხული ვარ, როცა აკას ვკითხულობ.

— ***ეს სპექტაკლი თქვენთვის განსხვავებულია?***

— ნამდვილად. აბსოლუტურად სხვა სტილშია განხორციელებული ეს სპექტაკლი. აბსოლუტურად სხვანაირი სიტყვათა წყობა აქვს, როცა ორშაურაშვილზე წერს — გაოგნებული ვარ, რა იუმორი აქვს, როგორი ღრმა და ხალხური. რომ ვკითხულობდი, თავს ველარ ვიკავებდი და ხარხარი ამიტყდებოდა. მისი მრავალმხრივობით ბედნიერი ვიყავი. აკას ისტორია, ის ფაქტი, რომ დროის ნახევარზე მეტი ლონდონში იხარჯება, ეს იმის მანიშნებელია, რომ მას აქვს დაუოკებელი სწრაფვა ოსტატობისკენ, უფრო მეტი ცოდნისკენ და შინაგანი ძახილიც არის ეს. ასე ჩემთვის ერთ მწერალს დაემართა — ჩინგიზ აიტმატოვს, მას არ ეყო ასპარეზად თავისი მშობლიური გარემო, ის პატარა ერის შვილი იყო. მგონია, რომ აკას შემთხვევაშიც ამასთან გვაქვს საქმე — მას ასპარეზად მსოფლიომ დაუძახა და მისი მსოფლიო ასპარეზზე გასვლა შედგა კიდევაც. მაგიჟებს აიტმატოვი, არაჩვეულებრივი მოვლენაა. რუსულად მაქვს წაკითხული და გამაგიჟა. ახლა იმას ვდარდობ, ამ ასაკში სად ვისწავლო ინგლისური, აკა ინგლისურად რომ დაწერს, როგორ წავიკითხო. უფ, ორიგინალში რა იქნება?! ისეთი მოლოდინი მაქვს ამისი, ვერ გადმოგცემთ. ამ სპექტაკლის წყალობით, ძალიან სერიოზულ ადამიანთან და არაჩვეულებრივ ლიტერატურასთან გვაქვს საქმე, ამდენად ბედნიერები ვართ. დათო საყვარელიძემაც უჩვეულოზე უჩველო გზა აირჩია სპექტაკლის დასადგმელად. ახლა ისღა დაგვრჩენია, გამოსცადოს დრომ და შეაფასოს მაყურებელმა.

— ***სპექტაკლს ჰქვია „წიგნი". დღეს ქართულ თეატრში ისეთი სპექტაკლები იდგმება, რომელიც ან კომერციულია, ან მაქსიმალურად სანახაობრივი...***

— ჩემთვის ამ სპექტაკლში მთავარი მაინც იმ წიგნის მაყურებლამდე მოტანაა, ვიდრე რაიმე სხვა მოვლენა. ჩემთვის მთავარი იმ რუსთაველის მოტანაა, რაც აკას აქვს. ერთი წუთით არ მიფიქრია იმაზე, რომ კომერციულ სპექტაკლში მეთამაშა. რეკლამისთვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ იმდენად კი მიცნობს ჩემი მაყურებელი, რომ თუნდაც მე ვეყოფოდი, თუნდაც აკა მორჩილაძის სახელი ეყოფოდა, რომ ამ სპექტაკლზე მოსულიყო და, რა თქმა უნდა, დათო საყვარელიძის სახელიც, რომელიც ახალგაზრდა და ნიჭიერი რეჟისორია. ეს სახელებიც რაღაცას ხომ ნიშნავს. მერე პიესა რომ ქართულია, ესეც მუშაობს.

— ***აკას შემოქმედება მართლა მუსიკალურია?***

— ნამდვილად. გარდა იმისა, რომ ამ სპექტაკლში სიტყვაა მთავარი, ფრაზას თავისი ინდივიდუალური მუსიკა აქვს. ავტორისგან არის ეს წამოსული და დიდი ნაწარმოების ხიბლია, რაც ძალიან გვშველის მსახიობებს.

— ***რას ითხოვდა თქვენგან რეჟისორი?***

— თავს იკლავდა დათო, სიტყვაა ჩემთვის ამ სპექტაკლში მთავარიო. სულ გვთხოვდა, როგორც დაწერილია, ის მუსიკალობა რომ შენარჩუნდეს, სიტყვებს ნუ დაანაწევრებთ, ნუ დაყოფთ, ამოვიცნოთ, ამოვიკითხოთ, მოვისმინოთ და მოვახერხოთ ის გადმოვცეთო.

— ***ეს სპექტაკლი თქვენთვის ექსპერიმენტი ყოფილა. გიყვართ ექსპერიმენტები?***

— ამის გარეშე თეატრი არ არსებობს. მაშინ წინ ვერ წავა თეატრი. თუ რაღაც არ სცადე, არაფერი გამოვა. ნათქვამია, ყოველდღიურად საცივი მობეზრდება კაცსო. როდესაც რაღაც გარკვეულ ექსპერიმენტს გთავაზობენ, უნდა სცადო. როგორ მაღალ დონეზეც არ უნდა იყოს გაკეთებული თანამედროვე თეატრში რაღაც მიმდინარეობა, ის შემდეგ მომაბეზრებელი ხდება. იმდენად მომაბეზრებელი, რომ შეიძლება შეგჯავრდეს და შეგზიზღდეს კიდეც. ეტყობა, რაღაც ახალი რომ დაიბადოს, ის ძველი უნდა შეგზიზღდეს. ისევე, როგორც ყველაფერი იბადება, ვითარდება და მერე კვდება და მის ადგილას რაღაც ახალი იბადება. ასეა ცხოვრებაშიც — რაღაც უნდა მოკვდეს, რომ ის ახალი გაჩნდეს. ასე ყოფილა კანონზომიერებები.

— ***ტექსტის მნიშვნელობა უფრო წარსულში იყო თეატრში მნიშვნელოვანი...***

— დიახ, ეს მართლაც ასე იყო. არ ვიცი, ახლა ტექსტის მნიშვნელობის გაზრდა თეატრის უკან მიბრუნება ხომ არ არის. მთელ მსოფლიოში თეატრი ძირითადად სხვაგან იყურება. იმაზეც ვფიქრობ, მსოფლიო თეატრს მეტისმეტად თავში რეტი ხომ არ მოუვიდა, რომ სიტყვა მეორეხარისხოვანი გახადა და ახლა მხოლოდ შოუა მთავარი. ჩვენი სპექტაკლით კი საზოგადოებას ვეუბნებით, არა შვილო, ეგრე არ არის, სიტყვას ნუ უკარგავ ფასს. ამ სპექტაკლში იმის მოწოდებაა, რომ სიტყვაა მთავარი. კი, გასაგებია, რომ უცხო მაყურებლისთვის საჭიროა ფერწერის ენით კი არ ელაპარაკო, არამედ უფრო ქანდაკების ენით, სახიერებით, თვალშისაცემი სანახაობით, მაგრამ რა ქნას იმ მაყურებელმა, ვინც ნაწარმოებს მშობლიურ ენაზე იცნობს? მას რატომ უკარგავ სიტყვას? იმისთვის ხომ გასაგებია ამ სიტყვის მნიშვნელობა? ამიტომ ეს მოწოდებაც არის, რომ პირველად იყო სიტყვა და სიტყვა მნიშვნელოვანია.

— ***საოცნებო როლი გაქვთ?***

— რაღაცეები გუნებაში მაქვს და მინდა მათი თამაში. სათქმელის თვალსაზრისითაც ვფიქრობ, რომ ვენეციელი ვაჭარი დიდი ხანია მაწვალებს. აქ შეიძლება ქართველმა კაცმა თავისი ტკივილი თქვას. კი, მე სხვა ვარ, შენ დიდი ერი ხარ, მაგრამ მოიცა რა, მე ჩემი მაქვს, ჩემი გამაჩნია, ამის გამო მეორეხარისხოვნად ჩამთვალო? რატომ? იქნება ჩემ ერში არანაკლები სიმდიდრე იდოს, ვიდრე შენსაში? მერე რა, რომ შენ ბევრი ხარ? ეს სათქმელი არის და სულ მიტრიალებს. მე რომ რეჟისორი ვიყო, „ვენეციელი ვაჭარი" აქამდე დადგმული მექნებოდა. სხვაც ხომ უნდა აღელდეს ჩემსავით და აღმოჩნდეს თანამოაზრე? თუკი იქნება, ხომ კარგი, თუ არადა, ჩემი საქმე, რაც მიკეთებია, შეიძლება საკმარისიც იყოს.

**საუბრის დასასრულს ქალბატონმა გურანდა გაბუნიამ გვითხრა:**

— ძალიან გული მწყდება იმ ხალხზე, ვისაც არ უნახავს ეს სპექტაკლი, იმიტომ, რომ ეს არის სუფთა ქართული სპექტაკლი. ეს არის ის ნაწარმოები, რომელიც ჩემზე საოცრად მოქმედებს. სპექტაკლი არ გამომიტოვებია, რამდენჯერაც იყო, იმდენჯერ დავესწარი. შევდივარ, ვდგავარ და ვუსმენ. ეს არის ჩემთვის აბსოლუტური აკადემია, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ არსებობს აკა მორჩილაძე. ბედნიერი ვარ, რომ არსებობს დათო საყვარელიძე, იმიტომ, რომ მან ეს გზა აირჩია — სპექტაკლის მოყოლის გზა აირჩია, ეს სპექტაკლი ნამდვილად სრულიად უჩვეულოა. ბედნიერი ვარ, რომ შედგა ჯგუფი ხალხის, ვისაც სჯერა ამისი. არ ვამბობ ოთარზე, მისირგვლივ ვინც არის, ყველა ამით ცოცხლობს. ყველას მოვუწოდებ, სასწრაფოდ ნახონ ქართული სპექტაკლი და პირველ რიგში ბავშვებს ანახონ, რომ გაუხსნან ტვინი და ნამდვილად კარგს იზამენ.

# ვინ დიზელი — ამერიკული კინოს საწვავი



თავისი ათლეტური მონაცემებით ამერიკელი მსახიობი, პროდიუსერი, რეჟისორი და სცენარისტი ვინ დიზელი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ ბოევიკ მსახიობად ითვლება 21-ე საუკუნეში. მართალია, ჯერ ყველა პრესტიჟული ჯილდები არ მოუპოვებია, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს, იყოს პოპულარული.

მთავარი როლები აქვს ნათამაშევი ისეთ ფილმებში, როგორებიც არის „შავი ხვრელი", „ფორსაჟი", „სამი იქსი" და „როდიკის ქრონიკები". არის მთავარი როლის შემსრულებელი თავისივე რეჟისორულ ნამუშევარში „ჰანიბალი".

### ბავშვობა

მარკ სინკლერ ვინსენტი — ამ სახელით დაიბადა ვინ დიზელი 1967 წლის 18 ივლისს ნიუ იორკის რაიონ გრინვიჩ ვილიჯში. ოჯახი ჩვეულებრივ მრავალსართულიან ბინაში ცხოვრობდა და გამუდმებით განიცდიდა ფინანსების ნაკლებობას. დიზელს ტყუპისცალიც ჰყავს — პოლი, რომელიც საერთოდ არ წააგავს ძმას. ბავშვებს ძირითადად დედა, დოლორესი ზრდიდა, რომელიც სპეციალობით ფსიქოლოგი იყო და, ამასთან, ძალიან გატაცებული ასტროლოგიით. ბავშვებმა კი მათი ნამდვილი მამის ვინაობა არ იცოდნენ და ეს ასევე გამოცანად დარჩა მას შემდეგაც, როდესაც ვინ დიზელი საკმაოდ ცნობილი და პოპულარული გახდა. დადიოდა ხმები, რომ მისი წინაპრები ინდილელები, იტალიელები და არაბებიც კი იყვნენ, მაგრამ ამის თაობაზე კომენტარს არასდროს აკეთებს.

ჯერ კიდევ 3 წლის ასაკში ვინ დიზელს პირველი შეხება მოუხდა მსახიობობასთან. იმ დროს ვინ დიზელს გამოუჩნდა მამინაცვალი ირვინი, რომელმაც ოჯახის ფინანსური საკითხები მოაგვარა. ამასთან, ახალი მამა ერთ-ერთი თეატრის ხელმძღვანელი იყო და სამსახიობო ხელოვნების ლექციებს კითხულობდა უნივერსიტეტში. ირვინს თავისი ორი შვილიც ჰყავდა და დოლორესის ვაჟებთან ერთად ხშირად დაჰყავდა თეატრალურ წარმოდგენებსა და ფილმის პრემიერებზე.

### თეატრი

სცენაზე ვან დიზელი მოულოდნელად აღმოჩნდა. როდესაც 7 წლის იყო, თავის მეგობარ ბიჭუნებთან ერთად ერთ-ერთ ადგილობრივ თეატრში შეიპარნენ, რათა რეკვიზიტებით ეთამაშათ. აღმოჩნდა, რომ იმ დროს მსახიობები რეპეტიციას გადიოდნენ. ბიჭუნების ჯგუფი რეჟისორმა შეამჩნია და იმის ნაცვლად, რომ პოლიციისთვის გამოეძახებინა, ბავშვებს სცენარი შეაჩეჩა და როლების მიხედვით წაკითხვა სთხოვა. ყველაზე კარგად ეს ვინ დიზელს გამოუვიდა და ქალბატონმა რეჟისორმაც მყისვე შესთავაზა 20 დოლარი სცენაზე ყოველი გამოსვლისთვის. 7 წლის ბიჭი აღფრთოვანებული დარჩა და იმ დღიდან გაკვეთილების შემდეგ ყოველ დღე გადიოდა რეპეტიციას სცენაზე.

მალევე მისი პრემიერაც შედგა. ეს მოხდა სპექტაკლში „კარი დინოზავრისთვის". მისი გამოსვლა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ სერიოზულად დაიწყო ფიქრი მსახიობობაზე.

— პირველი სპექტაკლის შემდეგ მივხვდი, რომ მსახიობობის გარდა არაფერი მაინტერესებდა. თუმცა, იმავ წამს დავფიქრდი — რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება, მაშინ რეჟისორს პოლიცია რომ გამოეძახებინა, — იხსენებდა მოგვიანებით ვინ დიზელი. 17 წლამდე ის აქტიურად მონაწილეობდა სპექტაკლებში და ხელოვნებას პრაქტიკულად ეუფლებოდა. ამაში ძალიან ეხმარებოდა მამინაცვალიც.

სამსახიობო ხელოვნებისგან განსხვავებით, მისი პირადი ცხოვრება გაცილებით წარუმატებლად მიდიოდა. ბავშვობაში ის სიმაღლით გამოირჩეოდა და გამხდარი აგებულების იყოს, რის გამოც თანატოლებმა ჭიაყელა შეარქვეს. ამასთან, ვინ დიზელი მორცხვი ბავშვი იყო და ერთხელ ვერ გაბედა, მისულიყო გოგონასთან, რომელიც სკოლის პერიოდში შეუყვარდა. მისი ძმა განსხვავებული ტიპაჟი იყო და ძალიან პოპულარული ღამის კლუბებსა და დისკოთეკებზე. ვინ დიზელმაც გადაწყვიტა, თავისი აგებულებისთვის მიეხედა და სპორტდარბაზში ინტენსიური ვარჯიში დაიწყო.

ვარჯიშებმა კი იმის საშუალება მისცა, რომ მანჰეტენის ერთ-ერთ ღამის კლუბ „გვირაბში" დაცვად დაიწყო მუშაობა. ამასთან, მიხვდა, რომ თეატრს არ შეეძლო, მისთვის ის შემოსავალი მოეტანა, რაც უკეთ ცხოვრების შანსს მისცემდა. „გვირაბში" 3 წელი იმუშავა და საკმაოდ სოლიდური კაპიტალიც დააგროვა. ამ დროის მანძილზე ჩხუბიც ბევრი მოასწრო და სიყვარულიც.

— სამუშაო საათებში ძირითადად ვჩხუბობდი და გოგოებს ვეცნობოდი, ხოლო არასამუშაო პერიოდში ვცეკვავდი და მაინც გოგოებს ვეცნობოდი, — ნოსტალგიურად და ხუმრობით იხსენებს ვინ დიზელი იმ პერიოდს. სხვათა შორის, ვინ დიზელიც სწორედ იქ შეარქვეს. „გვირაბში" მუშაობის პარალელურად ჰანტერ კოლეჯშიც ჩააბარა, სადაც სრულყოფილად ეუფლებოდა ინგლისურ ენასა და კლასიკურ ლიტერატურას. ამასთან, სწავლობდა წერასა და სცენარისტობას.

1987 წელს კი კოლეჯიც მიატოვა, კლუბიც და სრულიად ნიუ იორკის — ვინ დიზელი ლოს ანჟელესში გადაბარგდა, სადაც კინოვარსკვლავობის ოცნების ასრულება სწადდა. მისი სამსახიობო ტალანტი კი იქ ვერავინ დაინახა და დააფასა. ამის გამო გარკვეული დროის მანძილზე უმუშევარი იყო და სარჩოს საძებნელად იძულებული გახდა, ტელემაღაზიაში გამყიდველად მოწყობილიყო. ერთი წლის მანძილზე თავი კარგად დაამახსოვრა მეპატრონეებს და ფულის მოგროვებაც შეძლო. ამის გამო დღეში 18 საათის განმავლობაში მუშაობდა. თუმცა, ისიც, გარდა იცოდა, რომ გამყიდველი და კინოს ვარსკვლავი სხვადასხვა ცნებაა და ისევ ნიუ იორკს დაუბრუნდა.

### კინოკარიერის დასაწყისი

თავისი პირველი კინოროლი ვინ დიზელმა 1990 წელს ითამაშა ფილმში „გამოფხიზლება". თუმცა, იმდენად ეპიზოდური როლი შეხვდა, რომ მისი გვარი ტიტრებშიც არ მოხვედრილა. არადა, მოგვიანებით ფილმი „ოსკარზე" იყო წარდგენილი. სწორედ მაშინ დედამ უიღბლო ყმაწვილს რიკ შმიდტის წიგნი აჩუქა — „ფილმის შექმნა ძველ ავტომობილზე ძვირი არ ღირს". ამით უნდოდა ეთქვა, ვინ დიზელს თავადაც შეეძლო ფილმის გადაღება, არცთუ დიდ თანხად. მსახიობს მოეწონა იდეა და მას შემდეგ, რაც წიგნი გულდასმით წაიკითხა, დაიწყო სცენარის წერა სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის „მაწანწალები", თუმცა, მალე მიხვდა, რომ საამისოდ ძალა არ ეყოფოდა და უკვე მოკლემეტრაჟიანი ფილმის სცენარზე გადაერთო. 1995 წელს ვინ დიზელმა რამდენიმე დღეში დაწერა სცენარი მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის „მრავალფეროვანი", რომლის მუსიკის ავტორიც თავად იყო.

ფილმი სულიერად ახლოს იყო თავად დიზელთან, ამიტომ თავადვე ითამაშა მთავარი როლი. სულ კი 20-წუთიანი ფილმის გადაღება 3.000 დოლარი დაუჯდა. ფილმის გადაღებისას დიზელი ბევრ წინააღმდეგობას წააწყდა, მისი დასრულება გადადო, მაგრამ აქ უკვე საქმეში მისი მამინაცვალი ჩაერია და დროულად დაამთავრებინა. თავდაპირველად ფილმი მანჰეტენზე 200-მა ადამიანმა იხილა და დადებითად შეაფასა, 1995 წლის მაისში კი ფილმი კანის ფესტივალზეც აჩვენეს, ხოლო 4 წლის შემდეგ ამერიკაში მისი დივიდი ვერსიაც გამოვიდა.

ფილმის ასეთი წარმატების შემდეგ ვინ დიზელი ისევ ლოს ანჟელესში გაემართა, სადაც ისევ გამყიდველად მოეწყო და ფულის გროვება დაიწყო. ეს კი თავისი პირველი ჩანაფიქრისთვის, „მაწანწალების" გადასაღებად სჭირდებოდა. 1996 წელს, 8-თვიანი დაუღალავი მუშაობის შემდეგ, თავის მეგობარ ჯონ სეილთან ერთად თავი 50.000 დოლარს მოუყარა, რამაც საშუალება მისცა, გადაღებები დაეწყო. მთავარ როლს თავად ასრულებდა და 1997 წელს ფილმი „სანდესის" ფესტივალზე აჩვენეს. ფილმმა დადებითი გამოძახილი ჰპოვა, ოღონდ ცუდად გაიყიდა და ფინანსური პრობლემების გამო დიზელი კიდევ ერთხელ დაბრუნდა ნიუ იორკში.



თუმცა, მალე დიზელს დაუკავშირდა სტივენ სპილბერგის ერთ-ერთი აგენტი, რომელმაც დამწყები მსახიობი „მაწანწალების" პრემიერაზე შენიშნა. აღმოჩნდა, რომ გამოჩენილ რეჟისორს პირადად აღმოაჩნდა ვინ დიზელის ნახვის სურვილი. მათი საუბარი შედგა და სპილბერგმაც მსახიობი სათამაშოდ მიიწვია ფილმში „გადავარჩინოთ რიგითი რაიანი", სადაც ტომ ჰენკსთან ერთად მთავარი როლი შეასრულა. ეს იყო ვინ დიზელის პირველი გამოცდა დიდ კინოში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფილმის გადაღებების დროს ვინ დიზელი პარალელურად თავისი კამერით დადიოდა და, რასაც შეძლებდა, იღებდა. ამ ფაქტმა სპილბერგი მოხიბლა, რომელმაც ზუსტად ასე დაიწყო თავისი კარიერა. „გადავარჩინოთ რიგითი რაიანის" პრემიერა 1998 წლის ივლისში შედგა და კინოგაქირავეში თითქმის 500 მილიონი დოლარი შეაგროვა, მომდევნო წლის დასაწყისში კი „ოსკარის" 11 ნომინაციაზე იყო წარდგენილი და მათგან 5-ში გაიმარჯვა, ვინ დიზელი კი ტომ ჰენკსთან ერთად ამერიკის კინომსახიობთა გილდიის პრემიაზე იყო ნომინირებული.

### აღიარება

2000 წლის დასაწყისში ვინ დიზელის მონაწილეობით ერთბაშად რამდენიმე ფილმი გამოვიდა. ერთ-ერთი მათგანი, „საბოილერე", „სანდესის" ფესტივალზე იყო წარდგენილი. მას მოჰყვა ფანტასტიკური ფილმი „შავი ხვრელი", სადაც ქარიზმატულმა ვინ დიზელმა შესანიშნავი სახე შექმნა.

2001-მა წელმა კი ვინ დიზელის წარმატება გაამყარა. 18 ივნისს ამერიკული კინოთეატრების ეკრანებზე გამოჩნდა ფილმი „ფორსაჟი", სადაც მსახიობი დომინიკ ტორეტოს, ქუჩის მრბოლელების წინამძღოლის როლს თამაშობს. ამ ფილმში გადასაღებად ვინ დიზელმა მომზადება კასკადიორთა სკოლაში გაიარა.

ფილმმა იმხელა წარმატება მოიპოვა, რომ ვინ დიზელი თავის პარტნიორ პოლ უოკერთან ერთად მტვ-მ საუკეთესო ეკრანულ გუნდად, ხოლო მხოლოდ ვინ დიზელი საუკეთესო მამაკაცის როლისთვის ნომინაციაზე წარადგინა, რომელიც უილ სმიტთან წააგო. ამის გარდა, ამ ფილმმა მსახიობს პირველი 7-ნიშნა ჰონორარი მოუტანა.

მალევე ეკრანებზე გამოჩნდა ფილმი „ორმაგი ფორსაჟი", რომელშიც ისევ ვინ დიზელი იქნა მიწვეული და არანაკლებ მიიღეს მაყურებელმაც და კინოკრიტიკოსებმაც. 2002 წლის 9 აგვისტოს ამერიკისა და კანადის კინოთეატრებში გამოჩნდა მძაფრსიუჟეტიანი ფილმი „სამი იქსი", სადაც ვინ დიზელი ჯეიმს ბონდთან მიახლოებულ გმირს თამაშობს. მსახიობმა ფილმში მონაწილეობისთვის ჰონორარის სახით 10 მილიონი დოლარი მიიღო. ეს არც იყო უკვე გასაკვირი — ვინ დიზელი ისევ იქნა ნომინირებული საუკეთესო მამაკაცის როლის შესრულებისთვის.

მისი შემდეგი ნამუშევარი იყო „მარტოხელა", რასაც „სამი იქსის" მეორე ნაწილი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მის ნაცვლად უკვე აის კიუბი მიიწვიეს, ხოლო ვინ დიზელმა ფილმ „როდიკის ქრონიკებში" ითამაშა, რაც „შავი ხვრელის" ერთგვარი გაგრძელება იყო. 2005 წელს ვინ დიზელმა მოულოდნელად მისთვის შეუფერებელი ჟანრის ფილმში, ოჯახურ კომედიაში „მელოტი ძიძა: სპეცდავალება" ითამაშა. ფილმი წარმატებული გამოდგა და კინოგაქირავებით 200 მილიონი დოლარი მოაგროვა.

2006 წელს მსახიობის შესრულებით კიდევ ორი ფილმი გამოვიდა — კომედიური დრამა „მიმიჩნიეთ დამნაშავედ", სადაც ვინ დიზელი განგსტერის როლს თამაშობს, ნაჩვენები იქნა ბერლინის ფესტივალზე. განსაკუთრებული გამოდგა მისი მესამე ფილმი „სამმაგი ფორსაჟი". ერთია, ამჯერად მას მთავარი როლი არ ერგო და მხოლოდ ფილმის ბოლო ნაწილში ჩანს აქტიურად.

### მიმდინარე პროექტები

2007 წელს ვინ დიზელმა თავის სამსახიობო კარიერაში შესვენება გამოაცხადა. თუმცა, იმ წელს მისი შესრულებით ერთი ფილმი უნდა გამოსულიყო, მაგრამ თავად თქვა უარი ჰიტმენის როლის შესრულებაზე ამავე სახელწოდების ფილმში. მის ნაცვლად როლი ტიმოტი ოლიფანტმა შეასრულა.

ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც ვინ დიზელს ჰიტმენის როლზე უარი ათქმევინა, ის იყო, რომ, ამერიკული მედიის ცნობით, იმ დროს დაკავებული იყო რეჟისორ მატიე კასოვიცის ფილმ „ჩვენი ერის ბაბილონში" გადაღებებით. ფილმმა სერიოზული კომერციული ჩავარდნა განიცადა და ხარჯის ნახევარიც ვერ ამოიღო.

ბოლო დროს ვინ დიზელი გამოჩნდა ფილმებში „ფორსაჟი 4", „ჰანიბალი" „ბანდიტები" და „ფორსაჟი 5". წელსვე დაგეგმილია მისი გამოჩენა „სამი იქსის" კიდევ ერთ გაგრძელებაში, მომავალ წელს კი — „რიდიკში", ხოლო 2013 წელს ეკრანებზე უნდა გამოჩნდეს „ფორსაჟი 6".

### პირადი ცხოვრება

ფილმ „ფორსაჟის" გადაღებისას ვინ დიზელი მსახიობ მიშელ როდრიგესს დაუახლოვდა. მალევე წყვილს ერთმანეთი შეუყვარდა და რამდენიმე თვის განმავლობაში სანიმუშოდაც ითვლებოდა. თუმცა, მალევე დაშორდნენ ერთმანეთს და ამის მიზეზი როდრიგესი იყო, რომელმაც განაცხადა, რომ ერთმანეთს ისე ვერ შეეწყვნენ, როგორც საჭიროა.

ვინ დიზელის მორიგი გოგონა ჩეხი მოდელი პავლა ჰარბკოვა გახდა, რომელმაც ეპიზოდური როლი ითამაშა ფილმში „სამი იქსი". მათი ურთიერთობა ნათელი გახდა 2002 წელს, ეკრანებზე ფილმის გამოსვლის შემდეგ, მაგრამ დიდი დღე არც ამ ურთიერთობას ეწერა, დაშორების მიზეზი კი მსახიობის გადაღებებზე ხშირი სიარული იყო. და მაინც, 2008 წლის 2 აპრილს ვინ დიზელი მამა გახდა. მისი მეგობარმა გოგონამ, 24 წლის ფოტომოდელმა პალომა ხიმენესმა გოგო, ჰანიუ რაილი აჩუქა.

### საინტერესო ფაქტები

ვინ დიზელი, შესაძლოა, ტერმინატორის როლში გადაიღონ ამავე სახელწოდების ფილმის მეოთხე ნაწილში.

მისი ტყუპისცალი პოლ ვინსენტი სამსახიობო ნიჭით არ გამოირჩევა, თუმცა, ჰოლივუდში მუშაობს და ფილმების მონტაჟით არის დაკავებული.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ვინ დიზელი ფილმ „შავ ხვრელში" მონაწილეობას დათანხმდა, ის იყო, რომ გადაღებები ზუსტად იმ ადგილზე მიმდინარეობდა, სადაც მისი საყვარელი ფილმი „შეშლილი მაქსი" გადაიღეს.

ვინ დიზელი აღმოჩნდა იმ 30-კაციან სიაში, რომლებმაც 2007 წელს სათამაშო ინდუსტრიაში თავიანთი კვალი დატოვეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ანა ტატიშვილი: „ჯერ საუკეთესო ასეულში მოხვედრაზე ვოცნებობ“



21 წლის ჩოგბურთელი, ანა ტატიშვილი, 13 წლის იყო, როდესაც საქართველო დატოვა და საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა. ამ დროისთვის ჩოგბურთით უკვე აქტიურად იყო დაკავებული და კრის ევერტის აკადემიას მიაშურა. ვტა-ს ტურნირში მან პირველად მონაწილეობა 2008 წელს მიიღო და ცინცინატში საბინა ლისიცკისთან დამარცხდა. ამ დონეზე ტატიშვილმა სადებიუტო გამარჯვება მხოლოდ 2010 წელს მოიპოვა, სამი თვის შემდეგ კი პრაღაში ვტა-ს ტურნირის მეოთხედფინალში პირველად გავიდა. „უიმბლდონის“ გათამაშება ტატიშვილისთვის „დიდი სლემის“ მეორე ტურნირია. „როლან გაროსზე“ მან მარიონ ბარტოლის პირველი სეტი 6:1 კი მოუგო, მაგრამ საბოლოოდ მარცხი განიცადა, „უიმბლდონის“ პირველ წრეში კი ანა რუს ანასტასია პივოვაროვას შეხვდა და სამ სეტში დაამარცხა — 3:6, 6:2, 6:3 და კარიერაში პირველად გავიდა „დიდი სლემის“ ტურნირის მეორე რაუნდში, მეორე მატჩში კი ვტა-ს რეიტინგსიაში მე-19 ჩოგან ბელგიელ იანინა ვიკმაიერთან 6:3, 4:6, 2:6 დამარცხდა.

როგორც გუშინდელ ნომერში დაგპირდით, გთავაზობთ ანა ტატიშვილითან ინტერვიუს, რომელიც ვტა-ს ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

— ***როდის დაიწყეთ ჩოგბურთის თამაში?***

— 4 წლის და 8 თვის ვიყავი, როდესაც ჩოგბურთზე მიმიყვანეს. ჯერ ჩემი და, თამთა მიიყვანეს, რომელიც 2 წლით უფროსია და თამაში მეც მოვითხოვე. როდესაც 13 წლის ვიყავი, ოჯახი საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა და ევერტის აკადემიაში მივედი.

— ***ახლა სად და ვისთან ვარჯიშობთ?***

— ინ მეიერი და მამაჩემი დიმიტრი მავარჯიშებენ. მამა ტურნირებზე მუდამ დამყვება, დედა კი სახლში, ფლორიდაში რჩება. მართალია, იქ აღარ ვსწავლობ, მაგრამ ძველებურად ევერტის აკადემიის კორტებზე ვვარჯიშობ.

— ***კრის ევერტთან თამაშის შესაძლებლობა თუ გქონდათ?***

— რა თქმა უნდა. მას დიდი ხანია ვიცნობ და ადრე ერთმანეთში ბურთს ხშირად ვათამაშებდით. ახლა მეგობრები ვართ.

— ***როგორი სტილის მოთამაშე ხართ?***

— თამაშის უმეტეს ნაწილს უკანა ხაზში ვატარებ, მაინცდამაინც არ მხიბლავს ბურთის ჩაწოდება. მოცემულ მომენტში ყველაზე მეტს ბადესთან გასვლებზე ვვარჯიშობ.

— ***ბავშვობაში თქვენი კერპი ვინ იყო?***

— შტეფი გრაფი.

— ***ასარჩევად რომ გქონდეთ საქმე, ვის მოწოდებას ისურვებდით?***

— გრაფის, მაგრამ, თუ საუბარი მოქმედ ჩოგბურთელებზეა, მაშინ ფედერერის დარტყმას ვისურვებდი. რა თქმა უნდა, უარს არც სერენას მოწოდებაზე ვიტყოდი.

— ***ბალახის კორტზე თავს როგორ გრძნობთ?***

— ეს საფარი ძალიან მომწონს. რა თქმა უნდა, წვიმის შემდეგ მასზე თამაში რთულია, მაგრამ, თუ კარგი კორტია, მე ბალახი მირჩევნია.

— ***ვინ იყო თქვენთვის ყველაზე რთული მეტოქე?***

— კონკრეტულად ვერავის გამოვყოფ, რთული მოწინააღმდეგეები მრავლად მყავდნენ.

— ***თავისუფალ დროს რითი ერთობით?***

— მიყვარს კინოში და საყიდლებზე სიარული, ზღვის სანაპიროზე სეირნობა.

— ***რა განათლება გაქვთ?***

— სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში არ ჩავაბარე, რადგან უპირატესობა ჩოგბურთს მივანიჭე. ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში სწავლისათვის დრო გამომიჩნდება. ზუსტად არ ვიცი, რას ვისწავლი, მაგრამ ეს ნამდვილად არ იქნება ფიზიკა და რომელიმე ზუსტი მეცნიერება. უფრო ისტორია და უცხო ენები მიზიდავს.

— ***რომელ ენებზე საუბრობთ?***

— ქართულად, რუსულად და ინგლისურად.

— ***ცხოვრების უმეტესი ნაწილი ამერიკაში გაატარეთ. თავს ამერიკელად მიიჩნევთ?***

— ალბათ, მაგრამ საქართველოში დავიბადე და ჩემს ძარღვებშიც ქართული სისხლი ჩქეფს. ამერიკაში მეტი თავისუფლებაა და ცხოვრებაც უფრო სასიამოვნოა. დაახლოებით თვე-ნახევარია ევროპაში ვარ და ვგრძნობ, რომ აქ ცხოვრება უფრო რთულია, ვიდრე ამერიკაში.

— ***რომელი თვისება გხიბლავთ ყველაზე მეტად ადამიანში?***

— სამართლიანობა.

— ***საშუალება რომ გქონდეთ, შეხვდეთ ნებისმიერ ადამიანს, ვის აირჩევდით?***

— როდესაც პარიზში ვიყავი, მუზეუმი დავათვალიერე და იქ მონა ლიზა ვნახე. ამიტომ შეხვედრას ლეონარდო და ვინჩისთან ვისურვებდი.

— ***რის სწავლას ისურვებდით?***

— ორატორული ხელოვნების, თუმცა, ამ კუთხით ნიჭი საერთოდ არ გამაჩნია.

— ***უკაცრიელ კუნძულზე რომ მოხვდეთ და რაიმე ერთის წაღების საშუალება გქონდეთ, რას აირჩევდით?***

— კარგ წიგნს, მოწყენილობისგან რომ არ მოვკვდე. ბევრი წიგნი მაქვს წაკითხული, სულ ბოლოს — „დორიან გრეის პორტრეტი“.

— ***შვებულების გატარებას სად ისურვებდით?***

— ირლანდიაზე ვოცნებობ. იქ ჯერ არ ვყოფილვარ და აუცილებლად ვაპირებ მის დათვალიერებას.

— ***ჩოგბურთში რა მიზანი გაქვთ?***

— ახლა საუკეთესო ასეულში მოხვედრასა და ყველა მატჩის მოგებაზე ვოცნებობ, ამასთან, მსურს, რომ სტაბილურად ვითამაშო.

— ***რომ არა ჩოგბურთი, რას აირჩევდით?***

— ამაზე არასდროს მიფიქრია, რადგან ჩოგბურთი ბავშვობიდან მიყვარდა.

# კლარენს ზეედორფი: „ჟამთასვლას ვერაფერი შეაჩერებს და „ბარსაც“ პირველობას დაკარგავს“

კლარენს ზეედორფი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის თასი 3 კლუბის („აიაქსი“, „რეალი“, „მილანი“) შემადგენლობაში თამაშისას მოუგია. მას სხვა არაერთი საყურადღებო მიღწევაც აქვს, თუმცა, სურინამში დაბადებული 35 წლის შუახაზელი კვლავაც ახალ-ახალ გამარჯვებებზე ფიქრობს.

— ***კლარენს, „მილანის“ ლეგიონერთაგან „როსონერის“ შემადგენლობაში ყველაზე მეტი შეხვედრა გაქვთ ჩატარებული. ეს ფაქტი თქვენთვის ცნობილია?***

— დიახ. „მილანში“ ჩემი საფეხბურთო კარიერის ნახევარი გავატარე. ფეხბურთს კი პროფესიულ დონეზე დიდი ხანია ვთამაშობ. სპორტული დღეგრძელობის საიდუმლო მარტივია.

— არ ვსვამ და არ ვეწევი. ვარჯიშს რაც შეეხება, ისეთივე ენთუზიაზმით ვემზადები მომდევნო მატჩისთვის, როგორც თავის დროზე — „აიაქსში“ ყოფნისას. ამასთან, ასაკზე არასდროს ვფიქრობ. მინდორზე სათამაშოდ იქამდე გავალ, ვიდრე ფიზიკური მდგომარეობა საამისო საშუალებას მომცემს. ერთმა ჩემმა მეგობარმა ათასზე მეტი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა და მისი მიღწევის გამეორება მსურს.

— ***რომელი მეგობარი გყავთ მხედველობაში?***

— ხავიერ ძანეტი. ის 38-ისაა, 3 წლით ჩემზე უფროსია და მინდორზეც ახალგაზრდულად გამოიყურება.

— ***კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმეთ. იმედოვნებთ, რომ მომავალ სეზონში „მილანის“ სასტარტო შემადგენლობაში რეგულარულად ითამაშებთ?***

— ძირითად შემადგენლობაში დაყენების გარანტია არასდროს მომითხოვია. ასე იყო ფაბიო კაპელოსა და კარლო ანჩელოტის დროს. იგივე პოზიცია მიკავია ამჟამადაც. მასიმილიანო ალეგრისთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ წინ საინტერესო სეზონი გველის და სასაუბროდაც მოვიცლით.

— ***თქვენი „სან სიროზე“ დარჩენის საქმეში რა როლი შეასრულა სილვიო ბერლუსკონიმ?***

— დიდი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო კლუბის პრეზიდენტ ადრიანო გალიანის, მეგობრების, გულშემატკივრების პოზიცია. ისინი დარჩენას ერთხმად მთხოვდნენ. ქუჩაში გასულს უცნობი ადამიანები მაჩერებდნენ და მეუბნებოდნენ, უშენოდ გაგვიჭირდებაო. ყოველივე ამან დარჩენის სტიმული მომცა.

— ***მილანის ქუჩებში მხოლოდ თქვენ მიმართ კეთილად განწყობილი ადამიანები გხვდებიან? ამას წინათ ეტოოს შეურაცხყოფა მიაყენეს. იტალიას რასისტულ ქვეყნად თვლით?***

— არც იტალიაა რასისტული ქვეყანა და არც მილანია ამგვარი ქალაქი. თუკი ვინმეს აგდებით ექცევიან, ეს მისი პიროვნული პრობლემაა. ხანდახან წააწყდები უგუნურ ადამიანსაც. ისე კი რასიზმი მხოლოდდამხოლოდ ადამიანის უვიცობისა და აღზრდის დაბალი დონის მაჩვენებელია.

— ***სერია ა-ს კრიზისულ მდგომარეობაზე ვისაუბროთ.***

— ბოლო ხანს იტალიურ კლუბებს ფინანსურად გაუჭირდათ და გარკვეული სახის სირთულეებიც ამან წარმოშვა. სათამაშო დონეს რაც შეეხება, მის დაკნინებაზე საუბარი არასწორად მიმაჩნია. 2010 წელს „ინტერმა“ ჩემპიონთა ლიგის თასი მოიგო, მანამდე კი 8 წლის განმავლობაში „მილანმა“ ორჯერ მოიგო ეს ტურნირი, ერთხელაც მის ფინალში ითამაშა. იტალიური ფეხბურთი არც ერთი ქვეყნისას არ უნდა შევადაროთ, მით უმეტეს, არც სხვებისგან აქვს რაიმე გადასატანი. ნუ დავუკარგავთ კალჩოს განუმეორებლობასა და ინდივიდუალობას.

— ***არც „ბარსელონას“ უნდა მიბაძოთ? კატალონიელებს ხომ სადღეისოდ პლანეტის საუკეთესო გუნდი ჰყავთ.***

— „ბარსა“ დიდი გუნდია, მაგრამ გასულ წლებში არც „მილანი“ იყო რომელიმე კლუბზე ნაკლები. ჩემი აზრით, არ არსებობენ საუკუნის გუნდები და მოთამაშეები. სადღეისოდ „ბარსელონასა“ და მესის დროა, მაგრამ ჟამთასვლას ვერაფერი შეაჩერებს და კატალონიური გრანდიც პირველობას დაკარგავს. ისე, თუ იცით, იტალიურ ფეხბურთს ყველაზე მეტად რა სჭირდება?

— ***მაინც რა?***

— ახალი, კომფორტული სტადიონებია ასაშენებელი. ამ მხრივ წამყვან ევროპულ ქვეყნებს ჩამოვრჩებით. რაც შეეხება ფეხბურთის თამაშსა და ტაქტიკას, იტალია ესპანეთსაც კი ფორას მისცემს. აპენინის ნახევარკუნძულზე ბევრი კარგი მოთამაშეა, რომელთაც საკუთარი თავის რწმენა უნდა გავუღვივოთ. ახალგაზრდა ფეხბურთელთა პროგრესს მეტი მოთმინებით უნდა დაველოდოთ. მაგალითად, „იუვენტუსმა“ ჯოვინკოს გაშვებით დიდი შეცდომა დაუშვა და მის ნაყოფს დღემდე იმკის.

— ***იტალიური ფეხბურთის ხსენებისას პირველ პირში საუბრობთ. თავს აპენინელად თვლით?***

— მსოფლიოს მოქალაქე ვარ, ამასთან, იტალიაში თამაშით ვამაყობ. ისე კი, ბევრი ქვეყნის ფეხბურთის უარყოფით მხარეებზე შემიძლია ყურადღების გამახვილება, მაგრამ, უმჯობესია, პროგრესზე იფიქრო და იზრუნო, ვიდრე იწუწუნო. ეჭვიც არ მეპარება, იტალია მსოფლიოს ფეხბურთის განვითარების საქმეში თავის წონად სიტყვას მალე იტყვის.

— ***მიუხედავად კალჩოში აგორებული ახალი სკანდალისა?***

— მოდით, იტალიური ფეხბურთი მთლიანობაში შევაფასოთ და არა ცალკეული ფაქტებით. კალჩომ გაცილებით საინტერესო რამ აჩუქა საფეხბურთო სამყაროს, ვიდრე სხვადასხვა სკანდალი და სასამართლო გარჩევაა.

# ძენგა და ფეხბურთი



სახელგანთქმული იტალიელი მეკარე, ვალტერ ძენგა, ამჟამად არაბთა გაერთიანებული საემიროების კლუბ „ალ ნასრის“ მწვრთნელია.

ძენგა ვალტერი ყოველთვის გამოირჩეოდა ადამიანებთან ურთიერთობის უნარით. სწორედ ამიტომაა, რომ მასთან ინტერვიუს აღება არასოდეს ყოფილა პრობლემა. ამჯერად მისი ნაუბარი ფიფას ვებგვერდზე გამოჩნდა.

— ***როგორ მოგწონთ სპარსეთის ყურეში ცხოვრება?***

— აქ ყველაფერი განსხვავებულია იმისგან, რასაც ადრე ვიყავი მიჩვეული. ყველა ადგილს აქვს თავისი სპეციფიკა. არაბულ ქვეყნებში ცხოვრების წესი ჰგავს თურქულს. რაც შეეხება ფეხბურთს, ის თავად ცდილობს, იყოს ისეთი, როგორიც არის, მიუხედავად იმისა, სად იმყოფებით. მე კი ვცდილობ, აქ ევროპული პროფესიონალიზმი დავნერგო, ის, რაც ყველაზე მეტად აკლია აქაურობას. ჩემი საქმიანობა სწორედ იმას ემსახურება, რომ გამოვავლინო საუკეთესო თვისებები ფეხბურთელებში.

— ***ოდესმე თუ გიფიქრიათ, რომ ფეხბურთი ამ ქვეყანაში მოგიყვანდათ?***

— ხანდახან არ გაქვს დრო, დაფიქრდე. ფეხბურთის გამო, როგორც ფეხბურთელი, ამერიკაში წავედი, კარიერა სწორედ იქ დავასრულე და მწვრთნელობა „ნიუ ინგლენდ რევოლუშენში“ დავიწყე. ამის მერე იტალიაში წავედი, ბოლო წლებში კი რამდენიმე ქვეყანასა და კლუბში მომახვედრა ბედმა.

— ***ადვილი იყო თქვენთვის ამ საქმის დაწყება? ხალხი ფიქრობს, რომ მეკარემ მხოლოდ მეკარეთა მწვრთნელობას უნდა მიჰყოს ხელი.***

— იოლი სამუშაო არ არსებობს, ხოლო მოსაზრება, რომ მეკარე არ შეიძლება, კარგი მწვრთნელი დადგეს, ერთ-ერთი ის სულელური მითია, რომელიც კი ოდესმე მომისმენია. ამის არანაირი წინაპირობა არ არსებობს. ფეხბურთში ზოგადად ძალიან ბევრი ცრურწმენაა. ყოველთვის ვეკითხები ადამიანებს, განა არ გაუგიათ რუმინეთში — ვალენტინ სტანესკუს, ბელგიაში კი მიშელ პრუიდომის მაგალითები. ისინი ამტკიცებენ, რომ მეკარესაც შეუძლია, გახდეს კარგი სპეციალისტი.

— ***როგორ აღწერდით თქვენს კარიერას დღეს?***

— კმაყოფილი ვარ იმით, რასაც მივაღწიე. აგერ 40 წელია ფეხბურთით ვცხოვრობ და ეს დასასრული ჯერ კიდევ არ არის. როგორც სხვების შემთხვევაში ხდება ხოლმე, იყო მშვენიერი მომენტები და იყო ცუდი პერიოდებიც ჩემს კარიერაში, თუმცა, ცხოვრებამ მასწავლა, რომ უკან არ უნდა მოვიხედო. ჩემი ფეხბურთელობის დროინდელ არც ერთ ფოტოს არ ვინახავ. რაც არის, არის, ყველაფერი წარსულია. რა მნიშვნელობა აქვს, რა იყო 20 წლის წინ. მე მხოლოდ აწმყოსა და მომავალზე ვფიქრობ. ბევრი რამ მინახავს კარიერის განმავლობაში და ყველაფერმა ერთად მაქცია გამოცდილ ადამიანად. ცხრა წლის ვიყავი, როცა ეს ყველაფერი დაიწყო, ვითამაშე უმაღლეს დონეზე, ახლა მწვრთნელი ვარ. ერთადერთი, სადაც დავბრუნდებოდი, 1990 წლის იტალიის ნაკრებია, თუმცა, ესეც წარსულია.

— ***რას გამოყოფდით თქვენი კარიერიდან?***

— ღმერთმა მომცა ტალანტი და ის არ გამიფლანგავს. როგორც ფეხბურთელმა, ბევრ რამეს მივაღწიე: ვითამაშე მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჩემი ქვეყნის ნაკრების ღირსება მრავალჯერ დავიცავი, კლუბებს შორის კი, სადაც მითამაშია, „ინტერს“ ავარჩევდი. იქ ხომ ტიტულები მოვიგე.

— ***ოცნებობთ „ინტერის“ მწვრთნელობაზე?***

— სამუშაო რომ შემომთავაზონ, რა თქმა უნდა, უარს არ ვიტყვი, მაგრამ ოცნებებში ცხოვრება არ მიყვარს. არ ვფიქრობ, რომ უნდა ვიჯდე და ბედნიერება თავისით მოვა ჩემთან. მიყვარს ჩემი საქმე და ამიტომაც მირჩევნია, კონცენტრირებული ვიყო, მაგალითად, ამ წუთას — „ალ ნასრზე“. ყველაფერს ვაკეთებ, რომ გუნდი მაქსიმალურად გაძლიერდეს.

— ***ვიღაცები ამბობენ, რომ აქ თქვენმა მუშაობამ შეიძლება თქვენს შანსებზე იმოქმედოს, რომ ოდესმე ისევ ევროპაში დაბრუნდეთ სამუშაოდ.***

— სულაც არ მაინტერესებს, თუკი ვინმე მიიჩნევს, რომ მე საწყალი მწვრთნელი ვარ და უკან დავიხიე, რადგან ევროპაში აღარ ვმუშაობ. მე ვარ იქ, სადაც უნდა ვიყო. აქაურობა ძალიანაც მომწონს და სხვა რამეზე ფიქრისთვის დრო ნამდვილად არ მრჩება. წინა შემთხვევების მსგავსად, ახლაც კარგ კლუბში ვმუშაობ.

— ***რა იყო ყველაზე დიდი პრობლემა, რომელსაც მწვრთნელობის დროს შეეჯახეთ?***

— ენობრივი ბარიერი. „კატანიასა“ და „პალერმოში“ ყველაფერი მარტივად იყო. მე ვლაპარაკობ ინგლისურად, მაგრამ ის არ არის ჩემი მშობლიური ენა. მაგალითად, „ალ ნასრში“ ჩემი ნალაპარაკევი სამ ენაზე ითარგმნება, ფრანგულად — ისმაელ ბანგურასთვის, ესპანურად — ლიმასთვის და დანარჩენებისთვის — არაბულად. ძნელია, როცა ლოდინი გიწევს, თუ როდის გადაითარგმნება ყოველი დეტალი. ძნელია ამის შემდეგ ფიქრების ხელახლა მოკრება.

— ***როგორ ატარებთ დროს დუბაიში?***

— საწვრთნელი პროცესის მომზადება, ვარჯიში, თამაშები — საქმე ბევრია. ამ ყველაფერს საშუალოდ სადღაც 5-6 საათი მიაქვს. ფეხბურთს მიღმა კი დროს ოჯახთან ერთად ვატარებ, შვილებთან ერთად ვთამაშობ ან მეგობრებთან ერთად სადმე ვსადილობ.

— ***ფაბიო კანავაროს თუ შეხვდით?***

— ჩვენ მეგობრები ვართ, ერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ჩვენი მეუღლეებიც კარგად უგებენ ერთმანეთს.

— ***თავის დროზე თქვენი შვილის, სამირასთვის რატომ აარჩიეთ არაბული სახელი?***

— ჩემი მეუღლე რვა ენას ფლობს, მათ შორის — არაბულს, სწავლით კი რუმინეთში სწავლობდა. მე, ისევე, როგორც მას, მიყვარს ეს სამყარო და ამიტომაც გადავწყვიტე, ასე მოვქცეულიყავი. ერთი შვილი თუ კიდევ გვეყოლება, მასაც არაბულ სახელს დავარქმევთ.

— ***არაბთა გაერთიანებული საემიროები რითი განსხვავდება საუდის არაბეთისგან?***

— ჩემი აზრით, არც ისეთი სხვაობაა. ტრადიციები და ჩვეულებები მსგავსია, ფეხბურთში კი მცირე სხვაობა ნამდვილად არის. საუდის არაბეთში ხალხს უფრო უყვარს ფეხბურთი. 30-40 ათასი ფანი ტრიბუნებზე არავის უკვირს, აქ კი სტადიონები შედარებით ცარიელია.

— ***როგორ ფიქრობთ, „ინტერი“ მოახერხებს სკუდეტოს მოგებას ამ სეზონში?***

— არ შემიძლია ამის გამოცნობა. დროში სხვაობის გამო სერია ა-ს თვალს ნაკლებად ვადევნებ.

**დასრულდა ევროპის წამყვანი ჩემპიონატები, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში შეძლებისდაგვარად ვაშუქებდით. წინ ახალი სეზონია, თუმცა, გვინდა, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი განვლილ სეზონს და 5-ვე ჩემპიონატში თითოეული პოზიციის მიხედვით 5-5 საუკეთესო ფეხბურთელი გამოვარჩიოთ.**
**მაშ ასე, დავიწყოთ საფრანგეთის ჩემპიონატით.**

# რჩეული ფრანგები და სიმბოლური ნაკრები



### მეკარეთა ტოპ-ხუთეული

**მე-5 ადგილი:**

მატიე ვალვერდე — ტულუზა, 29 მატჩი, 32 გოლი

ამ სიის შედგენისას არ გვინანია, რომ საუკეთესოდ ასარჩევი 5 ნომინანტი იყო. საქმე ის არის, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში მეკარეთა დიდმა ნაწილმა არასტაბილურად ითამაშა და არ იმსახურებდნენ ხუთეულში მოხვედრას. ელიტურ მეკარეთა შეწუხება მხოლოდ ვალვერდემ შეძლო.

წესითა და რიგით, ვალვერდე იოან პელეს დუბლიორი უნდა ყოფილიყო, მაგრამ „ტულუზის“ ძირითადმა მეკარემ ისეთი ტრავმა მიიღო, რომ მთელი წლის განმავლობაში მოედანზე გასვლა ვერ მოახერხა და ვალვერდეც ტულუზელთა ძირითად მეკარედ იქცა.

მისი თამაში მართლაც გამორჩეული იყო, მაგრამ პელეს დაბრუნების შემდეგ რამდენად უწერია ადგილი ძირითადში, არ იცის და ამიტომ „ტულუზასთან“ კონტრაქტი აღარ გაგრძელდა. ასე რომ, საფრანგეთში უფასო ლუკმა გამოჩნდა.

**მე-4 ადგილი:**

უგო ლორისი — ლიონი, 37 მატჩი, 40 გოლი

მიუხედავად კლუბში მაღალი დონის თამაშისა, ლორისი ნაკრებში მაინც ჩრდილში რჩება. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ განვლილი სეზონი მაინცდამაინც კარგად არ ჩაუტარებია, უფრო სწორად, როგორც სჩვევია — იმ დონეზე.

მისი რამდენიმე შეცდომა ძვირად დაუჯდა „ლიონს“, თუმცა, გუნდის წარუმატებლობაში მხოლოდ ის არ არის დამნაშავე.

**მე-3 ადგილი:**

სედრიკ კარასო — ბორდო, 35 მატჩი, 39 გოლი

თუ ვინმეს ამ სეზონში დატვირთვა ჰქონდა, ეს ჟირონდისტთა გუნდის მეკარე იყო. მთელი სეზონი მარტო „მიათრევდა“ გუნდს. მისი ტალანტი არც ისე ბრწყინავდა „მარსელსა“ და „ტულუზაში“, მაგრამ „ბორდოში“ სრულად გაიხსნა და კლუბის ლეგენდა ურიჰ რამეზე საჭირო გამოდგა.

დიდი ხნის მანძილზე სწორედ კარასო ლიდერობდა საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელთა სიას და ეს არც ეროვნული ნაკრების მწვრთნელ ლორან ბლანს გამოჰპარვია, რომელმაც პოლონეთის ნაკრებთან დებიუტის შესაძლებლობა მისცა.

**მე-2 ადგილი:**

მიკაელ ლანდრო — ლილი, 38 მატჩი, 32 გოლი

„ლილის“ მეკარემ ამ სეზონში იუბილე მოიწყო — 500 მატჩი საფრანგეთის ჩემპიონატში. კარიერის დიდი ნაწილი „ნანტში“ გაატარა, სადაც 17 წლის ასაკში ანდეს კარი და მას შემდეგ დაწესებულ ზღვარს არასდროს ჩამოსცილებია. წელს კი ფანტასტიკური იყო — არც ერთი შეცდომა, რომელიც სავალალო აღმოჩნდებოდა. 38-ვე მატჩი თავიდან ბოლომდე ჩაატარა. ვეტერან მეკარეს მომავალ სეზონში მძაფრი კონკურენცია ელის — „ლილიმ“ ნიგერიის ნაკრების მეკარე შეიძინა, მაგრამ ლანდრო ძირითადს ასე იოლად არ დათმობს.

**1 ადგილი:**

სტივ მანდანდა — მარსელი, 38 მატჩი, 39 გოლი

საუკეთესოს ამორჩევა ყოველთვის რთულია. ამ შემთხვევაში გადავწყვიტეთ, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის არჩევანს დავთანხმებოდით და პირველობა „მარსელის“ მეკარისთვის მიგვენიჭებინა. ალბათ, ასეც არის — მანდანდას გარეშე „მარსელი“ ვერც მეორე ადგილს დაიკავებდა ჩემპიონატში და ვერც ჩემპიონთა ლიგაზე ჩაატარებდა დასამახსოვრებელ მატჩებს. ამასთან, მანდანდა თავდაჯერებული თამაშით „მარსელის“ კაპიტანიც გახდა.

### მცველების ტოპ-ხუთეული

**მე-5 ადგილი:**

კადერ მანგანე — რენი

ყველაზე საიმედო დაცვის პატრონი გუნდი — „რენმა“ მხოლოდ 35 ბურთი გაუშვა და, ალბათ, გასაკვირიც არ არის, რომ მისი ერთი მცველი ხუთეულში მოხვდეს. „რენის“ დაცვას მართლაც ადუღაბებდა გუნდის კაპიტანი, სენეგალის ნაკრების 28 წლის მცველი კადერ მანგანე. საიმედო და მშვიდი ფეხბურთელი, რომელმაც სეზონი, პრაქტიკულად, უშეცდომოდ ჩაატარა, ყოველთვის ასწრებდა, მეტოქეთა შეტევები წესების დარღვევის გარეშე შეეჩერებინა. ერთადერთი წითელი ბარათი, რომელიც „მარსელთან“ მატჩში მიიღო, გამონაკლისი შემთხვევაა. „რენს“ შეტევაშიც ისე რომ ეთამაშა, როგორც დაცვაში, მაშინ შეეძლო, მე-6 ადგილზე მეტი პრეტენზიები ჰქონოდა.

**მე-4 ადგილი:**

მატიე დებიუში — ლილი

ნომინალურად მარჯვენა ნახევარმცველი, მაგრამ სეზონის წინ იძულებული გახდა, ამპლუა შეეცვალა, რადგან „ლილის“ მწვრთნელ რუდი გარსიას დაცვის მარჯვენა ფლანგზე სხვა კანდიდატი არ ჰყავდა. ახალ ამპლუას დებიუში დიდებულად მოერგო და ჟერვინიოსთან მშვენიერი დუეტი შეკრა.

დებიუში ხშირად ერთვებოდა შეტევებშიც, რაც, მისი წინა ამპლუიდან გამომდინარე, გასაკვირიც არ არის, მაგრამ არც მეტოქის შემტევების შეჩერება ავიწყდებოდა. ერთია, ცოტა ზედმეტად ხისტად, რაც ბარათების რაოდენობად დაუჯდა, მაგრამ — კარგად. ძნელი გასახსენებელია მისი ჩაგდებული მატჩი სეზონის მანძილზე.

**მე-3 ადგილი:**

ანტონი რევეიერი — ლიონი

როდესაც „ლიონის“ დაცვაზე ვსაუბრობთ, მაინცდამაინც კარგი შთაბეჭდილების არ უნდა ვიყოთ, რადგან კლოდ ლიუელის გუნდი როგორც შეტევაში გამოირჩეოდა აგრესიულობით, ისე ბევრი შეცდომა ჰქონდა დაცვაში. ერთადერთი გამორჩეული ამ ხაზში სწორედ რევეიერი იყო. შეტევებში ჩართვის დრო თითქმის არ ჰქონდა, რადგან სხვათა შეცდომების გამოსწორებას ცდილობდა. ეს მხარე კი გამორჩეულად ძლიერი აქვს.

**მე-2 ადგილი:**

მამადუ სახო — პსჟ

საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი, ამასთან — პარიზული გუნდის კაპიტანი 21 წლის ასაკში. დიდი ხანია, სახო უკვე ითვლება პერსპექტიულ მცველად, ამ სეზონში კი არა მარტო თაბაშირიანი ხელით აშინებდა, რომლის ტარება ნახევარი წელი მოუწია, არამედ სრულად გამოამჟღავნა ლიდერის თვისებები. ჩემპიონატში კი ცენტრალურმა მცველმა 4 გოლის გატანაც მოახერხა.

სახოს თამაშმა თვით ლორან ბლანი მოხიბლა, რომელმაც ნაკრების კარი გაუღო და უკვე 4 მატჩის ჩატარებაც მოასწრო.

**1 ადგილი:**

ადილ რამი — ლილი

სახოსგან განსხვავებით, რამის ბედი უცნაურად განვითარდა. აღსანიშნავია, რომ რამი 21 წლის ასაკში შორს იყო პროფესიული ფეხბურთისგან და ქალაქ ფრეჟიუსის მერიაში მუშაობდა.

2007 წელს მან მძიმე ტრავმა მიიღო და დიდი დროის მანძილზე უთამაშებელი იყო. მეტიც, მისი საფეხბურთო კარიერა ბეწვზე ეკიდა. თუმცა, ტრავმაც მოიშორა და 3 წელიწადში საფრანგეთის საუკეთესო მცველის ტიტულიც დაიმსახურა.

ჰო, 2008 წელს ადილს შესთავაზეს, მაროკოს ნაკრებში ეთამაშა, მაგრამ ღიად განაცხადა, რომ საფრაგეთის ეროვნულ გუნდში თამაშზე ოცნებობს, ახალი სეზონიდან კი რამი „ვალენსიის“ მეტოქეთა შეტევების ჩაშლას შეუდგება.

### ნახევარმცველთა ტოპ-ხუთეული

**მე-5 ადილი:**

კიმ კალსტრიომი — ლიონი

ამ სეზონში კლოს პუიელის შეგირდები რიგიანად ვერ გამოიყურებოდნენ. მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი იყო და მათ შორის — შვედი ნახევარმცველი. თავისი „გამანადგურებელი“ დარტყმით კალსტრიომმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა გუნდს, ყოველთვის ბოლომდე იბრძოდა მოედანზე და მისი ხუეთეულში შეყვანა თუნდაც ამის გამო ღირდა. კალსტრიომს, ისევე, როგორც მთლიანად „ლიონს“, მთელი სეზონის მანძილზე უიღბლობაც თან სდევდა. ვნახოთ, რა იქნება მომავალ სეზონში — ამჯერად პიუელის გარეშე.

**მე-4 ადგილი:**

ია მვილა — რენი

„რენის“ ფიზიკურად ძლიერი საყრდენი ნახევარმცველი საფრანგეთის ჩემპიონატის აღმოჩენებში ვერ მოხვდა, მაგრამ საუკეთესო ხუთეული მის გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია. მისი პოზიცია მოედანზე არცთუ გამორჩეულად ჩანს, მაგრამ, იმდენად ნათლად გამოიყურებოდა „რენის“ შემადგენლობაში, რომ ფრანგ სპეციალისტებსაც კი თვალში მოხვდათ. ბოლო 40 წლის მანძილზე მვილა მესამე ფეხბურთელია, რომელიც „რენის“ შემადგენლობიდან ეროვნულ გუნდში მოხვდა.

მისი კარგი თამაში არც სხვა ქვეყნის გრანდებს გამორჩენიათ და უკვე აქვს წინადადებები „რეალიდან“ და „ჩელსიდან“.

**მე-3 ადგილი:**

დიმიტრი პეიე — სენტ ეტიენი

პეიესა და საფრანგეთის ნაკრების რომანი ჯერ არ შემდგარა, რადგან მის პოზიციაზე ძალიან დიდი კონკურენციაა. თუმცა, უკვე მიიჩნევენ, რომ ეს დროც შორს არ არის. ამ სეზონში პეიემ აშკარად იმაზე მეტი აჩვენა, რაც „სენტ ეტიენს“ შეეფერება და უკვე მიუწევს გული გრანდებისკენ. სავარაუდოდ, მისი მომავალი კლუბი პსჟ უნდა იყოს და, როგორც ჩანს, თავისას მიაღწევს. მთავარია, პარიზში გადასული ფეხბურთელმა ძელის სინდრომი მოიშოროს — მან ხომ იმდენჯერ გაარტყა ბურთი ძელს, რამდენი გოლიც გაიტანა — 13.

**მე-2 ადგილი:**

მარვინ მარტენი — სოშო

ალბათ, საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო პლეიმეიკერი. ადგილი ტოპ-ხუთეულში ჯერ კიდევ მაშინ დაიბევა, როდესაც მისმა შედეგიანმა პასებმა 10-ს მიაღწია, საბოლოოდ კი ეს რიცხვი 17-მდე აიყვანა.

არანაკლები დებიუტი გამოუვიდა საფრანგეთის ნაკრებში — უკრაინელებთან მატჩში მარტენი დუბლით გამოირჩა.

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 11.00 გუნდი 11.30 მულტფილმი "მხიარული ფერმა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი "შაბათ საღამოს ციებცხელება" 15.20 სერ. "სიამაყე" 17.25 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკი-ვოკი 21.00 კომედი შოუ 22.00 სერ. "სამხრეთის დედოფალი" 23.00 ქართ. სერ. "დეტექტივები" 00.00 მხ. ფილმი "მსროლელი" (სუბტ.) 02.20 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" 1-ლი ს. 08.40 ქართ. ფილმი "ვერის უბნის მელოდიები" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან. ფილმი "ვინი პუჰის თავგადასავალი" მე-4ს. 12.00 სერ. "შუა ქალაქში" 12.35 სერ."ჰანა მონტანა" 22-23ს. 14.30 სპეცრეპორტაჟი 15.00 საბ. გადაცემა "თავდაყირა" 17.45 ეტალონი 19.05 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 20.15 იმედის გმირები 20.30 მუსიკალური ლიგა 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 ღამის შოუ 00.15 სერ. "შუამავალი" მე-18ს. 01.35 მხ. ფილმი "რეალური სიყვარული" (15) (ჰ. გრანტი) (სუბტ.) 03.45 მხ. ფილმი "ევროტური" (15) (ს. მეჰლოვიჩი) (სუბტ.) 06.30 სერ. "ბოშები"

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 11.30 პულსი 12.00 გუნდი 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.10 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 15.30 მხ. ფილმი 18.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 19.00 ფარული კამერა 20.00 მზის კინოკლუბი. მხ.ფილმი 23.00 რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. 05.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 22.00 სერ. "პეტერბურგის საიდუმლოებანი" 10.00 დილის ტალღა 12.00 ესტაფეტა 12.40 სერ. "ეს მაფიაა" 13.00 დოკ. ფილმი 15.00 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 18.00 დოკ. ფილმი 19.30 სერ. "ამანდა ო" 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

დოკ. ფილმი "ქართული სამონასტრო ცხოვრება საზღვარგარეთ" 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "გადადექი ფაშა" 11.25 თბილისის ტაძრები 11.35 ქართული ალბომი 12.15 მხ. ფილმი "თეთრი ქარავანი" 13.30 ქართული მულტფილმი 13.40 საქტ. არქივიდან – ტალანტები და თაყვანისმცემლები 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 დოკ. ფ. "გზა" მე-5ს. 16.45 დრო და ტრადიციები 17.15 სალვთისმეტყველო საუბრები 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.05 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 დოკ. ფილმი "ცხელი ზაფხულის სამი დღე" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 22.40 დრო და ადამიანები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 კინოკლასიკა 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.40 ოპერა "ნაბუქო"



# გამზრდელ მშობლებს გული გაუხეთქე

ლალი სინანულშია ჩავარდნილი. მისი ამბავი სერიალს ჰგავს, თუმცა როგორც თავად ამბობს, ბოლომდე ვერ მიხვდა, ღმერთმა როგორი ბედნიერება მოჰგვარა, მან კი მისი განადგურებისთვის უკან არაფერზე დაიხია.

ლალიმ ბავშვობიდანვე იცოდა, რომ აყვანილი იყო. მისი ბიოლოგიური დედა გამზრდელ მშობლებს არაერთხელ მიუვარდა და შვილის უკან დაბრუნებას შეეცადა, თუმცა უშედეგოდ. ლალი გარდატეხის პერიოდში როგორც იტყვიან, ხელიდან წავიდა და იქამდე არ დამშვიდდა, სანამ ორივე მშობელს ნერვიულობისგან გული არ გაუხეთქა.

**ლალი:**

— ახლა ძალიან ვნანობ იმ ცხოვრების წესს, რომელიც არჩეული მქონდა, მაგრამ უკვე ძალიან გვიანია. ჩემს გამზრდელ მშობლებს ჩემთვის არაფერი დაუკლიათ, სამაგიეროდ, მე ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ მათთვის სიცოცხლე მომესწრაფებინა და ასეც გამომივიდა — ორივე სრულიად ახალგაზრდა გულგახეთქილი გავუშვი ამქვეყნიდან.

ორი თვის ვიყავი, როცა ჩემმა გამზრდელმა მშობლებმა ერთი ოჯახიდან მიშვილეს. იმ ოჯახს ხუთი შვილი ჰყავდა, მაგრამ დედა იყო ლოთი, ბავშვებს ყურადღებას არ აქცევდა და ამიტომ ქმარმა ერთი შვილი გააშვილებინა. ის ერთი მე აღმოვჩნდი. როგორც კი ცოტა ჭკუაში ჩავვარდი, დედაჩემს სიმართლე არ დაუმალავს, მითხრა, ჩვენი ღვიძლი შვილი არ ხარ, აყვანილი ხარ, მაგრამ ისე გვიყვარხარ, როგორც საკუთარიო. ნამდვილად მერჩივნა, სიმართლე ისევ ჩემს მშობლებს ეთქვათ, ვიდრე სხვიგან გამეგო და გული მტკენოდა.

ჩემს გამზრდელ მშობლებს თავისი შვილი არ ჰყავდათ. უშვილოები იყვნენ და მართლა არაფერს მაკლებდნენ. 10 წლის რომ გავხდი, ჩემი ბიოლოგიური დედა ჩვენს ოჯახში მოვიდა. გამოაცხადა, გადავიფიქრე, ჩემი გოგონა უკან უნდა წავიყვანოო. მამაჩემმა ძალიან ინერვიულა, მორიდებული და უხმო კაცი იყო, მისგან ხმამაღალ სიტყვას ვერ გაიგონებდით. გამზრდელი დედა ჩემს ბიოლოგიურ დედას საშინლად ეჩხუბა, სახლიდან გააგდო და უთხრა, აქ მეორედ აღარ მოხვიდე, თორემ პოლიციას გამოვიძახებ და შენს თავს დავაჭერინებო. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ჩვენს სახლთან მანამდეც მოდიოდა, მაგრამ ჩუმად, მხოლოდ თვალს გვადევნებდა, ბოლოს, როგორც იქნა გაბედა და ჩვენთან მოვიდა, მაგრამ ჩემმა გამზრდელმა მშობლებმა უარით გაისტუმრეს.

ჩემი ბიოლოგიური დედა არასოდეს მენახა. უკვე დიდი ვიყავი, მაგრამ იმდენიც არ მესმოდა, რა ხდებოდა რეალურად, ამიტომ ამ ისტერიკას გაოგნებული ვუყურებდი. რცოა ის ქალი წავიდა, ჩემს გამზრდელს არც მაშინ დაუმალავს სიმართლე და მითხრა, ეს იყო შენი დედა, რომელმაც შენზე უარი თქვა, ახლა, როცა წამოიზარდე, შენს თავს უკან გვთხოვსო.იმ დროს ჩემს ბიოლოგიურ დედაზე ძალიან გავბრაზდი და პირობა დავდე, თუკი ჩვენთან ისევ მოვიდოდა, მისთვის შეურაცყოფა მიმეყენებინა.

***— ბიოლოგიური დედა თქვენთან აღარ მოსულა?***

— მიუხედავად ჩემი გამზრდელის მუქარისა, ის ქალი ჩვენთან კიდევ რამდენჯერმე მოვიდა. ბოლო ორ მოსვლაზე ისეთი მთვრალი იყო, ფეხზე ძლივს იდგა. ისეთ უწმაწურ სიტყვებს იძახდა, შემრცხვა, რომ მისი გაჩენილი ვიყავი, თან სიამაყით ავივსე, რომ მის ოჯახში არ ვიზრდებოდი და ასეთი ნორმალური ადამიანების ხელში ჩავაარდი. ხომ გაგიგიათ, კვიცი გვარზე ხტისო, ასე დამემართა მეც. გარდატეხის პერიოდში ძალიან შევიცვალე. ჩემი მშობლების მიმართ აგრესია და ზიზღი გამიჩნდა. ნებისმიერ წვრილმანს საჩხუბრად ვიყენებდი, სულ უკმაყოფილო ვიყავი და მათთან ერთად ცხოვრება აღარ მინდოდა. ყველანაირად მოწესრიგებული, წარჩინებული გოგონა, მეშვიდე კლასიდან ისე გავზარმაცდი, ოთხ საგანში საშემოდგომო გამომყვა. დედაჩემმა ეს ამბავი რომ გაიგო, კინაღამ გაგიჟდა. ისე გამზარდა, მისი ხმამაღალი ნათქვამიც არ მახსოვს, მაგრამ ახლა შეშლილივით იყო, ყველაფერს აგიკრძალავ, სახლიდან არ გაგიშვებ, ოთახში გამოგკეტავ, თუ სწავლას არ დაუბრუნდებიო. მისმა სიმკაცრემ, პროტესტი კიდევ უფრო გამიღრმავა და დღედაღამე იმაზე ვფიქრობდი, როგორ მომეშალა მათთვის ნერვები, რომ ჩემი ჭია გამეხარებინა. სმა დავიწყე. ორი მეგობარი გოგონა მყავდა, რომლებიც ყოველ საღამოს ღამის კლუბებში დადიოდნენ და ათასნაირ კოქტეილებს სვამდნენ. გადავწყვიტე, მათთვის მიმებაძა. ერთი პერიოდი სახლში გვიან ვბრუნდებოდი, ისე დედაჩემი მეჩხუბებოდა, მამაჩემს არასოდეს არაფერი უთქვამს, მაგრამ ერთხელაც, როცა მთელი ღამე კლუბში გავატარე და დილით სახლში დავბრუნდი, გაბრაზებულმა მამაჩემმა მცემა. ამას ნამდვილად არ მოველოდი. იმ დღეს სახლიდან წამოვედი, თან დავიმუქრე, თქვენთან დამბრუნებელი აღარ ვარ-მეთქი. სასმელის მოყვარული გოგონები უცებ შემოვიკრიბე გარშემო და ჩემი ჭკუით, ცხოვრება დავიწყე. დღე და ღამე მარტო იმაზე ვფიქრობდი, რა დამელია და დრო როგორ მეტარებინა. სკოლიდან, რა თქმა უნდა, გამრიცხეს. ასე დიდხანს არ გამიძლია, ბოლოს ისევ იძულებული გავხდი, ჩემს გამზრდელ მშობლებთან დავბრუნებულიყავი და პატიება მეთხოვა. დედაჩემმა ჩემს დანახვაზე მაშინვე ტირილი დაიწყო და სახლშიც შემიშვა. მამაჩემის დაბრუნებას შიშით ველოდი. მას ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ დედაჩემის პირით კი შემომითვალა, ჩემთვის უკვე მოკვდი და ამ სახლში იცხოვრებ თუ არა, უკვე სულ ერთიაო. საერთოდ არ მელაპარაკებოდა, სახლში რომ მოვიდოდა, ზედაც კი არ მიყურებდა. რამდენიმე თვე ისევ კარგად ვიქცეოდი, მერე ისევ ავურიე — დალევა დავიწყე, უკვე ისეთი აგრესიული ვიყავი, ჩემს მშობლებსაც კი ვეხებოდი ხელით. სულ იმას ვაყვედრიდი, რატომ მომიყვანეთ აქ, ვგდებულიყავი სადაც ვიყავი, იქნებ უკეთესად ვყოფილიყავი, თქვენც დაისვენებდით და მეც-მეთქი. სულ ვემუქრებოდი, თუ სიკვდილი არ განატროთ და მიწაში არ ჩაგდოთ, მაგასაც ნახავთ-მეთქი. ამდენ დავიდარაბას მამაჩემის გულმა ველარ გაუძლო და მოულოდნელად გარდაიცვალა. დედაჩემმა ასეთი დარტყმა ვერ აიტანა და ისიც ორ თვეში უკან მიყვა. როგორც გესმით, მუქარა შევუსრულე და ორივე სიკვდილს ვაჩუქე. ახლა რომ ვუფიქრდები, სრულიად ახალგაზრდა ადამიანები გამოვასალმე სიცოცხლეს, ყველაფერი კი მარტო ჩემი ბრალია.

***— მერე როგორ გააგრძელეთ ცხოვრება?***

— მათზე დიდხანს არ მიდარდია. ისევ ჩემს მეგობრებს დავუძახე და დროსტარებას მივეცი თავი. არც ღამის კლუბებს ვიკლებდი, არც გართობას და არც სასმელს. თუმცა საკუთარი სხეული არასოდეს გამიყიდია. იმ პერიოდში ჩემს ცხოვრებაში ჩემი ბიოლოგიური დედა ისევ გამოჩნდა, მითხრა, შენზე დარდი აღარ მასვენებს, მოდი, ჩვენთან დაბრუნდიო, მაგრამ იმდენად მეზიზღებოდა სიტყვა მშობელი, რომ სახლიდან დავითხოვე. როგორც მოგვიანებით გავიგე, ორი ჩემი დედმამიშვილი შიმშილისგან მომკვდარა, დედაჩემი ნაქირავები სახლიდან გამოუგდიათ და ალბათ ჩემს სახლში უნდოდა თავის შეფარება.

სწორედ ერთ-ერთ კლუბში გავიცანი ჩემი მეუღლე, რომელმაც ამ ცხოვრებაზე წარმოდგენა რადიკალურად შემაცვლევინა. გიგა ერთ-ერთი კლუბის მენეჯერი იყო. თავიდან მასთანაც არ მქონდა კარგი ურთიერთობა, სულ ვეჩხუბებოდი, ვლანძღავდი. მის დანახვაზე ცუდად ვხდებოდი. ერთხელ კინაღამ სილაც გავაწანი. ვგრძნობდი, რომ ალმაცერად მიყურებდა, რამდენჯერმე ჩემი შებმაც სცადა, მაგრამ როცა არაფერი გამოუვიდა, მერე შემეშვა.

***— თქვენი გულის მოგება როგორ შეძლო?***

— ერთ ღამეს კლუბში მაგრად დავთვერი და ყველაფერი გამახსენდა. ცხარე ცრემლით დავიწყე ტირილი, მენანებოდა ჩემი მშობლები, რომლებსაც სრულიად დაუმსახურებლად მივაყენე ტკივილი. გიგა გვერდით მომიჯდა და ტირილის მიზეზი მკითხა. მისთვის არაფერი დამიმალავს, ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. იმ დღის შემდეგ გიგა ჩემთვის ყველაფერი გახდა. მასთან შეხვედრა მიხაროდა და ბედნიერი ვიყავი. თავიდან მრცხვენოდა, ასეთი წარსული რომ მქონდა და ასეთი შეცდომებით ვცხოვრობდი, მაგრამ გიგამ დამამშვიდა და მითხრა, ყველანაირად დაგეხმარები, ნორმალური ცხოვრების რიტმს დაუბრენდეო.

***— გიგაზე გათხოვდით?***

— დიახ. ახლა მე და გიგას ორი შვილი გვყავს. ჩემი გამზრდელი მშობლების სახლში ვცხოვრობთ, რადგან გიგა დევნილია და საკუთარი სახლი არ გააჩნია. მისი არც სახლი მინდა და არც კარი, მთავარია ჩემს გვერდით იყოს. ხშირად, როცა ბავშვებს ეზოში ვასეირნებ, მეზობლები მეტყვიან, რა მოხდებოდა, ეცოცხლათ შენს მშობლებს, შენი შვილების ცქერით გაიხარებდნენო. მათი სიტყვები გულს მიკლავს, რადგან ნამდვილად შეეძლოთ ეცოცხლათ და ჩემი შვილების სიყვარულით დამტკბარიყვნენ. ამქვეყნად არაფერი დაიმალება, ჩემმა მეზობლებმაც ალბათ იციან, ჩემი ცუდი საქციელის ამბავი, მაგრამ პირში არავინ არაფერს მეუბნება. რომ ვუფიქრდები, მართლა საშინლად მოვექეცი მათ, რომლებმაც შიმშილისა და სიკვდილისთვის არ გამწირეს, მე კი სამაგიერო რითი გადავუხადე? მხოლოდ ნერვიულობით და გულის ტკენით.

ახლა, როცა საკუთარი შვილები მყავს, ვხვდები, რამხელა ტკივილი მივაყენე ჩემს მშობლებს. ისინი კიდევ უფრო დავაფასე. ძალიან ვნანობ, რომ ასე დაუმსახურებლად მოვექეცი და ჩემი უმსგავსო საქციელით მათ სიცოცხლე მოვუსწრაფე. ჩემი ბიოლოგიური დედა ჩემთან აღარ მოსულა, ის გინდა მყოლია და გინდა არა. ის არც არასოდეს ყოფილა დედაჩემი. გული მტკივა, რომ ასეთი კარგი მშობლები მყავდა, ღმერთმა მათი სახით მფარველი ანგელოზი გამომიგზავნა, მე კი არ დავაფასე უნამუსოდ მოვექეცი. ყოველ დილით დედაჩემის სულისთვის ვლოცულობ და მამაჩემსაც პატიებას ვთხოვო. მათ სურათთან გულამოსკვნილი ვტირივარ, მინდა მაპატიონ, რადგან მათ ისე მოვექეცი, რაც ნამდვილად არ დაუმსახურებიათ.

**თიკო ნინიაშვილი**

# სასარგებლო რჩევები

## hxtdt,bit.dfht,ekt,c

ამბობენ, შეყვარებულ ადამიანს გრძნობების გაკონტროლება უჭირსო, თუმცა როგორც ფსიქოლოგებმა დაადგინეს, საკუთარი ემოციების მართვა ქალებს უფრო შეუძლიათ, ვიდრე მამაკაცებს. ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ ფსიქოლოგებმა რამდენიმე უტყუარი ნიშანი აღმოაჩინეს, რომელიც მამაკაცის შეყვარებულობაზე მეტყველებს.

მაშ, ასე მამაკაცი შეყვარებულია, თუ:

1. აღარ აინტერესებს სპორტი, სამაგიეროდ გატაცებულია ხელოვნებით.
2. ქალთან ურთიერთობისას არ სვამს ბევრ კითხვას.
3. მახსოვრობა ღალატობს.
4. ქალის ზედმეტ კილოგრამებზე საუბრობს.
5. გულისამაჩუყებელი რომანების კითხვა დაიწყო.
6. ახალგაცნობილ ქალს ცოლზე უყვება.
7. სასურველი ქალის მისვლისას წასვლა გადაწყვიტა.
8. ქალს დედაზე გაუთავებლად ესაუბრება.
9. პირველივე პაემანზე ქალს არ აკოცა.
10. ქალთან საკუთარ ზედმეტ წონაზე საუბრობს.
11. ყოველდღიურად იცვლის ტანსაცმელს.
12. ქალს წერს მესიჯებს.
13. ქალს დაჟინებით უყურებს.
14. ცდილობს დაუახლოვდეს სასურველი ქალის მეგობარს.
15. ქალთან განსაკუთრებით ზრდილობიანია.

## hfnjvudr,tytyrjqjt,b0



ზაფხულის დადგომასთან ერთად მავნე მწერებისგან თავდაცვა საზოგადოებაში სულ უფრო აქტუალური ხდება. ადამიანები თავს განსაკუთრებით კოღოებისგან იცავენ. ფლორიდის უნივერსიტეტის სპეციალისტების აზრით, კოღოები, რომლებსაც მრავალი ჩვენთაგანისთვის მოუბეზრებიათ თავი ბზუილით და განუწყვეტელი კბენით, საკმაოდ შორი მანძილიდან გრძნობენ მსხვერპლის სუნს. მათ შესწევთ უნარი, რამდენიმე სამიზნედან ყველაზე „გემრიელი" ამოარჩიონ და სწორედ მას უკბინონ. სწორედ ამით ხსნიან ფლორიდელი სპეციალისტები იმას, რომ ზოგ ადამიანს კოღო საერთოდ არ ეკარება, ზოგი კი მათგან სრულებით დაკბენილია.

კოღო ფრენის დროს გრძნობს ადამიანის ორგანიზმის მიერ წარმოებული და ჰაერში გაფრქვეული ნივთიერებების მოლეკულებს. პირველ რიგში კი ბე ვიტამინს და ქოლესტერინს. რაც უფრო დიდი რაოდენობით გამოყოფს ამ ნივთიერებებს ორგანიზმი, მით უფრო მეტია კოღოების კბენის ალბათობაც.

ფლორიდან უნივერსიტეტის პროფესორების განცხადებით, მათი გამოკვლევა მიზნად ისახავს მოსახლეობის დაცვას ისეთი სახიფათო დაავადებებისგან, როგორიცაა ყვითელი ციებცხელება და მალარია. ორივე დაავადება ადამიანს კოღოს ნაკბენისგან უვითარდება. პროფესორთა ჯგუფის მიერ წარმოებულ ექსპერიმენტებს საკმაოდ ურჩვეულო შედეგები მოყვა — საკონტროლო ჯგუფში შემავალ ერთ ადამიანს კოღომ მხოლოდ ერთხელ უკბინა, მეორეს კი ასამდე კოღო დაეხვა.

იმის გასარკვევად, რომელ ნივთიერებას ანიჭებენ უპირატესობას ადამიანები, მეცნიერებმა სპეციალური ხელსაწყო დაამზადეს. სხვადასხვა ჭურჭულში მათ მოათავსეს სხვადასხვა ადამიანის სისხლი, კომპიუტერი კი კოღოს კბენის პროცესს აფიქსირებდა. ამით პროფესორებმა კოღოს „გემოვნება" დაადგინეს.

ფლორიდელი პროფესორები ადამიანებს ურჩევენ, რაც შეიძლება ხშირად დაიბანონ ტანი. გარდა ჭუჭყიან ტანზე წარმოქმნილი ბაქტერიების სუნისა, კოღოს ზოგიერთი კოსმეტიკური საშუალებაც იზიდავს — განსაკუთრებით კი მკვებავისა და კანის დამარბილებელი კრემების სურნელი.

## hfbwbs rjynhfwtgnbdt,pt0

XXI საუკუნეში არასასურველი ორსულობისგან თავის დასაცავად არაერთი საშუალება არსებობს. ამჯერად თქვენს ყურადღებას ორალური ჩასახივს საწინააღმდეგო კონტრაცეპტიებზე შევაჩერებთ, რადგან ის ყველაზე პოპულარულია მანდილოსნებში.



თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავდაცვის ამ საშუალებებს ეჭვის თვალით უყურებენ. დადგენილია, რამდენიმე მიზეზი, რის აგმოც ქალები ორალური ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე უარს ამბობენ. ძირითადად დომინირებს ხუთი მოსაზრება, რომლებსაც ექიმები შეცდომას უწოდებენ:

1. ორალური კონტრაცეპტივები არ გამოადგებათ იმ ქალებს, რომლებიც კონტაქტურ ლინზებს ატარებენ — ეს მოსაზრება გარკვეულწილად სიმართლეს შეესაბამება. ადრე ჩასახვის საწინააღმდეგო აბები შეიცავდნენ დიდი დოზით ჰორმონებს, რაც კონტაქტური ლინზების ხმარების დროს ხანდახან ახდენდა გავლენას თვალის რქოვანის ფორმაზე. თანამედროვე კონტაქტური ლინზები გაცილებით რბილია, მესამე თაობის კონტრაცეპტივებში ჰორმონების დოზა გაცილებით მცირეა. ამის მიუხედავად, ექიმები გირჩევენ, ლინზების არჩევის დროს კონსალტაციისთვის ექიმს მიმართოთ.

2. როდესაც ქალი დიდი ხნის განმავლობაში იღებს ერთი და იგივე კონტრაცეპტივს, ხოლო შემდეგ სხვა კონტრაცეპტივზე გადადის, ამან შეიძლება გამოიწვიოს მენსტრუალური ციკლის არევა ან საერთოდ შეწყვეტაც კი — ეს ნამდვილად შეიძლება მოხდეს ქალბატონების 3 პროცენტში. ციკლის მოშლა ან მისი შეწყვეტა შეიძლება არ უნდა დაბრალდეს კონტრაცეპტივს. თუკი დარღვევა ნახევარ წელიწადზე მეტხანს გრძელდება, თქვენი ექიმი კი თვლის, რომ ეს ნამდვილად აბების ბრალია, თქვენ აუცილებლდა უნდა ჩაიტაროთ საფუძვლიანი გამოკვლევა.

3. ორალური კონტრაცეპტივების ხანგრძლივმა მიღებამ შეიძლება შვილობა გამოიწვიოს — ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეცდომაა. ექიმები დარწმუნებული არიან, რომ საკმარისია აბების მიღება შეწყდეს, რომ ორსულობა მაშინვე დადგება. თუკი ქალი ნამშობიარევია, როგორც კი შეწყვეტს აბების მიღებას, ისინი ადვილად დაფეხმძიმდებიან. არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ჰორმონალური ბალანსის აღსადგენად მათ ორგანიზმს ხშირად 2-3 თვე სჭირდება. ის ქალები, რომლებიც 30-35 წელს გადაცილდნენ და ჯერ კიედვ არ უმშობიარიათ, დაორსულებას კონტრაცეპტივების შეწყვეტიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა ელოდნონ. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა რა სახის კონტრაცეპტივს იღებდნენ ისინი.

4. თუ ქალს უნდა შეინარჩუნოს განაყოფიერების უნარი, პერიოდულად უნდა დაისვენოს კონტრაცეპტივებისგან — საზოგადოებაში აქტუალურია მოსაზრება, რომ ყოველ 5 წელიწადში ერთხულ საჭიროა ქალმა ორგანიზმი ნახევარი წლით დაასვენოს კონტრაცეპტივებისგან. სინამდვილეში ქალის ორგანიზმის განაყოფიერების უნარზე თანამედროვე კონტრაცეპტივები საერთოდ არ მოქმედებს, რადგან ისინი ადამიანის ორგანიზმში არ გროვდება.

5. კონტრაცეპტიული აბების მიღებისას არ შეიძლება ცე ვიტამინის მიღება — ამაში ანმდვილად არის სიმართლის მარცვალი. ამ დროს არ შეიძლება არა მარტო ცე ვიტამინის, არამედ ზოგადად სხვა ვიტამინების მიღებაც. ცე ვიტამინის დიდი რაოდენობით გამოყენება ხელს უწყობს ორგანიზმის მიერ ესტროგენის შთანთქმას. ამას კი შეუძლია გამოიწვიოს არასასურველი მოვლენები. დადგენილია, რომ ქალები, რომლებიც ხზშირად იღებენ პარაცეტამოლს, თანაც ხმარობენ კონტრაცეპტივებს, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ჩასახვის საწინააღმდეგო აბები პარაცეტამოლის მიღებამდე ორი საათით ადრე ან მისი მიღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ უნდა დალიონ.

**თიკო ნინიაშვილი**

# ლატვიელები წლის მთავარ დღესასწაულს აღნიშნავენ

ლატვიაში იანის დღესასწაულს, რომელიც ზაფხულის მზებუდობას უკავშირდება ოფიციალურად აღნიშნავენ. მხოლოდ ლატვიაში ეს დღესასწაული ორი გამოსასვლელი დღით, 23-და 24 ივნისით აღინიშნება და ლატვიაში იგი პოპულარობით მხოლოდ ახალ წელს თუ ჩამოუვარდება, თუმცა ზოგიერთი ლატვიელი უპირატესობას ზაფხულის დღესასწაულს ანიჭებს.

იანის, იგივე იოანეს დღესასწაულს ლატვიელები აღნიშნავენ სიმღერით, ლუდით, კოცონზე გადახტომით, მდინარეში დედიშობილა ბანაობით.

წლეულს რიგის დუმამ იანის დღესთან, იგივე ლიგოს დღესთან დაკავშირებით სპეციალური სადღესასწაულო ღონისძიებები დაგეგმა მდინარე დაუგავას ნაპირზე.



დღესასწაულში მონაწილეობა უნდა მიეღო 45-მდე მუსკოსს, დიჯეის, მსახიობს, ფოლკლორულ ორგანიზაციას, პოპულარულ ჯგუფებს.

დღესასწაულთან დაკავშირებით დედაქალაქში ჩამოიტანეს ლატვიის ყველა კუთხეში მომზადებული ნუგბარი საჭმელები და ლუდი. ღონისძიება სამ სცენაზე გაიმართა, რომლებსაც სალამოს კარი, ღამის კარი და დღის კარი ერქვა. ამ სცენების მახლობლად წლის ყველაზე მოკლე ღამის განმავლობაში ნებისმიერი გემოვნების მქონე მუსიკის მოყვარულებს შეეძლოთ თავმოყრა.

ლიგოს დღესასწაულს უძველესი წარმართული ფესვები აქვს. იგი უშუალოდ არის დაკავშირბული ნაყოფიერების კულტთან. გავრცელებული აზრის თანახმად, იგი უკავშირდება ნაყოფიერების ღმერთს იანისს და მხიარულების ღმერთს ლიგოს, რომელიც ღმერთების ძველლატვიურ პანთეონში სიმღერის ღმერთი იყო. ამიტომაც ლიგოს დღესასწაული მრავალრიცხოვანი სიმღერებით აღინიშნება. წარსულში მათ საკრალური მნიშვნელობა ჰქონდათ.

მიწათმოქმედების კალენდარში ზაფხულის მზებუდობის დღე საგაზაფხულო სამუშაოების დამთავრებას და ზაფხულის დაწყებას უკავშირდებოდა, რაც მოსავლის აღებისადმი მზადებას გულისხმობდა. მოსავლის სიუხვე კი ცხადია, ნაყოფიერების ღმერთ იანისზე იყო დამოკიდებული.

იანის დღესასწაულის წინა დღე სამკურნალო მცენარეების შეშგროვებით აღინიშნებოდა და მას ბალახის დღეს უწოდებენ. ამ დღეს ბალახების, მინდვრის ყვავილებისა და მუხის ფოთლებისაგან გვირგვინებს კრავდნენ, რითაც ლატვიელები გარდა ერთმანეთისა, საცხოვრებელ სახლებსაც რთავდნენ. ეს გვირგვინები მოსავლის, ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლებოდა და მაიტომ მათ უპირველეს ყოვლისა, გასათხოვარი გოგონები ატარებდნენ, მომავალი დედობისა და დიასახლისობისადმი სამზადისის ნიშნად.

ყველა ლიტველის სახლში იმართებოდა იანის დედის და იანის მამის, ანუ ოჯახის უფროსისა და დიასახლისის საპატივსაცემო რიტუალები. ოჯახის უფროსს თავზე მუხის ფოთლების გვირგვინს ადგამდნენ, დიასახლისს კი მინდვრის ყვავილების გვირგვინეს.

კოცონი მზის სიმბოლოდ ითვლებოდა და ლატვიელების წარმოდგენით, მისი ალი მზეს ცის თაღის ზენიტის დაძლევაში უნდა დახმარებოდა, რის შემდეგაც მზე ნელ-ნელა დაბლა დაშვებას იწყებდა.

ლიტვაში იგივე დღესაწაული იონინესის დღის სახელით არის ცნობილი. აქ ასევე კოცონს ანთებდნენ, ამომავალ მზეს კი მდინარეში ბანაობით ხვდებოდნენ.

ესტონეთში იანის დღეს ასევე კოცონებით ხვდებოდნენ, მაგრამ დედიშობილა წყალში ბანაობას საუნას ამჯობინებდნენ. გავრცელებული აზრის თანახმად, საუნისათვის ცოცხები სწორედ ამ დღეს უნდა მოემზადებინათ, რადგან სხვა შემთხვევაში მცენარეები თავიანთ სამკურნალო ძალას კარგავდნენ. ყველაზე ფართო მასშტაბებს ეს დღესასწაული ლატვიაში აღწევს, სადაც იგი ეროვნულ დღესასწაულად არის გამოცხადებული.

იანის დღეს შეყვარებული ქალ-ვაჟები კოცონზე ერთად, ხელიხელჩაკიდებული ხტებოდნენ. გადახტომისას ხელს თუ გაუშვებდნენ ერთმანეთს, მათი კავშირი არამყარად ითვლებოდა.

გარდა კოცონებისა, სოფლებში ცეცხლს ბოძებზე შემოდგმულ კასრებშიც ანთებდნენ, ისე, რომ ცეცხლის ალი მეზობელი სოფლიდან გამოჩენილიყო.

ლიგოს დღესასწაული ლატვიაში იმდენად პოპულარულია, რომ მრავალი ტურისტი სწორედ ამ დღეს ჩადის ლატვიაში, სპეციალურად ლიგოს დღესასწაულთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

გ.თ.

## როგორ აფასებთ საკუთარ თავს




1. ხართ თუ არა თქვენი საქმის პროფესიონალი?

ა. დიახ. ბ. დარწმუნებული არ ვარ. გ. არ ვიცი

2. თუ მაღალი ანაზღაურების, ოღონდ რთული სამუშაო შემოგთავაზეს, დათანხმდებით?

ა. ხელფასს გააჩია. ბ. დიახ. გ. უარს იტყვით

3. ადამიანი, რომელიც გაინტერესებთ, თქვენს გრძნობას არ პასუხობს. როგორ მოიქცევით?

ა. დავივიწყებ. ბ. შევეცდები მის ყურადღების მოპოვებას. გ. ძნელი სათქმელია.

4. ოფისში ბიზნეს-პარტნიორები გეწვივნენ, შეფი კი არ ჩანს. როგორ მოიქცევით?

ა. მოლაპარაკებას დაიწყებთ. ბ. დაცდას შესთავაზებთ. გ. საუბარს გაუბამთ.

5. შეიტყვეთ, რომ მეუღლე გღალატობთ. შეგიძლიათ აპატიოთ ღალატი?

არა. ბ. დიახ. გ. ძნელი სათქმელია.

6. მაღაზიაში საყიდლებიდან ბრუნდებით და შეფი დაინახეთ. როგორ მოიქცევით.

ა. მიესალმებით. ბ. დაიმალებით. გ. გაჩერდებით და გამოელაპარაკებით.

7. ხშირად თუ სტუმრობთ ექიმთან?

ა. როდესაც რამე მაწუხებს. ბ. მუდმივად. გ. დროდადრო.

**პასუხები**

**პასუხები შეაფასეთ ა. 1 — ქულა ბ. 2 — ქულა. გ. 3 — ქულა.**

7-11 ქულა: დარწმუნებული ხართ საკუთარ ძალებში. რეალისტურად აფასებთ ყველაფერს. ადამიანები თქვენში ძლიერ პიროვნებას ხედავენ და გენდობიან.

12-16 ქულა: საკუთარ თავს სათანადოდ ვერ აფასებთ. თქვენთვის უფრო ადვილია სხვისი პოციზია დაიკავოთ, ვიდრე საკუთარი დაიცვათ.

17-21 ქულა: საკუთარ თავს კრიტიკულად აფასებთ, მეტი თავდაჯერებულობა არ გაწყენდათ, თუმცა გარკვეულ შედეგებს მაინც აღწევთ.

# კიევში იულია ტიმოშენკოს ასამართლებენ

უკრაინის ყოფილი პრემიერ მინისტრი იულია ტიმოშენკო გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, რომელიც კიევში 2009 წელს რუსეთთან გაზის კონტრაქტის ხელმოწერისას უფლებამოსილებების გადაჭარბების ბრალდებებით გაიმართა.

როგორც ბრალდების მხარე ამტკიცებს, 2009 წლის იანვარში იულია ტიმოშენკომ, რომელიც იმ მომენტისათვის უკრაინის მთავრობას ხელმძღვანელობდა, მინისტრთა კაბინეტის თანხმობის გარეშე უკრაინისათვის უკიდურესად არახელსაყრელ კონტრაქტს მოაწერა ხელი რითაც უკრაინას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა.

ამ კონტრაქტმა ბოლო მოუღო რუსეთ-უკრაინის დავას გაზის ფასთან დაკავსირებით, რომელიც სამი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და ცივი ზამთრის პირობებში გარდა უკრაინისა, ევროპის რიგი ქვეყნებისათვის გაზის მიწოდების შეფერხება გამოიწვია.

ტიმოშენკო წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს და ამტკიცებს, რომ ბრალდებები პოლიტიკურად არის მოტივირებული. მისი აზრით, ეს ბრალდებები ამჟამინდელი პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის პოლიტიკური შურისძიებაა.

კიევში, პეჩორის სასამართლოში გამოცხადების შემდეგ ტიმოშენკომ მოსამართლე როდიონ კირეევს გამოუცხადა, რომ მას პრეზიდენტის ადმინისტრაციის მარიონეტად მიიჩნევს და აცილებას აძლევს.

ტიმოშენკოს თქმით, პროცესს ფარსად მიიჩნევს და არა სასამართლოდ.

მოსამართლემ მცირე ხნით შესვენება გამოაცხადა და შემდეგ აცილების შუამდგომლობას უარით უპასუხა.

საინფორმაციო სააგენტოების თთანახმად, პროცესის დაწყებისათვის სასამართლოს შენობასთან ათასამდე ადამიანმა მოიყარა თავი ტიმოშენკოს პარტიის დროშებითა და სიმბოლოებით.

პროცესის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე იულია ტიმოშენკომ განაცხადა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში სარჩელი წარადგინა, სადაც იგი ამტკიცებს, რომ მის წინააღმდეგ აღძრული საქმე პოლიტიკურად არის მოტივირებული.

ამ და სხვა პროცესებს დასავლეთის ექსპერტები უკრაინაში პრეზიდენტ იანუკოვიჩის მმართველობის დროს დემოკრატიული პროცესების შეჩერების შესაძლებლობის ნიშნებად მიიჩნევენ.

იულია ტიმოშენკოს პროცესს ესწრება ევროკომიიის წარმომადგენელი უკრაინაში ჟოზე მანუელ პინტო ტეიშეირა.

გ.თ.

# რუსეთის ატომური ელექტროსადგურები სტიქიისაგან არასათანადოდ არის დაცული



ნორვეგიის ადამიანის ბუნების დაცვის საზოგადოება განცხადებით, არსებობს ანგარიში, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთის ატომური ელექტროსადგურები მიწისძვრის ან სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების შესაძლო შედეგებისაგან არასათანადოდ არიან დაცული. რუსეთის ატომური უწყება ამ განცხადებებს უარყოფს.

ნორვეგიელი აქტივისტების განცხადებით, ეს ანაგარიში რუსეთის სახელმწიფო საბჭოს ივნისის სხდომისათვის მომზადდა. ამ სხდომაში პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. ორგანიზაციის წარმომადგენელმა რუსეთში იგორ კუდრიკმა განაცხადა, რომ ამ ანგარიშთონ გაცნობის შემდეგ იგი ხელისუფლებისაგან რაიმე რეაქციას ელოდა, მაგრამ რეაქციის უქონლობის შემდეგ მისი მედიისათვის გაცნობა გადაწყვიტა.

როგორც რუსეთის ატომური უწყების წარმომადგენლებმა განაცხადეს, იაპონიაში ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შემდეგ რუსეთის ყველა ატომურ ელექტროსადგურზე წინასწარი სტრესს-ტესტები ჩატარდა.

ატომური ინდუსტრიის მისამართით გამოთქმულ კრიტიკას ბოლო დრომდე რუსეთი მეტად მტკივნეულა აღიქვამდა, ხოლო პრემიერ მინისტრი პუტინი ამტკიცებდა, რომ რუსული ატომური უსაფრთხოების სისტემა საუკეთესოა მსოფლიოში. დოკუმენტში, რომელიც ნორვეგიულმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა, ლაპარაკია აგრეთვე ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევაში მოქმედების სათადარიგო ვარიანტების არარსებობის შესახებ.

როგორც ცნობილია, ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურში პრობლემები სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია, კერძოდ იმან, რომ სათადარიგო გენრატორების დაზიანების გამო ვერ მოხერხდა რეაქტორების აქტიური ზონის გაცივების სისტემის ამოქმედება.

რუსეთში ათი ატომური ელექტროსადგური მუშაობს და მათი წილი ენერგიის გამომუშავებაში 16%-ს შეადგენს. ამასთან რუსეთის ევროპულ ნაწილში ატომური ენერგეტიკის წილი უფრო მეტია — იგი მოხმარებული ელექტროენერგიის 40%-ს შეადგენს.

გ.თ.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ზაზა გობრონიძის გახსენება



პირველ დაბადების დღეს ხვდები, ჩემო ზაზა, იმ უკიდეგანო სივრცეში, სადაც მხოლოდ უფალი და ანგელოზები მოიაზრებიან.

სწორედ უფალი მიგიჩენს ღირსეულთა შორის ღირსეულ სასუფეველს, ჩემო კაცურო კაცო.

გუჯა ბიძიასა და დიდ მანუჩართან ერთად უკვე შესანიშნავი სამეული გახდით.

თქვენი სულის სადიდებლად ვილოცებთ.

ნათელი და სანთელი არ მოგაკლოთ უფალმა.
ამინ!

**იარო ბი ია**



მეუღლე მაყვალა კოპალიანი, შვილები ნინო, მირიანი და ნათია, რძალი გვანცა რუსია, სიძეები მერაბ გუგავა, ლევან ვეფხვაძე, შვილიშვილები მაგდა, გიორგი გუგავები, ანა, ელენე ჩიქოვანები, მარიამ, ვახტანგ ვეფხვაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალექსი (ალეკო) ჩიქოვანი**

პანაშვიდი: 25, 26, 27 ივნისს;
დასკვნა: 28 ივნისს, 15 საათზე;
მისამართი: ცაგერის რაიონის სოფელი ტვიში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა საქართველოში; 2. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 3. მარჯვე, ეფექტური ილეთი; 5. მასობრივი სპორტული სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით; 6. ჭარხლიდან შაქრის მისაღები აპარატი; 8. გერმანიის პარლამენტი; 10. ყურის ექიმი; 12. ორადგილიანი ველოსიპედი; 14. მკბენარა მწერი; 15. მოხეტიალე ცირკი; 16. მარადმწვანე, ტროპიკული ხვიარა, მცოცავი მცენარე.

**თარაზულად:** 1. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 4. რამდენიმე ხუთხაზიანი სანოტო სისტემის შემაერთებელი ფრჩხილი; 7. ცხარე საწებელი; 9. „ფორმულა-1"-ში მონაწილე პოლონელი ავტომრბოლელი; 11. ისრაელის პარლამენტი; 12. ხევსურული ტანსაცმელი; 13. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 17. ცხარე გემოს მქონე ბოსტნეული; 18. კუთხე საქართველოში; 19. მე-17 საუკუნის უკრაინელი მხედართმთავარი, ჰეტმანი, ეროვნული გმირი; 20. ქართველი პოლიტიკოსი ქალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დუნსტი; 2. რუბიკი; 3. მზისა; 5. არვე; 6. შულერი; 8. არიეტა; 11. პანკრეასი; 13. კნეთელი; 14. ფარაონი; 15. ქუთაისი; 19. ბასი.

**თარაზულად:** 1. დეიტერიუმი; 4. ბომარშე; 7. ნაირობი; 10. ოპეკი; 12. აბერდინი; 16. ბარბეკიუ; 17. თეორემა; 18. დარბაზობა; 20. სალხინო; 21. ჯინი; 22. მელქიორი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პეჟო; 2. შატლი; 3. ნიანგი; 4. ლაციო; 6. გრუნდიგი; 8. კვირკველია; 10. ინტრიგა; 12. ასტურია; 14. ლეჩაქი; 15. კოპიჭი; 16. ჰიუგო.

**თარაზულად:** 1. პირმშო; 4. ალტინგი; 7. ფატიმა; 9. გიბონი; 11. გირკანი; 12. აისბერგი; 13. კრისტი; 17. პრესტო; 18. ალჩუ; 19. სიკოფანტი; 20. გალომანი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**25 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6583
- ევრო —2,4216
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
- რუსული რუბლი — 0,0597

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-2§, ღამით — 11-13

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 12-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — 4-12

## ამინდის პროგნოზი 25 ივნისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ბექჰემის საავტომობილო კოლექციას კიდევ ერთი შეემატა



არა მარტო ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ამერიკულ „ლოს ანჯელეს გალექსიში“ მოთამაშე პოპულარულ ინგლისელ ფეხბურთელ დევიდ ბექჰემს ძვირადღირებულ ავტომობილებზე გართულება აქვს. მის კოლექციას სადღეისოდ 50-ზე მეტი სხვადასხვა მოდელის ძვირფასი ავტომობილი ამშვენებს. დევიდს ჰყავს ისეთი ავტომობილებიც კი, რომელშიც შეიძლება სულ ერთხელ იყოს ნაჯდომი, მაგრამ მისთვის, როგორც ჭეშმარიტი კოლექციონერისათვის, მთავარი მანქანის ყოლაა და არა მისი გამოყენება. საუდის არაბეთის ერთ-ერთმა უმდიდრესმა შეიხმა, ბინგ ალი ჰუსეინმა, რომელიც დევიდ ბექჰემის დიდი გულშემატკივარი აღმოჩნდა, ცოტა ხნის წინ შეიტყო მისი ფავორიტის ავტომობილებისადმი განსაკუთრებული სიყვარულის შესახებ. ამიტომ, ბევრი არც უფიქრია და იტალიურ საავტომობილო კომპანია „ფერარის“ ახალთახალი სპეც-მოდელი დაუკვეთა და ფეხბურთელის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ამერიკაში გემით სრულიად უცნობი ადამიანის მიერ მიძღვნილი ასეთი ძვირფასი საჩუქარი ჩაუვიდა. ავტომობილის ფასი 110.000 ევროა.

მიუხედავად იმისა, რომ დევიდს ავტოსადგომში უფრო ძვირადღირებული მოდელებიც ჰყავს, კარგად იცის, რომ ასეთი ძვირფასი ავტომობილები ქუჩაში არ ყრია და გადაწყვეტილი აქვს, შეიხს საპასუხო საჩუქარი უძღვნას. ერთია, ჯერ ვერ მოიფიქრა, რითი უნდა გააოცოს.

სხვათა შორის, დევიდ ბექჰემის ლეგენდარული ავტომანქანების სადგომი ერთ-ერთმა ბრიტანულმა ტურისტულმა სააგენტომ დასათვალიერებელი ობიექტების სიაშიც კი შეიტანა. ასე რომ, დევიდ ბექჰემის ავტომობილების ხილვით ტკბობა ამიერიდან ტურისტებსაც შეეძლებათ.

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 25 ივნისი — ეს დღე მშვიდად ჩაივლის

**ვერძი** — სახლში სიახლეა, დიდი შენაძენი გელით. **კურო** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **ტყუპები** — არ გადაიღალოთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — საწადელს მიაღწევთ, ამ დღეს დიდი ხანია ელოდით. **ქალწული** — ცხოვრება გეცვლებათ, გილოცავთ. **სასწორი** — ბედი გწყალობთ, ყველა საქმე გამოგდით. **ღრიანკალი** — ნუ დაივიწყებთ იმას, რაც იყო. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — არ აჩქარდეთ, ყველაფერს მოასწრებთ. **მერწყული** — სადღესასწაულო განწყობა არ გტოვებთ. **თევზები** — ნუ იდარდებთ, პრობლემას გადაჭრით.

### 26 ივნისი — წარმატებული დღეა

**ვერძი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, არავინ მოგასწრებთ. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ვიტამინები. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **ღრიანკალი** — ყურადღების ცენტრში ხართ. **მშვილდოსანი** — ახალი საქმე სარფიანია. **თხის რქა** — თქვენი შეყვარებული სიურპრიზს გიმზადებთ, მოემზადეთ. **მერწყული** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს დაეყრდენით. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# მალე! მალე! მალე!

გაზეთი „ახალი თაობა“ და გამომცემლობა „კლიო“




# გთავაზობთ უნიკალურ გამოცემას

# საქართველოს 100 ღირშესანიშნაობა

**გაზეთი და წიგნი ერთად 15 ლარი**


## იუმორი



***

— როგორც პათოლოგოანატომები ამბობენ, ადამიანში ყველაფერი უნდა იყოს...

***

— გარდამავალი ასაკი — როდესაც ჭკუა ჯერ არ მოგეკითხება, გენიალური კი უკვე ველარ იქნები...

***

— დედა, მართალია, რომ პურს ღმერთი გვაძლევს?
— ჰო, შეიძლება რომ ასეც ითქვას.
— ბავშვები წეროს მოჰყავს?
— რა თქმა უნდა.
— საჩუქრებს თოვლის პაპა არიგებს?
— დიახ.
— მაშ მითხარი, მამა რაში გვჭირდება?

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თიხის ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 2. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 3. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 5. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 6. პირუტყვით მოვაჭრე ძველად; 8. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 11. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 13. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 14. ზეთით, წებოთი და კვერცხის გულით შეზავებული სახატავი საღებავი; 15. აფრიკული გიგანტური ხე; 19. კინემატოგრაფისტთა პრემია ესპანეთში.

**თარაზულად:** 1. ისტორიული მოედანი ლონდონში; 4. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 7. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 9. ხეობა საქართველოში; 10. გერმანული ავტომობილი; 12. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 16. ნოდარ დუმბაძის რომანი; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ჰოლივუდის კინორეჟისორი, ბრიტანეთის საპატიო რაინდის ტიტულის მფლობელი; 20. ზოგიერთი მცენარის მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი; 21. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული გამოთვლით ტექნიკაში; 22. ნავთობის საბადო კახეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




ლურჯი წითელი ყვითელი შავი